ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№171 (230) 22-29 მაისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

რატომ უნდა წავიდნენ “ნაციონალები” და სააკაშვილი

დღეს პოლიტიკოსები და ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მიხეილ სააკაშვილმა კარგად დაიწყო, მაგრამ ცუდად ამთავრებსო!

იმასაც ამბობენ, რომ საქართველომ ცუდად დაიწყო (განსაკუთრებით 2003 წლის ნოემბერში), მაგრამ იმედია, რომ კარგად დაამთავრებსო (მხედველობაში აქვთ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები)!

ნაციონალების საწინააღმდეგო არგუმენტები თავსაყრელად გვაქვს, მაგრამ მათი ლიდერისადმი მაინც გამოიკვეთა ერთი მთავარი ბრალდება – იგი ეთნიკურად სომეხია, სომხების დაქირავებულია და გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს საწინააღმდეგო საქმეებს აკეთებდესო.

საქართველოს საქმეს ხომ ყოველთვის ქართველები აფუჭებდნენ. ჩვენ რომ სააკაშვილზე ვამბობთ – სომეხიაო, ეს სომეხი სააკაშვილი თავიდან (თუნდაც ფასადურად) ჭკვიანიც იყო, წესიერიც, თავდაჭერილიც, ზრდილიც, მაგრამ მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ გაათახსირა.

გარემოცვაში კი ძირითადად არიან მეგრელები ბოკერია და ახალაიები, კახელები ადეიშვილი და ღვინიაშვილი, იმერელი კუბლაშვილები, აჭარელი ხაბაზი...

გეკითხებით: მაშ რას ვერჩით სომხებს?

ხეს უთქვამს: **“ნაჯახი ვერაფერს დამაკლებდა, ჩემი ნათესავი რომ არ ეხმარებოდესო!”**

ერთი სომეხი, თუნდაც **“მაღალინტელექტუალური”** (მხედველობაში გვაქვს მიშას მიდრეკილება ენების ცოდნისადმი, თორემ კაცი შოთა რუსთაველს და დავით გურამიშვილს რომ ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან, როგორ შეიძლება საუბარი მის მაღალ ინტელექტზე) მიხეილ სააკაშვილი, ამდენი ქართველის შემოტევას როგორ გაუძლებდა, მას ზურგს ქვეყნის გამყიდველი ქართველები რომ არ უმაგრებდნენ!

მიშა რომ კოშმარულ სიზმარში ნანახ რაიმე **“გრანდიოზულ”** იდეას დააბერტყებს, ისევ რენეგატი ქართველები ეგებებიან ტაშისცემით და მლიქვნელის მონდომებით უწონებენ **“გენიალურ”** მიგნებებს!

მაგალითად, დღემდე ვერ გაუგიათ ექსპერტებსა და სპეციალისტებს, თუ რა ფუნქცია უნდა შეასრულოს მიშას მიერ გაცხადებულმა **“გრანდიოზულმა”** პროექტმა ახალი ქალაქის **“ლაზიკას”** აშენების თაობაზე.

სწორედ აქ უნდა წარმოვიდგინოთ ვერაგულად გათვლილი ორი “საქართველოსმკვლელი” ასპექტი:

პირველი – ან აღმოსავლეთ საქართველოს დაამშვენს და ლაზიკაში შექმნილ სამუშაო ადგილებზე გაასახლებს, რათა ლიხსაქეთა საქართველო ბურებს და სხვა უჯიშოებს დაუთმოს, რადგან, შემდეგ მოძალებულ სომხებს ისინი სათანადო წინააღმდეგობას აღარ გაუწევენ. მათთვის ხომ მნიშვნელობა არ ექნება, ვინ დაუსახლდება მეზობლად – თათარი თუ სომეხი. მათთვის მთავარია, რომ არ მოაკლდეთ იაფი მუშახელი...

მეორე – მოსახლეობისაგან ისედაც დაცლილი საქართველო ამ ავადსახსენებელ **„ლაზიკას“** ვერ შეავსებს და იქ თურქ მესხებს ან სომხებს ჩაასახლებენ, რაც უკვე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამუდამოდ დაკარგვას ნიშნავს.

ასევე – როცა მიხეილ სააკაშვილი გულისხმობს საქართველოს **“სინგაპურიზაციას”**, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ის, რომ სინგაპურს 47 წელია მართავს ერთი პოლიტიკური ძალა. ეს წლები კი ნაციონალებსა და სააკაშვილს სჭირდებათ არა ეკონომიკის ასამაღლებლად, არამედ, რაც შეიძლება მეტი ფულის საშოვნად და საკუთარი ჯიბეების გასასქელებლად.

ფულს აკეთებენო! – გაჰკივიან საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანები.

ჯანდაბას მათი თავი – აკეთონ!

საქართველოდან ფულის გატანა ჩვენს ქვეყანას ვერ დაღუპავს, მაგრამ ქართული სული რომ გააქვთ საქართველოდან **“გრელანდიასავით”**, ეს ნამდვილად დაღუპავს საქართველოს.

ახლა ნეტავი სად არის ის კინორეჟისორი **“პოლიტიკოსი”** ელდარ შენგელაია, რომელიც ფანატიკურად ემხრობოდა იმ შევარდნაძეს, გრელანდიასავით ლამის თავზე რომ დაგვამხო სრულიად საქართველო?

მას ხომ საქართველოს დაუძინებელ მტრად ის ქართველი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია მიაჩნდა, რომელმაც, ქართველი პოლიტიკოსებიდან ერთადერთმა შეიმუშავა **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა”**, რომელშიც მეცნიერულადაა გაწერილი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზები და მეთოდები. ეს მართლაც ღირებული დოკუმენტი, რომლის ბაზაზე რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის დაცვაც კი შეიძლება, დანაშაულებრივად იქნა მიგულისყურებული როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის ხელისუფლების მიერ.

გეკითხებით, მაშ რა განსხვავებაა შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის?

მსგავსება კი, მათ შორის, მართლაც ბევრია, რადგან თანამედროვეობის მართლაც უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწესა და სამშობლოს პატრიოტ ალექსანდრე ჭაჭიას საქართველოს მტრად მიიჩნევენ! ამ კუთხით მათ ელდარ შენგელაიაც ძალიან წააგავს, რომელიც ქვეყნისათვის ავბედით ჟამს ავადსახსენებელ ჯაბა იოსელიანს ურეკავდა ტელეფონით და ყურმილში ჩასჩხაოდა: **“ჭაჭია თბილისის აეროპორტისკენ მიემგზავრება და საჩქაროდ დააპატიმრეთო”**.

ერთხელ მაინც რატომ არ ეტყვიან შენგელაიები და სხვა **“ედუარდისტები”** შევარდნაძეს, როგორც საკუთარ მეგობარსა და **“სულიერ მოძღვარს”**, რომ აღიაროს როგორც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოსაგან შეგნებულად მოწყვეტა საქართველოს პრეზიდენტობის პოსტის სანაცვლოდ, ასევე, ხელისუფლების სააკაშვილისათვის ბინძური გარიგებით გადაცემის ფაქტი, რაც კატეგორიულად გამორიცხავს ყოველგვარ **“ვარდების რევოლუციას”**! ამით ხომ **“უხსენებელი”** თავს დააღწევდა როგორც განრისხებული ქართული საზოგადოების, ასევე ღვთის სამსჯავროსაც, სადაც მას მალე მოუწევს წარდგენა!

მაგრამ სატანა საუკუნოდ სატანად რჩება, სატანის საფლავის ადგილი კი საქართველოში ნამდვილად არ არის, და თუ შევარდნაძემ დროზე არ აღიარა და მოინანია ქართველი ერის წინაშე ჩადენილი მძიმე დანაშაული, მის გვამს იგივე ბედი მოელის, რაც ვარლამ არავიძისას!

ეს რეალური ცხოვრებაა ცვალებადი, თორემ იმქვეყნიურ ცხოვრებაში, სატანისათვის, კუპრით სავსე მოთუხთუხე ქვაბი უცვლელი და მარადიული იქნება!

ჯერ კიდევ შევარდნაძის ავბედითი აჩრდილი ადგას თავს საქართველოს და ვიდრე ქვეყანას მართავენ **“ნაციონალებად”** მონათლული **“მოქკავშირის ანასხლეტი”** სააკაშვილები, ბოკერიები, თარგამაძეები, მაჭავარიანები, ბარამიძეები, კუბლაშვილები, გოგორიშვილები, სხვანი და სხვანი, ედუარდ-უხსენებლის ცელმომარჯვებული აჩრდილი კვლავაც იბოდიალებს საქართველოში და სულს ამოართმევს შიმშილისა და უიმედობისაგან ისედაც ქანცგაცლილ ადამიანებს.

მუდამ კორპორატიული ინტერესებით მოქმედ, საკუთარ კარიერულ წინსვლას გადაგებულ ედუარდ შევარდნაძეს არასოდეს უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის ჟამს, იგი, მიწერებითა და სხვა ტოტალური სიყალბეების გამოყენებით შოულობდა დიდძალ პირად კაპიტალს, რომელსაც საკუთარი კარიერის განსამტკიცებლად იყენებდა, დამშეულ ქართველ ხალხს კი ურცხვად უმტკიცებდა, რომ ბედნიერ საქართველოში ცხოვრობთ.

მკითხველს შევახსენებ **აშშ**-ს პრეზიდენტ ბუშის (უმცროსი) სიტყვებს, როცა ედუარდმა **„ვარდების რევოლუცია“** გაითამაშა და საქართველოს პრეზიდენტობა სომხებს **მიჰყიდა: „ჩვენ გავაგრძელებთ შევარდნაძესთან ურთიერთობებს, რადგან უკვე 30 წელია მასთან ვთანამშრომლობთ“**-ო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, რომ შევარდნაძე მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ემსახურებოდა კაპიტალიზმის ინტერესებს, იყო კომპარტიაში ჩანერგილი ჯაშუში და საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად მუშაობისას მთელი მისი კომუნისტური პათოსი იყო ყალბი, მისი საქმიანობა კი მიმართული იყო სამშობლოს წინააღმდეგ!

მაგრამ, თუ მაშინ ვინმე პროტესტის ხმას ამოიღებდა, მას ან ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრებოდა (გაიხსენეთ: მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ზაურ ქობალია და სხვები), ან დახვრეტის განაჩენი (გაიხსენეთ იუზა კობახიძე, **„თვითმფრინავის ბიჭები“** და სხვები), ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხანგრძლივად გამწესება (გაიხსენეთ ცქიმანაური და სხვები)!

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შევარდნაძის მიერ ქვეყნის ხელისუფლებაში მოყვანილი **“ნაცები”** ვითომ რატომ უნდა ყოფილიყვნენ მასზე უკეთესი, და ამიტომაც არის, რომ დღეს ქვეყნის მატერიალური დოვლათის მიმტაცებელი, დიქტატორად ქცეული სააკაშვილი ედუარდივით ურცხვად უმტკიცებს შიმშილისაგან დაოსებულ ქართველებს: **“ბედნიერ და დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ვერ გამიგია, მეტი რა გსურთო!”**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შევარდნაძემ თავისი ტახტის გარიგებას აფხაზეთი და სამაჩაბლო გაწირა და სეპარატისტებს უფეშქაშა.

ახლა იმის მეშინია, სააკაშვილმა აჭარა და ჯავახეთი რომ არ უფეშქაშოს ვინმეს, თავისი ტახტის სანაცვლოდ?

ამიტომ არის აუცილებელი, რომ ქვეყნის დამაქცევარმა **“ნაციონალებმა”** სასწრაფოდ უნდა დასტოვონ საქართველოს პოლიტიკური მოედანი, ვიდრე კიდევ რაიმე დიდ უბედურებას არ გადაგვკიდებენ, და საბოლოოდ გაანადგურებენ მათივე უგუნური თუ შეგნებულად მოღალატეობრივი მოქმედებებით ისედაც განახევრებულ ქვეყანას, თუნდაც ახალი კონფლიქტების პროვოცირებით.

ნათელია, რომ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ისინი ყოველნაირ ვერაგობაზე წავლენ და არც საქართველოს გეოპოლიტიკური რუსიდან წაშლას მოერიდებიან, რადგან, ამ შემთხვევაში, მათ პასუხს ვერავინ მოსთხოვს მათ მიერ ჩადენილი მრავალი უბედურებებისათვის!

მაშ ასე, ნაციონალები და მათი ნეტარღიმილიანი სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებიდან მოშორებულ უნდა იქნან იმიტომ, რომ მათ ბრალდება:

– შვანიას, ბირგვლიანი, ვაზაგაშვილის, როგაძიძის, ძიმერიძის და ასამდე სხვა მშვიდობიანი პირის მხეცურად მოკვლა;

– კოდორისა და ახალგორის დაკარგვა, დამატებით ლტოლვილთა მიღება;

– აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოდან განდევნის “დე-იურედ” გაფორმება, რითაც წარმატებით დააგვირგვინეს შევარდნაძის მიერ ამ ტერიტორიების საქართველოსაგან “დეფაქტოდ” მოწყვეტის პროცესი;

– ქვეყანაში სამეცნიერო და განათლების პოტენციალის მოშლა;

– მართლმადიდებლური რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა, სექტების მომრავლება;

– ახალგაზრდა თაობის გახრწნა;

– ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება, რასაც მოჰყვა სასიცოცხლო დარგების მონოპოლიზაცია;

– ენერგომატარებლებზე კონტროლი და ფასების თვითნებურად დაწესება, კარტელური ინტერესებიდან გამომდინარე;

– კომუნალური გადასახადების განუხრელად ზრდა, რაც ამძაფრებს მოსახლეობის გაღატაკების პროცესებს;

– მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების ძალადობრივი მეთოდებით ჩახშობა;

– ფველა დონის არჩევნების თავზედურად გაყალბება;

– ხელოვნების ნიმუშებად აღიარებული ძეგლების ქალაქიდან გატანა, დიდების მემორიალების ვანდალურად აფეთქება და მათ ადგილებზე უგემოვნო და უშინაარსო ძეგლების აღმართვა;

– დრაკონული კანონების მიღება პოლიტიკური ოპონენტების დასათრგუნად და ამ კანონების იგნორირება, საკუთარი გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე;

– კონსტიტუციის უსასრულოდ კორექტირება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე;

– რუსეთთან ურთიერთობის ხელოვნურად დაძაბვა ქართული ინტერესების საზიანოდ;

– პოლიციისა და ჯარის პოლიტიზირება;

– პატიმართა რიცხვის კატასტროფულად გაზრდა და პატიმრების წამება...

– საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩაკვლა...

– საქართველოს ტერიტორიების მოღალატურად გასხვისება (დავით-გარეჯა და სხვა)

მართლაც რომ უსასრულოა იმ სიბოროტეთა ნუსხა, რაც ამ უგვანოებმა დაატეხეს თავს საქართველოს!

როცა ბანდიტები მსხვერპლის შეშინებას და მისთვის რაიმეს წართმევას ვერ მოახერხებენ, მაშინ სხვა ტაქტიკას ირჩევენ – მათხოვრობაზე გადადიან ხოლმე. სწორედ ამას გვაგონებდა მიშას საქციელი, ქუთათურებს რომ მიმართა თხოვნით: **“კიდევ ოთხი-ხუთი წელიწადი მაცალეთ და წყალტუბოს ბაღნარად გადავაქცევო!”** როცა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ხალხის საბოლოოდ დაშინება და დამონება ვერ შესძლეს, ახლა უკვე მათხოვრობაზე გადავიდნენ.

ხოლო რაც შეეხება საკაშვილის მიერ გაჟღერებულ განცხადებას კოპიტნარის აეროპორტისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭების თაობაზე და **“ქუთაისი-ნიუ იორკის”, “ქუთაისი-ლონდონის”** და სხვა ამგვარი რეისების დანიშვნის თაობაზე, ეს პასაჟი სასწაულად წააგავს რუსი მწერლების ილფისა და პეტროვის ნაწარმოებ **“12 სკამის”** მთავარი გმირის, თაღლითისა და ჯიბიდან გავარდნილი ავანტიურისტის ოსტაპ ბენდერის მიერ რუსეთის მიერუებულ სოფელ ვასიუკების ჭადრაკის მოყვარულთა კლუბში გაკეთებულ განცხადებას, რათა გულუბრყვილო პროვინციელებისათვის რაც შეიძლება მეტი ფული დაეცინცლა.

ყველა მანკიერების ჩამოთვლა ვერ შევძელით საგაზეთო ფართის უკმარობის გამო, ხოლო ყოველი ზემოთთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება:

სააკაშვილი და „ნაციონალები“ უკვე დიდი ხანია წასულები არიან, ყოველი შემთხვევისათვის, ხელიდან მაინც!

როლანდ ჯალაღანია,
„ფაზისი“-ს და „აია“-ს
აკადემიების წევრი

კაცი, რომელიც ისტორიას ახალი, საკუთარი თვალით უყურებს

ამ სათაურით, რუბრიკით – "მამულიშვილი", გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2012 წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნდა მილოცვა, რომელიც ეძღვნება ჩვენს მეგობარსა და თანამებრძოლს, ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ანზორ შონიას, რომელსაც დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. უცვლელად ვბეჭდავთ აღნიშნული მილოცვის ტექსტს.



ანზორ შონია სამშობლოზე, ოჯახსა და სამეგობროზე რაღაც სხვაგვარად – ცრემლებამდე შეყვარებული კაცია. რწმენით სავსე, გულწრფელი და ავკარგიანი კოლხი ჭეშმარიტ მოღვაწედ რუსთავქალაქში ჩამოყალიბდა. თანაც, სამეურნეო საქმიანობის როგორი გზა განვლო, – მარტოოდენ ჩამონათვალი სულს დაგიმშვიდებს კაცს:

დაიბადა 1937 წელს ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში, მაგრამ მამის რეპრესირების შემდეგ ოჯახი გაასახლეს ზუგდიდში, სადაც 1955 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ზუგდიდის მე-6 სკოლა, ხოლო 1960 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

1960-65 წლებში მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ და ქიმიური ბოჭკოს ქარხნებში ოსტატად, მექანიკოსად, საამქროს უფროსის მოადგილედ, მთავარი ინჟინრის მოადგილედ.

1965-68 წლებში იყო რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

1968-71 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის ქვეგანყოფილების უფროსად.

1971-74 წლებში ხელმძღვანელობდა რუსთავის მექანიკურ ქარხანას.

1974-86 წლებში იყო რუსთავის ლუდისა და ხილეულის წყლების კომბინატის დირექტორი.

1986-91 წლებში იყო ბორჯომის გაერთიანება **„ბორჯომის“** გენერალური დირექტორი.

1991-99 წლებში ისევ რუსთავის ლუდისა და ხილეულის წყლების კომბინატის დირექტორია.

იმ ხანებში ქრუსთავში შეიქმნა **„მრეწველთა კავშირი“**, რომლის თავმჯდომარეც 1995-99 წლებში ანზორ შონია იყო.

მიუხედავად დაძაბული სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული რესპუბლიკის საზოგადოებრივ-მეცნიერულ ცხოვრებაში. მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა საქართველოს ისტორია და ქართული ასომთავრული დამწერლობა.

1982 წელს ჟურნალ **„ჩირაღდანში“** გამოქვეყნდა მისი წერილი – **„რამდენიმე შენიშვნა რამაზ პატარიძის წიგნზე – „ქართული ასომთავრული“**, მან მადალი შეფასება მისცა ამ წიგნს, გაიზიარა ავტორის მოსაზრება ასომთავრული დამწერლობის ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში შექმნის თაობაზე, მაგრამ არ დაეთანხმა ქართული ანბანის ასონიშნების რაოდენობის ხელოვნურად შემცირებაში, ასონიშან **„უ“**-ნის ამოღებაში, ასონიშან **„წ“**-ილში ჩადებულ საიდუმლოების საკითხში და ბგერა **„ჟ“**-ანის ფრანგულ წარმომავლობაში.

გამოქვეყნდა მისი წერილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისადმი (**„გვარები მეტყველებენ“**. 1997 წ. თბ. რომელიც ეხება ჩვენი გამოჩენილი ენათმეცნიერის წიგნს **„უძველესი დამწერლობები და ქართული ასომთავრული“** (თბ. 1989 წ.

ანზორ შონიამ არ გაიზიარა ბატონ თამაზის მოსაზრება ქართული ასომთავრული დამწერლობის V საუკუნეში შექმნის თაობაზე და კიდევ ზოგიერთ საკითხზე.

ბატონი ანზორი ერთმნიშვნელოვნად თვლის, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში მავანი შემქმნელი გენიოსი პიროვნებაა და მიიჩნევს, რომ ის დამწერლობა გათვალისწინებული იყო საქართველოში არსებული ენების საწერად...

ანზორ შონია შეძრა აფხაზეთის ტრაგიკულმა მოვლენებმა.

როგორც სამეგრელო-აფხაზეთში გაზრდილი კაცი, ის აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული პროცესების კურსში იყო და ერთ-ერთმა პირველმა შეახსენა საზოგადოებას მოსალოდნელ საფრთხეზე.

1989 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი აფხაზი შონიებისადმი, **„ვაი ჩვენს თავს!“** (გაზ. **„ბორჯომი“**, რომელშიც სთხოვდა თავის გააფხაზებულ მოგვარეებს დაბრუნებოდნენ მშობლიურ ფესვებს.

მისი ინიციატივით 1990 წელს ქალაქ გალში შედგა შონიების საგვარეულოს შეკრება, სადაც მოწვეული იყვნენ გააფხაზებული შონიებიც. გულითადი, გულწრფელი დიალოგის შემდეგ 18-მა შონიამ აღიდგინა საკუთარი ეროვნება!

მის მოწოდებას, – სხვა საგვარეულოებსაც მიებაძათ შონიებისთვის, სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყოლია.

1989 წელს ანზორ შონიას მზად ჰქონდა ნარკვევი **„ერის დიდი სატკივარი“**, რომელშიც ის სთავაზობდა საზოგადოებას თავის მოსაზრებებს აფხაზეთის რაობაზე, უძველესი აფხაზებისა და თანამედროვე ე.წ. **„აფხაზების“** რაობაზე, აფხაზეთში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესების რეალურ არსზე და აფრთხილებდა საზოგადოებას აფხაზეთიდან მოსალოდნელ საფრთხეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, კომუნისტურ ეპოქაში ვერ მოხერხდა მისი გამოქვეყნება, ის დაიბეჭდა ჟურნალ **„პოლიტიკაში“** (1995 წ. I-VIII‘, მაგრამ უკვე სათანადო ეფექტი აღარ ჰქონდა.

1993 წელს გაზეთ **„რუსთავში“** გამოქვეყნდა ანზორ შონიას წერილი, „**ეროვნული მნიშვნელობის საბედისწერო შეცდომა“**, სადაც საზოგადოების ყურადღებას ამახვილებდა კუთხური ცნობიერების დამღუპველ როლზე აფხაზეთის მოვლენებში.

1997 წელს გამოქვეყნდა ბროშურა **„გვარები მეტყველებენ“**, სადაც ქართულ გვარებზე დაყრდნობით უაღრესად საფუძვლიანად დამტკიცა, რომ ე.წ. **„აფხაზ ერში“** დაახლოებით 80-85 პროცენტი, ისტორიული გაუგებრობის გამო გააფხაზებული ქართველია.

1989 წელს ანზორ შონიამ გამოსცა წიგნი **„დიდი საქართველოს ტრაგედია“**, რომელშიც საქართველოს ისტორიის ფონზე განხილულია აფხაზეთის ისტორია, აფხაზეთის რაობა, უძველესი აფხაზების ვინაობა, იქ მიმდინარე პროცესების რეალური არსი და ა.შ. ქართველი საზოგადო მოღვაწეებიდან, ალბათ, ერთადერთმა, რეალური არგუმენტების საფუძველზე მან შესთავაზა საზოგადოებას ასეთი მოსაზრება: აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, აფხაზეთად იწოდებოდა ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია, აფხაზეთი მისი ერთ-ერთი საერისთავო იყო, უძველესი აფხაზები ქართველები არიან, უფრო სწორად, აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები იწოდებოდნენ აფხაზებად.

ის კატეგორიული წინააღმდეგია აფხაზეთში ორაბორიგენობისა და მიიჩნევს, რომ ერთადერთი აბორიგენი ქართველები (მეგრელები არიან, მხოლოდ ეს იყო, რომ აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ აფხაზები, ხოლო ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ხალხი, ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში არიან ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსულები და მათი რაოდენობა დღესაც 10-12 პროცენტს არ აღემატება.

ანზორ შონიას წერილები და სტატიები ხშირად იბეჭდება ქართულ პრესაში. **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნდა მისი სტატია **„ერის შერიგება-გამთლიანების პროცესის შეჩერება დაუშვებელია“**, **„კუთხური ფაქტორის პოლიტიკური მიზნით გამოყენება საშიშია“** და ა.შ. ჟურნალ **„საისტორიო ვერტიკალებში“** გამოქვეყნდა (2002 წ. № 1‘ მისი წერილი, **„დავუბრუნოთ საქართველოს თავისი ისტორიული სახელი „იბერია“.**

2001 წელს გამოაქვეყნა ბროშურა **„დანაშაულის ტოლფასი უთქმელობა“** აფხაზურ საკითხზე, წიგნი **„ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა“** (2003 წელი, სადაც კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე.

2007 წელს გამოიცა წიგნი **„კოლხები ქართველების წინაპრები“**, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ შორეული წარსულიდან კოლხეთის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მთელ სამხრეთ კავკასიას. იქვე გამოაქვეყნა ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეების კოლხეთის (ეგრისის‘ სამეფოს რუკა.

2008 წელს გამოვიდა მისი ბროშურები – **„ჩვენი ქვეყნის სახელები“** და **„მეგრულ-აფხაზურ გვარებზე“.**

„საერთო გაზეთში“ გამოაქვეყნა სტატია, **„მოსაზრებანი საქართველოს ისტორიაზე“**, რომელიც ეხება ახალგამოსულ **„საქართველოს ისტორიის“** ოთხტომეულს.

ანზორ შონია არის **„ფაზისის“** და ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების წევრი.

2001 წელს აირჩიეს ქრუსთავის საზოგადოება **„რუსთაველების“** საპატიო თავმჯდომარედ.

ასეთია ამ მოაზროვნე, დაუდეგარი, პრინციპული კაცის ბარაქიანად მოვარგებული და მოჭირნახულებული წუთისოფელი. 75 წლის ასაკშიც არ ელევა საფიქრალ-საზრუნავი, რადგანაც ანზორ შონიას საფიცარი მამული ისევ დანაწევრებულია, ქართველი ერი ისევ გახლეჩილია, სოციალური ფონი დამძიმებულია, პერსპექტივა კი – მრუმე და ბუნდოვანია!

ღმერთმა სამშობლო გადაგირჩინოს და აგიღორძინოს, დირსეულო მოღვაწევ და ჩვენს წარსულზე ახალი თვალით მზირალო კაცო.

ჯონი რუხაძე,
ალექსანდრე სირაძე,
სპარტაკ ძოწულია

რედაქციისგან: გაზეთი **"ილორი"** მთლიანად უერთდება ამ მილოცვის პათოსს და მთელი გულით ულოცავს საიუბილეო თარიღს ბატონ ანზორს, რომელიც სამშობლოს უანგარო სიყვარულმა წარმატებული მეურნე კაცი ისტორიკოსადაც აქცია და აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც მრავალათასწლოვან წარსულში პროფესიონალთათვის ბევრ რასმე **„საჭოჭმანოს“** ეძიებს. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია ისტორიით ესოდენ გატაცებულ ჩვენს მეგობარს წარმატება ვუსურვოთ სამშობლოს წარსულისმცოდნეობაში.

გურამ პეტრიაშვილი საქართველოშია

ადრე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ გურამ პეტრიაშვილის საქართველოდან იძულებით წასვლა დიდი დანაკლისი გახლდათ ჩვენი ლიტერატურისათვის. იაპონიაში ერთადერთი ქართულიდან თარგმნილი წიგნი გაიყიდა დიდი ტირაჟით და ეს გახლდათ გურამ პეტრიაშვილის შესანიშნავი ნაწარმოები **"ნაღვლიანი კლოუნი"**. მაგრამ ბატონი გურამის სამშობლოდან გაძევებით დიდად არ დანაღვლიანებულან ჩვენი სახელისუფლებო კლოუნები, რადგან ისინი ყოველივე ლამაზი ქართულის ამოძირკვით არიან დაინტერესებული და როცა ამას აკეთებენ მწერლებად წოდებული ვიღაც უგვანო დეისაძეების, ყუბანეიშვილების, გოგიბედაშვილების, ბურჭულაძეებისა და სხვათა **"შემოქმედებაზე"** დაფუძნებით, იქ ჭეშმარიტად დიდ მწერალს გურამ პეტრიაშვილს არაფერი ესაქმება. ახლა კი, ჩვენდა სასიხარულოდ შევიტყვეთ, რომ ბატონი გურამი სამშობლოში დაბრუნდა. ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს ინტერვიუს ბატონ გურამ პეტრიაშვილთან, რომელიც ჯერ კიდევ კიევში ყოფნისას მისცა მან ქართველ ჟურნალისტებს.

„მე აღარავის მოველანდები, თუმცა ბევრს ახსოვს საქართველოში, რომ ვარსებობ, რაც არ სიამოვნებთ“, – ამბობს ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს წევრი, გურამ პეტრიაშვილი, რომელიც ამჟამად უკრაინაში ცხოვრობს და საქართველოში განვითარებულ მოვლენებს იქიდან ადევნებს თვალს. მწერალი, რეჟისორი და სცენარისტი პეტრიაშვილი ამბობს, რომ უკრაინაში მისი ლიკვიდაციის მუქარის გამო წავიდა. ზღაპრებისა და მოთხრობების ავტორი ახლა ახალ ნაწარმოებებზე მუშაობს და პოლიტიკურ პროცესებში აღარ ერევა.

რატომ არ მოსწონს მას ხელისუფლება და კიდევ უფრო ოპოზიცია? ვის აღებს ხელს პეტრიაშვილი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ბრალდებით და როდის აპირებს საქართველოში დაბრუნებას?

„ავტომატიან წითელ ინტელიგენციასა“ და ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მოღვაწეობაზე საუბრობს გურამ პეტრიაშვილი:

– რას საქმიანობთ უკრაინაში?

– არაფერს, ვწერ, ჩემი საქმე ახლა მხოლოდ წერაა და ვწერ.

– რას წერთ?

– ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებაა ლიტერატურა. ვწერ ახალ ზღაპრებს და მოთხრობებს.

– თუ აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?

– მე არ მინახავს არცერთ ქართველი, რომელიც არ აპირებდეს საქართველოში დაბრუნებას.

– თქვენ როდის გეგმავთ ჩამოსვლას?

– თქვენ მეუბნებით, რომ საქართველო ელოდება ჩემ დაბრუნებას? მე ასე არ ვფიქრობ. ჯერ არ არის ჩემი დაბრუნების დრო საქართველოში.

– რაც უკრაინაში წახვედით, თუ ადევნებთ თვალს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას?

– რა თქმა უნდა, ვადევნებ. საქართველოში რაც ხდება, ეს არის გაგრძელება იმისა, რაც 90–იან წლებში ხდებოდა. ამ დროს საქართველოში მოხდა პუტჩი, ჩამოაგდეს კანონიერად არჩეული ერთადერთი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მას შემდეგ ხდება უკანონო პროცესები. მაშინ ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვა: **„დაღამდა საქართველოში“.** მართლა დაღამდა საქართველოში. შევარდნაძემ ქართველ ერს წაართვა ყველაფერი, რაც ჰქონდა. რა სიმდიდრეც არსებობდა ქვეყანაში, ჩინოვნიკებმა დაირიგეს და გააღატაკეს ხალხი. ახლაც რა გააჩნია საქართველოს? ქართველი ხალხი ვერ უვლის თავის სიმდიდრეს იმიტომ, რომ არ აქვს არაფერი.

– დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებს როგორ აფასებთ?

– არ მომწონს არც ხელისუფლების მოქმედება და არც ოპოზიციის. რას გავს ეს? ინგლისელი პედერასტი მასწავლებლები, რომ შემოყარეს, მაგათმა რა უნდა ასწავლონ ქართველებს? იმ დეგენერატ ამერიკელებს ხომ შეუძლიათ, წაიყვანონ ქართველები და ასწავლონ მათ ველურ მოსახლეობას, რა არის სიკეთე და სიმართლე? იქაც კი არიან ნამდვილი ადამიანები, მაგრამ ძალიან ცოტა. არ არის საკმარისი მათთვის.

– რაც შეეხება ოპოზიციურ სპექტრს. თქვენი ოპოზიციონერობის პერიოდსა და ახლანდელს შორის, რა პარალელს გაავლებდით და ჰყავს თუ არა მმართველ გუნდს ახლა ძლიერი ოპოზიცია?

– რა ოპოზიციაა ეს? ჩვენ დროს, ჯერ ერთი ოპოზიციონერები არ გვყავდა. იყვნენ პუტჩისტები. ზვიადის უნდოდა, რომ საქართველოს სიმდიდრე ჰქონოდა ქართველ ერს, ქართველ ხალხს. მაშინდელ ოპოზიციას სურდა თვითონ შეეჭამათ საქართველო. ახლანდელ ოპოზიციასაც მასე უნდა, მარტო ჭამონ და თქვლიფონ საქართველო. ქართველი ერის მხარეს არავინაა. გარდა ამისა, არ ჰქონდათ მათ არანაირი საარჩევნო პროგრამა, რომლითაც შეცვლიდნენ ხელისუფლებას და ქართველ ხალხს უშველიდნენ, ამიტომაც ჩაფლავდნენ.

– საქართველოს პარლამეტში შექმნილი იყო ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემსწავლელი დროებითი კომისია, რომლის დასკვნაშიც ეწერა, რომ ზვიად გამსახურდიას თავი არ მოუკლავს. ეთანხმებით დასკვნის ამ შედეგს?

– ეგ რომ ნამდვილი პარლამენტი იყოს არ დაიწყებდნენ იმის ძიებას, ვინ ესროლა ზვიადს. უნდა შეესწავლა მაგ კომისიას 1991–1992 წლის პუტჩის ამბები და ყველაფერს დაარქმევდა თავის სახელს. ვინც მიიღო პუტჩში მონაწილეობა, ყველამ მოკლა ზვიად გამსახურდია. ვინ გამოკრა თითი ჩახმახს, ეს კი არ არის მთავარი. ყველამ მოკლა ზვიადი დაწყებული შევარდნაძიდან, გაგრძელებული გია ჭანტურიათი და თენგიზ კიტოვანით.

– თუ ეხმიანებით ზვიად გამსახურდიას მთავრობის ყოფილ წევრებს?

– მე ვსაუბრობ ხოლმე ხშირად ე.წ სკაიპით ბესარიონ გუგუშვილთან. ბესარიონ გუგუშვილს რომ უნდათ აკიდონ ზვიადის მკვლელობა, ეს იმას გავს, რომ რუსებმა სტალინის მკვლელობა ბერიას დაუბრალეს, ქართველმა მოკლა თვითონო. აქაც იგივე ამბავია. გუგუშვილმა კი არა, იმათ მოკლეს ვინც პუტჩი მოაწყო.

– თქვენ უწოდებდით შევარდნაძის მთავრობის წევრებს უსინდისოებს, ახლაც ასე თვლით?

– რა თქმა უნდა. ედუარდ შევარდნაძე არის უსინდისო, მაგრამ იცის, რომ არსებობს სინდისი. ახლანდელმა პოლიტიკოსებმა, კი არ იციან, რომ არსებობს სინდისი. არც აქვთ და არც იციან, რომ არსებობს.

– თქვენი აზრით, რამდენად დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური პროცესების წარმართვაში ინტელიგენცია და როგორია მათი როლი დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში?

– ჩემ დროს ინტელიგენციას ავტომატები ეჭირა ხელში და ისე დარბოდა ქუჩებში. მაგრამ ახლა რა განსხვავებაა? ვისაც რა უნდოდა, ჩაიგდო უკვე ხელში. მიუცუცქდნენ ამ მთავრობას, აქებენ, ადიდებენ და ეს მარტო იმისთვის, რომ თვითონ სასათბურე პირობებში იყონ. 1990–იან წლებში იყო საბჭოთა ინტელიგენცია და ახლაც არიან ასეთები.

– კონკრეტულად ვისზე გაქვთ საუბარი?

– მე რომ დავიწყო მათი გვარების ჩამოთვლა, ვერ მოვრჩები ალბათ მეორე დილამდე. თითო–ოროლა კაცის გამოკლებით, ყველა ჭამს არხეინად სალაფავს. ვხედავ ხოლმე ინტელიგენციის ნაწილს მიტინგებზე, რომლებიც იბრძვიან ვითომ ხელისუფლების წინააღმდეგ. სინამდვილეში, საკუთარი თავისთვის იბრძვიან. რევოლუცია, რომ არ მოხდება, კარგად იციან.

– და მაინც, როდის შეიძლება ჩამოხვიდეთ საქართველოში?

– მე რატომ წამოვედი იცით საქართველოდან? მოვიდა ჩემთან ერთ კაცი, რომელმაც მითხრა: ბატონო გურამ, დავალებული მაქვს თქვენი მოკვლა და ორ დღეში თუ არ წახვალთ საქართველოდან მოგკლავენო. ავდექი და წამოვედი.

– ვის უნდოდა თქვენი მოკვლა?

– ვინც მოაწყო პუტჩი. იმ ხალხის ნაწილი ახლაც საქართველოშია. იმ ხალხს, ვინც ჩემს სიკვდილს ელოდება, არ ვეტყვი, როდის ჩამოვალ საქართველოში.

მაშ ასე, ბატონი გურამ პეტრიაშვილი, რომელიც უსაზღვროდ უყვარს ქართველ ხალხს, თავის სამშობლოს დაუბრუნდა.

ფეხბედნიერი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ბატონო გურამ!

„ლაზიკამდე“ „ფაგისი“ ყოფილა

ანაკლიასა და ყულევს შორის ახალი ქალაქის, ლაზიკას მშენებლობამ საზოგადოებაში დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია. ისიც კი ითქვა, რომ ჭაობზე ქალაქის აშენების პროექტი ხელისუფლებამ ქართველ და ამერიკელ მილიონერებს მოპარა და თავისად გაასაღა. კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა იმის გაგება, რომ ლაზიკამდე თურმე ფაზისის აშენების იდეა ყოფილა.

კობა ბიწაძე, გამომგონებელი: **„ლაზიკას იდეა, რომ სადავო ყოფილა,„კვირის პალიტრაში“ შევიტყვე და არ მეგონა, თუ ეს სახელწოდება და პროექტი საავტორო უფლების საგანი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ჩემი აზრით, ძალით მოგონილი სიტყვაა – უცხოურ ენებზე, ალბათ, ლამაზად ჟღერს, მაგრამ ქართული ყურისათვის სიტყვა „ლაზიკა“ დაახლოებით ისეთივე ხელოვნურია, როგორც მაგალითად სვანიკა, კახიკა ან იმერიკა.**

2003-2004 წლებში მე უფრო საინტერესო პროექტს ვთავაზობდი პრეზიდენტ საკაშვილს – ქალაქ ფაზისს პალიასტომის ტბაზე. შემდეგ ჩემი პროექტი ეკონომიკის სამინისტროში გაგზავნეს და რომ მოვიკითხე, დაუკარგავთ. პრემიერ გილაურსაც გავუგზავნე, მაგრამ პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალეს და არც 8-10 მილიონი შემოუთავაზებიათ ავტორობის დათმობისათვის.

ტურისტებისათვის უფრო საინტერესო იქნება ძველი ლეგენდარული ქალაქის ფაზისის აღდგენა თავისი ისტორიული პირველსახით და იქ სპორტული ტურნირის ჩატარება „არგონავტიადის“ ან „ოქროს საწმისის თამაშების“ სახელწოდებით, რომლის მთავარი პრიზი ოქროს საწმისი იქნება.

2003-2004 წლებში საქართველოში დაიწყეს მინიქალაქების მშენებლობაზე ფიქრი შაორში, ბაზალეთის, კუს თუ ლისის ტბებზე, დიდ დიღომში, და ა.შ. ეს პროექტები ერთმანეთის ასლი იყო. ამიტომ გადავწყვიტე, რომ უფრო ეფექტური იქნებოდა საქართველოს ლეგენდარულობაზე აპელირება, რადგან შაორის მსგავსი ადგილები თუ კუს ტბის ტიპის ბიზნესსოფლები ბევრია მსოფლიოში და თუნდაც მეზობელ თურქეთში.

ტურისტების მოზიდვა შესაძლებელია მხოლოდ ახალი, ორიგინალური მიდგომით. სწორედ ეს იდეა შევთავაზე თავის დროზე ხელისუფლებას. ახალი ფაზისისათვის უნდა შემუშავებულიყო სპეციალური კონცეფცია: შენობები უნდა ყოფილიყო ხმელთაშუა ზღვის ძველი ცივილიზაციების სტილში კოლხური ოქროს დიზაინის გათვალისწინებით. ქალაქის მთავარ ნაგებობას უნდა წარმოადგენდეს სტადიონი კოლიზეუმის პროპორციებით, მაგრამ განსხვავებული, კოლხური ფასადით. შენობის ასეთი ფორმა საშუალებას იძლევა, რომ სტადიონის გარდა მასში განთავსდეს სასტუმრო ოთახები, სავარჯიშო დარბაზები, აუზები, კაფე-ბარები, და ა.შ. ასე რომ, ამ შენობის ექსპლუატაცია სპორტული ტურნირის გარეშეც მომგებიანი იქნება. ინვესტორების პოვნა რთული არ იქნება: დღეს მსოფლიოში მრავალად არიან ქართველი მილიონრები, რომლებისთვისაც ფაზისში სახლის ან სასტუმროს ფლობა პრესტიჟის საქმე იქნება.

გარდა ამისა, პალიასტომის ტბა საშუალებას იძლევა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწყალოსნო სპორტის სახეობებსაც.

ფაზისისა და არგონავტიადის პოპულარიზაციისათვის უნდა შეიქმნას კომპიუტერული თამაში „ოქროს საწმისი“. ასეთი სიუჟეტი, ალბათ, უფრო დააინტერესებს მოთამაშეებს, რადგან მასში შერწყმული იქნება ყველა სხვა კომპიუტერული თამაშის ელემენტები: ტახტისათვის ბრძოლა, შეიარაღებული რაზმის ხელმძღვანელობა, დრაკონებთან შერკინება, საკრალური საგანძურის მოპოვება და თუნდაც მიწის დამუშავება ცეცხლისმფრქვეველი ხარებით.

ეს პროექტი რომ მომგებიანი იქნება, ბევრი უცხოური მაგალითი ადასტურებს.: ერთ-ერთმა ბიზნესმენმა სამხრეთ აფრიკაში ააგო პატარა ზღაპრული ქალაქი, მის ასაშენებლად ჰოლივუდში გადაღებული ბუტაფორიების ასლები გამოიყენა. ამ ქალაქში განლაგებულია ამერიკული ფილმ-ზღაპრების პერსონაჟების ქანდაკებები და სასახლეების შედარებით მცირე ასლები, რომლებიც სასტუმროების ფუნქციასაც ასრულებენ. დღეს ზღაპრული ქალაქი ტურისტებით არის სავსე.

პროექტში ვწერდი, რომ ამ ქალაქის მშენებლობისთვის უნდა შექმნილიყო სპეციალური ფონდი, რომელიც უცხოელ ინვესტორებს მოიზიდავდა. უცხოეთში არსებობს ასეთი ფონდები, რომლებიც მთვარეზე მიწის ნაკვეთებს ყიდიან, თან საკმაოდ ეფექტურად. ფაზისის მშენებლობისთვის კი ინვესტორების მოძიება ბევრად იოლი იქნებოდა. ასევე წარმატებით იყიდება ბინები უზარმაზარ მცურავ გემ-კუნძულზე, რომელიც 5 თუ 10 წლის შემდეგ აშენდება. ფაზისი კი სტაციონარული კუნძული იქნებოდა და თან ორიგინალური სპორტული სანახაობებით“.

ე. ტუხიაშვილი

პოეზიის კუთხე

ღლაბუცია ბაღანა მაშაჯანუ ონწესი,
დიდა უბირს: „ნა-ნა-ნა-“, უძიცანსი ნინოსი,
ღლაფუცია ბაღნი იჩიებუ ონწესი,
დიდა უბირს: „ნა-ნა-ნა” აგრძელენცი ნინოსი.

მარულაფუ ბაღანა ეჩიებუ: „სუ-სუ-სუ-“
ხეს მუთმოთხუნს მანქანას, ურთანს რულს „სუ-სუ-სუ”
იძიცანცი ბაღანა, იჩიებუ: „მუ-მუ-მუ”,
ყოროფასი მარღვანა ტყვიაშორო: „დუ-დუ-დუ”...
* * *
„ნანა” ორე სწორი შარა,
ძირი, იდი, შხვა იონი,
ღორონთიში ორე შარა –
სკვამი სკვინჩაში ალიონი.
* * *
ქოთომეფქი გორგიდესი თურქეთი დო ევრო შქასი,
მიქით თირი დოთასუნი თიქი ოკო გენკოლასი,
უფალი არძაში ჯაფასი რე, მარა პუნა ბრელი მტერი.
ქორთხინთ ჩქინი ქირჩქილათი, დუდიში ვარდათ გვალო შერი.

ქეიოჯინით ჩქინი ბჟასი, მუ სკვამი დო მუ დიდი რე,
მისი ჩქინი ცა უორსინი კოჩი ორე-დუც ქუდი რე.
ჩქი მოკონა არძა რდასი, ირკოც უბაღ თე ქიანა,
ირო იბირს ჩქინი დიდა: „ოდოა”, „დიდოუ ნანა”...
* * *
ანტკეს მიღუ ბამბუკიში,
კანჯოს უღუ „პოეზია”,
სერ დო დღაში თქუანს ლექსებს,
კითხულენს ლექსებს მზია.

* * *
ქუმორთი ჩქიმდა სუსიავა,
გლახათ ვორექ გურსიავა,
უსქანეთი მა მუ ვოქუა,
ირსერც მაჭუ დუციავა.
სორექ, სორექ ლუსიავა,
აშო ქუმორთი გურსიავა,
ართიშა ქუმაჯუდუქიდა
ჭუას მემიტენს დუციავა.

ფარა ჯიბეს ბრელი ვამიღუ,
ქონებარე ჩქიმი ჭკუა,
არძა თიკოც ქუგუვალე
მიდგას უღუ საღი ჭკუა.

ვაგაშქურნას, ჩქინ თოლია,
ჩოგან ჩხორო დოვთოლია,
ქობალ-ხალვას ვემგრაკენქი –
ვავორექი ღუმსოლია!

როზმან ქამადაძე
სენაკი

უჩინო მეცნიერთა ღვაწლი

2010 წელს დაიბეჭდა ავთანდილ სიხარულიძის **“ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი”.**

ეს ლექსიკონი დიდი შენაძენია არა მხოლოდ ენათმეცნიერებისთვის, არამედ ყველა იმ ქართველისათვის, ვისაც უყვარს და ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური ენა, უძველესი იბერიული კულტურა და ისტორია.

ავტორი, ბატონი ავთანდილ სიხარულიძე, ნაშრომის შესავალში ობიეტურად აფასებს დღევანდელ ვითარებას – **“როცა ყოველგვარ ქართულს აკნინებენ, სპობენ და ანადგურებენ. როცა უადრესად მწიგნობარი ერი უწიგნურად უნდათ წარმოაჩინონ. როცა უძველესი კულტურის ერის კულტურა უნდათ ლაფში ამოსვარონ. როცა, როგორც შინაური, ასევე გარეული მტრები, ქანდარაზე შემომსხდარნი, ქართველთა საზიანოდ გაჰკივიან...”**

ეს სნობი, ქანდარაზე შემომსხდარნი ქართველები ქართულ ენაზე მეტყველებას აღარ კადრულობენ, უფრო მეტიც, სურთ სახელმწიფო ენად ინგლისური ენა გამოაცხადონ!

ბატონი ავთანდილი ამაოდ ცდილობს ამ ვაი-ქართველებს ის შეაგნებინოს, რომ ჩვენი ენა უძველესი და უმდიდრესი ენაა, რომ იბერიულმა ენამ უდიდესი გავლენა მოახდინა სხვა ენების განვითარებაზე... ავტორი იმოწმებს მსოფლიოში სახელგანთქმული ენათმეცნიერების, ორიენტალისტების, ისტორიკოსების შეხედულებებს ქართული ენის შესახებ: **“იბერიული – ღმერთების ენაა”** (ჰერბერტ ძებიში, ავსტრიელი მეცნიერი); **“ქართული ენა გამომსახველობითი საშუალებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია და არც სიტყვათა მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე განვითარებულ ენებს”** (რიჰარდ მაკელაინი, გერმანელი მეცნიერი); **“ის ხალხი, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ინგლისელებზე (ინგლისის კუნძულებზე მცხოვრებ ხალხზე), როგორც რაოდენობრივად, ასევე კულტურულადაც და უდიდესი გავლენა იქონია ინგლისურ ენაზე, არიან იბერები”** (ნორკ-სტოუნი, ინგლისელი ისტორიკოსი)...

ამრიგად, ბატონი ავთანდილ სიხარულიძე აბსოლუტურად მართალია, როცა წერს: **“ინგლისურ ენას “ელიტიკური პოლიტიკანები” იყენებენ ფარად, თავიანთი გონებრივი შეზღუდულობის დასაფარავად”.** და ეს მისეული შეფასება სუბიექტური აზრი კი არ არის, არამედ, საბედნიეროდ, სხვებიც ასე რომ ფიქრობენ, იმოწმებს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებს: **“ინგლისური ენა მდიდარ ენად მხოლოდ ქართულ “ელიტარულ” ინტელიგენციაში თუ ითვლება, ვინაიდან ის შედარებით ახალგაზრდა ენაა, რომლის ჩამოყალიბება მხოლოდ XVIII საუკუნეში დაიწყო”.**

გაზეთ **“ილორის”** ფურცლებზე ხშირად იბეჭდება ეროვნულ ნიადაგზე ამოზრდილი და მასში ღრმად ფესვგადგმული ქართველი მეცნიერების ნაშრომები ქართველური ენების ფუძეენის მეგრულ-ლაზურის, ჩვენი უძველესი ისტორიისა და კულტურის შესახებ. ეს მეცნიერები სამართლიანად საყვედურობენ ჩვენს ენათმეცნიერებსა და ისტორიკოსებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ იმეორებენ ლეონტი მროველის ტენდენციურ, გაყალბებულ ისტორიას, რომლის მიხედვით კავკასიელები, ანუ ქართველები არმენული წარმომავლობისანი ვართ და რომ, აქედან გამომდინარე, ძველი კოლხური სამყარო დედა-წულიანად და მიწა-წყლიანად სომხური ყოფილა!

საბედნიეროდ, არიან პიროვნებები, რომლებიც ლეონტი მროველის დაკრულზე არ ცეკვავენ და ეფუძნებიან დიდი ქართველი და უცხოელი მეცნიერების ობიექტურ ნაშრომებს.

ბატონ ავთანდილ სიხარულიძეს მოაქვს ცნობილი გერმანელი შუმეროლოგის ვიკტორ რებრეკის ნაშრომიდან ციტატა, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში არსებობდა წინარე ქართველური ენა, რომ შუმერულ და ქართველურ ენებს შორის არა მხოლოდ აუარება ლექსიკური შესატყვისები, არამედ გრამატიკული შესატყვისებიც არსებობს.

დიდი მეცნიერი ფრანსუა ლენორმანი მეცხრამეტე საუკუნეში წერდა: **“...ურარტული ენების გაგება შეუძლებელია ქართულის გაუთვალისწინებლად”.**

ქართულის და არა სომხურის!

“ომონიმთა ლექსიკონის” შესავალში ავთანდილ სიხარულიძე მსოფლიო დონის აღმოჩენას უწოდებს ცნობილი **“ფესტოსის დისკოს”** გაშიფვრას. მსოფლიოს გამოჩენილმა მეცნიერებმა **“დაიწყეს მისი გაშიფვრის მცდელობა იონურ-ბერძნულ დიალექტზე, კვიპროსულ, ხეთურ, ლივიურ, ფილისტიმურ, ეგვიპტურ, სემიტურ ენებზე და ა.შ. არაფერი გამოუვიდათ!”**

არაფერი გამოუვიდათ, რადგან დისკოს წარწერა ქართველურია, კერძოდ მეგრულ-ლაზური. მეგრული ენის შემწეობით დისკოს წარწერა სრულყოფილად გაშიფრა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ, რომლის შესახებ ბატონი ავთანდილ სიხარულიძე წერს: **“მე მას ვუწოდებ დიდ ქართველს, ნამდვილ მამულიშვილს, ალბათ მომავალში ნობელის პრემიის ლაურეატს”.**

ჭეშმარიტად!

ჩვენი ჩინიანი ენათმეცნიერები, ისტორიკოსები დანაშაულებრივი გულგრილობით თუ კონფორმისტული მოსაზრებებით იმ აღმოჩენის, და სხვა ამბავთა შესახებაც პირში წყალს იგუბებენ, ხმას არ იღებენ, რითაც ჩვენი მტერ-მოყვარენი სარგებლობენ და არამც თუ ძველ ისტორიასა და კულტურას გვპარავენ, არამედ ხაჭაპურსა, საფერავს, ჩურჩხელას გემრიელად მიირთმევენ, როგორც სომხების გენიალური შემოქმედების ნაყოფის – **“ჩაკრულოს”** დამღერებით!

როგორც ჩანს, მხოლოდ უჩინო მეცნიერები ცდილობენ დაიცვან ქართული კულტურა და ისტორია არაკეთილმოსურნეთა ხელყოფისაგან!

ღმერთმა გაუმარჯოთ!

თენგიზ კუბლაშვილი





ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ბერიას **"დახვრეტის"** განკარგულება და და განაჩენის სისრულეში მოყვანის აქტი, რომელიც დათარიღებულია 1953 წლის 23 დეკემბრის 19 საათითა და 50 წუთით – ეს არის სრულიად განცალკევებული საბუთი იმ განკარგულებებისაგან, რომლის საფუძველზეც დახვრეტა მიესაჯათ მერკულოვს, დეკანოზოვს, ქობულოვს, გოგლიძეს, მეშჩიკსა და ვლოძიმირსკის და, მათ მიმართ, განაჩენის სისრულეში მოყვანის აქტი, რომელიც ასევე დათარიღებულია 1953 წლის 23 დეკემბრის 21 საათით.

ორივე განკარგულება ხელმოწერილია სპეციალური გამსვლელი სამხედრო სასამართლო კომისიის თავმჯდომარის სსრკ მარშლის კონევის მიერ. მაგრამ თუ ბერიას მიმართ განაჩენის სისრულეში მოყვანა დავალებული აქვს **"სპეციალური გამსვლელი სამხედრო სასამართლოს"** კომენდანტს გენერალ-პოლკოვნიკ ბატიცკის, დანარჩენი ბრალდებულებისადმი განაჩენის სისრულეში მოყვანა დაევალა **"სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ს.პ კრუგლოვს"**. იგივეა განაჩენის სისრულეში მოყვანის აქტებთან დაკავშირებითაც. ბერიას დახვრეტის აქტი, რომელიც შედგენილია 1953 წლის 23 დეკემბერს, ხელმოწერილია ბატიცკის მიერ (თითქოსდა – შემსრულებლის) და თითქოს ამ აღსრულებას ესწრებოდნენ სსრკ გენერალური პროკურორი რუდენკო და არმიის გენერალი მოსკალენკო. ეს სამეული მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან **"ბერიას საქმესთან"** დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1953 წლის ივნისის მიწურულიდან და სწორედ მათ უნდა დავალებოდათ 1953 წლის დეკემბერის მიწურულს, უკვე დიდი ხნის მოკლული ლავრენტი ბერიას **"დახვრეტის"** აღსრულება.

ხოლო ბერიას თანამებრძოლთა ***რეალური*** დახვრეტა შეიძლებოდა დაევალებინათ სსრკ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს მუშაკებისათვი. ესენი იყვნენ სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე კ. ლუნევი, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე დ. კიტაევი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯავშანსატანკო ჯარების მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ა. გეტმანი, გენერალ-ლეიტენანტი ბაქსოვი ჰაერსაწინააღმდეგო ძალებიდან და ვიღაც გენერალ-მაიორი სოპილნიკი...

ნიშანდობლივია ისიც, რომ თუ 1953 წლის დეკემბერში რეალურად დახვრეტილი ბერიას 6 თანამებრძოლის ბრალდებულის ოქმში არის ექიმის ხელმოწერა, ლავრენტი ბერიას დახვრეტის ოქმში ამგვარი ხელმოწერა საერთოდ არ არსებობს.

ასევე არ არსებობს ბერიას ცხედრის კრემაციის ოქმი, მიუხედავად იმისა, რომ დეკემბერში ექვს დახვრეტილზე ამგვარი ოქმი საქმეს თან ერთვის.

ალექსანდრე სუხომლინოვი ყველა ამ შეუსაბამობას იმით ხსნის ბერიას ტრანსპორტირება მისი სიკვდილით დასჯის ადგილზე აუცილებელი არ გახლდათ და ეს განაჩენი **"სიამოვნებით"** მოიყვანა სისრულეში ბატიცკიმ პირდაპირ ბუნკერში (სადაც, თითქოს ფინთიხის რიკოშეტისაგან თავდაცვის მიზნით მიტანილი იყო ხის დაფა). და თითქოს სწორედ ამ ბუნკერიდან წაიღეს კრემატორიუმში ბერიას ცხედარი, რომელთაც არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა შეედგინათ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მაგრამ, ყველაფერი ეს, როგორც ბერიასადმი წამოყენებული ერთ-ერთი ბრალდების თაობაზე ამბობდა ალექსანდრე სუხომლინოვი: **"მტკნარი სისულელე და თითიდან გამოწოვილი ფაქტია!"**

სხვათა შორის, აქ უნდა დაისვას პრობლემის არსისათვის არც ისე მნიშვნელოვანია საკითხი: სად და როდის გაანადგურეს ფიზიკურად ლავრენტი პავლეს ძე ბერია?

მთავარი ისაა, თუ რისთვის დაიჭირეს და გაანადგურეს იგი. და ამ შეკითხვაზე ჩვენ კიდევ ვამცნობთ მკითხველს რეალობასთან მოახლოებულ პასუხს!

თავი 28
ორსახოვნების ზეიმი და მაღალკომპეტენტურობის ტრაგედია

ლავრენტი პავლეს ძე ბერიას უდანაშაულობა ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა ხალხის წინაშე, ასევე დასტურდება იმით, თუ როგორი მეთოდებით იქნა იგი დადანაშაულებული, დაპატიმრებული და, შემდეგ, **"სახალხოდ"** გასამართლებული.

ადრეულ პერიოდში საბჭოთა კავშირის ლიდერებს, რომელთაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფო დანაშაულში, ასამართლებდნენ ღია პოლიტიკურ პროცესებზე. იოსებ სტალინს არ ეშინოდა, რომ ხალხის მტრები ხალხის სამსჯავროზე გაეყვანა და დაემტკიცებინა, რომ ისინი მკაცრ სასჯელს იმსახურებდნენ. ბერიას შემთხვევაში კი საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ. მისი სამოქალაქო სიკვდილით დასჯა ფაქტიურად 1953 წლის 8 აგვისტოს დამთავრდა. მაგრამ, როგორ!

ამ დღეს, კრემლში, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კლიმენტი ვოროშილოვმა ხელი მოაწერა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ნიკოლოზ პეგოვმა კი მოახდინა 5 აგვისტოდან 8 აგვისტომდე მიმდინარე სსრკ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილებაზე დასმული ამ ხელმოწერის კონტრასიგნირება.

უმაღლესი საბჭოს სესია აცხადებდა:

"იმასთან დაკავშირებით, რომ გამოაშკარავდა ბერიას მავნებლური საქმიანობა, მიმართული საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, უცხოური კაპიტალის სასარგებლოდ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმად ბერიას შეუჩერდა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებულება, მოიხსნას იგი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობებიდან, ჩამოერთვას მინიჭებული სამხედრო წოდება და ყველა ჯილდო და ბერიას საქმე შემდგომი გამოძიებისათვის გადაეცეს სსრკ უმაღლეს სასამართლოს".

ეს დადგენილება თავისთავად მიანიშნებს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაბალ ინტელექტსა და არაკომპეტენტურობაზე. თუ ბერიას დანაშაული სრულად დამტკიცდა და იგი ჩამოგდებული იქნა ხელისუფლების სათავეებიდან, მაშინ, რაღა საჭირო იყო დამატებითი გამოძიებისა და სასამართლო პროცესების დანიშვნა? და რომელ სასამართლოზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი, თუ ბერია უკვე გაასამართლა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესმა შტომ?

მაგრამ თუ 1953 წლის 8 აგვისტოს თუ ჯერ კიდევ **"მიმდინარეობდა"** ბერიას დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლა და გამოძიება მხოლოდ, და თუ გამოძიება დასრულდა გვიან შემოდგომით, მაშ რის საფუძველზე მოხდა, ჯერ კიდევ ზაფხულში, ბერიას დაპატიმრება და მისი საჯაროდ გაკიცხვა?

1953 წლის 8 აგვისტოს, კანონის ფარგლებში, სსრკ უმაღლეს საბჭოს შეეძლო მხოლოდ შეეჩერებინა ბერიას, როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რწმუნებულება, მოეხსნა იგი დაკავებული თანამდებობებიდან და სანქცია გაეცა საგამოძიებო ქმედებათა დაწყებაზე. მაგრამ თუ ყველაფერი ეს გაკეთდა ჯერ კიდევ სასამართლოს დაწყებამდე, მაშინ, რაღა საჭირო იყო მთელი ეს სასამართლო აურ-ზაური, და ვიღასთვის უნდა გადაეცათ საქმე **"გამოსაძიებლად"**?

პასუხი თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთელ ამ საქმეში ყველაფერი წესრიგში არ არის!

რა თქმა უნდა, სინამდვილეში, უდანაშაულო ბერია უკვე საიდუმლოდ, ძიებისა და სასამართლოს გარეშე უკვე დახვრეტილი იყო, ან, თუ იგი ჯერ კიდევ ცოცხალი გახლდათ – როგორც კი ხრუშჩოვმა და ხრუშჩოველებმა იგრძნეს, რომ ცეკას წევრებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, უსირცხვილოდ და უნამუსოდ გასწირეს საკუთარი კოლეგა – უმაღლესი საბჭოს სესიის დამთავრების შემდეგ, ბერიას დახვრეტა უკვე უახლოესი დღეების საქმე გახლდათ. მაგრამ მე ახლა ამ საქმის სამართლებრივ მხარეზე ვსაუბრობ.

ოფიციალურად ბერიას საქმეზე გამოძიება დამთავრდა 1953 წლის დეკემბერში და ამის თაობაზე საბჭოთა კავშირის ყველა გაზეთში დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია. მაგრამ უკვე 1953 წლის 15 აგვისტოს დაიწყო საბეჭდ მანქანაზე აკრეფა და 1953 წლის 5 სექტემბერს ასევე ჩაეშვა წარმოებაში სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიის სტენოგრაფიული ანგარიში. ამის შემდეგ, ნებისმიერ საბჭოთა მოქალაქეს, რომელიც გადაიხდიდა 7 მანეთს, შეეძლო წაეკითხა სესიაზე დეპუტატების ვ.მ. ბაქრაძისა და ა.ი. მირცხულავას გამოსვლის ტექსტი. მხოლოდ ამ ორ პიროვნებას, როგორც ბერიას თანამემამულეებს, მიეცათ უფლება, რომ მაღალი ტრიბუნიდან გაეკრიტიკებინათ ლავრენტი პავლეს ძე.

და, აი, დეპუტატმა ქუთაისის სარჩევნო ოლქიდან, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბაქრაძემ, რომელსაც ბერიამ ერთხელ ახლობელთა წრეში ხუმრობით **"მეკონსერვე"** უწოდა, თქვა:

"მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის ქართული საზოგადოება განსაკუთრებული ერთსულოვნებით შეხვდა დროულ და სამართლიან ზომებს, რომელიც გატარდა ბურჟუაზული სამყაროს აპოლოგეტის ბერიას მიმართ... საბჭოთა ხელისუფლებისა და ხალხის ეს დაუძინებელი მტერი ასრულებდა იმპერიალისტთა დავალებებს, სურდა შეერყია საბჭოთა საზოგადოებისა და სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის საძირკველი, კაპიტალიზმის უღელი დაედგა საბჭოთა ხალხის კისერზე. საერთაშორის იმპერიალიზმის ჯაშუშმა ბერიამ დიდი ზიანი მიაყენა საბჭოთა საქართველოს ძლიერებასაც..." და ა.შ.

აბსოლუტურად იგივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი მირცხულავას გამოსვლაც... ყოველივე ამის შემდეგ ღირდა კი საგამოძიებო საქმეებისათვის ქაღალდის ფურცლების შევსება და უამრავი გამომძიებლის ფუჭად დასაქმება?

სამწუხაროდ, იმ ადამიანებს, რომლებიც სსრკ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიას ამზადებდნენ, საკუთარი თავისთვის ეს შეკითხვა არ დაუსვამთ. გაანადგურეს რა ბერია ფიზიკურად, ხრუშჩოვი და მისი თანამზრახველები ახლა მოწადინებულები იყვნენ, რომ იგი პოლიტიკურადაც გაანადგურებინათ. და საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლებმა – სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა თავიანთი კოლეგა ისევე სწრაფად და დაუნანებლად გასწირეს, როგორც ეს, ერთი თვის წინ, გააკეთეს კომპარტიის მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა – სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სკკპ ცეკას წევრებმა.

ამ ორივე წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გავლებული პოლიტიკური თუ საკანონმდებლო ხაზი გაჟღენთილი იყო ორგულობითა და არაკომპეტენტურობით. და ახლა, ქვეყანა, რომელიც თითქოსდა განუხრელად მიდიოდა **"ზევით და ზევით, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ"**, სინამდვილეში სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდა.

ამასთან, საბჭოთა კავშირის დაცემა და დაშლა სათავეს იღებს 1953 წელს სკკპ ცეკას ანტიბერიასეული პლენუმის დამთავრებისთანავე. მაშინ, ამ პლენუმზე, ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის დანგრევის ვერაგული გეგმის განსახორციელებლად გვერდით ამოიყენა მთელი საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტა. და მას შემდეგ, რაც ამ ელიტამ საშუალება მისცა ნიკიტა ხრუშჩოვს ვერაგულად გასწორებოდა ხელისუფლებაში მყოფ ერთადერთ საქმიან და კომპეტენტურ ადამიანს, ყველა სხვა დანარჩენები: მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ვასილევსკი, ჟუკოვი, კონევი, ზავენიაგინი, მალიშევი, თევოსიანი, კოსიგინი, პერვუხინი, პონომარენკო, ბაგრამიანი, შტემენკო და სხვანი და სხვანი – როგორც ადამიანები და პიროვნებები – არარაობებად იქცნენ.

და ისინი კარგად ხვდებოდნენ ამას!

დიახ, მე დარწმუნებული ვარ, რომ გრძნობდნენ და ვერ უმხელდნენ ერთმანეთს, რომ სტალინის მკაცრი მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილებს, საშუალება ეძლეოდათ უმწვავესი საკითხები გადაეწყვიტათ ხელაღებით, ერთმანეთისადმი **"შენ"**-ობით მიმართვით (რასაც უკანასკნელ წლებში სტალინს ვერ უბედავდა თვით მოლოტოვიც კი), და ვერ უმხელდნენ ერთმანეთს იმასაც, რომ ისტორიის კრიტიკულ მომენტში საქმისადმი ბოლშევიკური მიდგომის ნაცვლად ეხელმძღვანელათ ჩინოვნიკური, ბიუროკრატიული მეთოდებით.

რაღაც გაუგებარი რამ დაემართა მათ კოლეგასა და ლიდერს. შეიძლება ეს ხელმძღვანელი მათ სისხლს უშრობდა საკუთარი მომთხოვნელობით, მაგრამ განა ისინი ხშირად არ უშრობდნენ სისხლს ქვეშემრდომებს საკუთარი მომთხოვნელობით, თანაც, ხშირად ძალიან უმიზეზოდ? მაშ რატომ უნდა ჩამოენარცხებინათ ბერია დაბლა, თან ისე, რომ ერთხელაც არ ჩაეხედათ მისთვის თვალებში?

საქმეც იმაშია, რომ მათ ერთი რამისა ეშინოდათ – რომ ბერიაც ჩახედავდა მათ თვალებში. ეშინოდათ, რომ ამ შეთხვევაში მათ ბერიასათვის სახის არიდება მოუწევდათ.

არასდროს, სკკპ ცეკას 1953 წლის ივლისის პლენუმამდე, აქამდე ჩატარებულ პლენუმებზე, პარტკონფერენციებზე და ბოლშევიკთა ყრილობებზე არ სუფევდა ისეთი ტოტალური ორპირობა, პირმოთნეობა და ფალსიფიცირებული **"ერთსულოვნება"**, როგორც ამ უკანასკნელ ღონისძიებაზე. პირველად გაიმართა ასეთი სამარცხვინო ნიშნით სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაც.

ეს ფაქტიც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ სტალინის გარდაცვალებას სწრაფად მოჰყვა საბჭოთა პოლიტიკურ-სამეურნეო ელიტის გადაგვარება და დეგრადაცია. თუ მანამდე, ავად თუ კარგად, ნომენკლატურა მაინც ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობებს, ამჯერად მის მთავარ საზრუნავად გადაიქცა თანამდებობრივი სავარძლების შენარჩუნება. ეს გასაგებიცაა – ახლა თანამდებობა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ პასუხისმგებლობასთან, არამედ კეთილდღეობასთანაც, სახელგანთქმულ **"პაკეტთანაც"** (თანამდებობის პირები ხელფასის დამატებით პაკეტით იღებდნენ გარკვეულ ხელფასს – მთარგმნელი). თუ მინისტრს ხელფასი ჰქონდა 5.000 მანეთი, **"პაკეტით"** იგი მიღებდა 9.000 მანეთს, საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს ჰქონდა ხელფასი 4.000 მანეთი, **"პაკეტით"** კი იღებდა 5.000 მანეთს. და ეს მაშინ, როცა კვალიფიციური ინჟინერის ხელფასი შეადგენდა 1.000-2.000 მანეთს.

ბერიასა და მალენკოვის ინიციატივით, 1953 წლის აპრილში ეს **"კონვერტები"** და ნომენკლატურული კატეგორიისათვის განსაზღვრული სხვა შედავათები გაუქმდა. სიტყვისათვის, ჯერ კიდევ სტალინის მმართველობის ჟამს, ასევე ბერიას ინიციატივით, გაუქმდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სისტემაში მომქმედი სპეციალური მაღაზიები, სადაც სოლიდური ფასდაკლებით იყიდებოდა პირველადი მოხმარების სავადასხვა საქონელი.

ახალ კი **"კონვერტი"** ბრუნდებოდა. და მის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო არა მხოლოდ საქმიანი თვისებების გამოვლენა, არამედ იმის დემონსტრირებაც, რომ უნაკლოდ შეგეძლო გეცეკვა ხელმძღვანელობის, უპირველესად, რა თქმა უნდა – ხრუშჩოვის მიერ დაკრულ მუსიკაზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჰამლეტ ჭიპაშვილი: თუ ასე გაგრძელდა, საქართველო აღარ იარსებებს

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით დაიწყო ახალი პროგრამის "ისწავლე საქართველოში" განხორციელება. პროგრამა შემუშავებულია თურქეთში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, რაც გულისხმობს იმას, რომ თურქეთის მოქალაქეებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ უგამოცდოდ და სრულიად უსასყიდლოდ ისწავლონ ქართულ უნივერსიტეტებში. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს ხელისუფლება თურქეთის მიმართ განსაკუთრებულო მზრუნველობას იჩენს, უკანა პლანზე სწევს ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ ინტერესს. რამდენად გამართლებულია ხელისუფლების მიმართ გატარებული ეს პოლიტიკა, რა შედეგები შეიძლება მივიღოთ წლების შემდგომ ამ და სხვა საკითხებზე, ექსპერტი ჰამლეტ ჭიპაშვილი საუბრობს.

– ბატონო ჰამლეტ, რამდენად გამართლებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ თურქეთის მიმართ გატარებული პოლიტიკა, რა ხდება, "დიდი თურქობა" კიდევ ერთხელ დაიწყო საქართველოში?

– თურქეთთან მიმართებაში ჩვენი პოლიტიკა ისეთია, რომ თუ ეს ასე გაგრძელდა, ალბათ საქართველო სულ მალე აღარც იარსებებს. სააკაშვილს და მის ოჯახს, მე მხედველობაში მყავს ქალბატონი გიული, ძალიან დიდი ტრფიალი აქვთ თურქეთის მიმართ. ეს ქალბატონი არის თურქოლოგი. მას არაერთხელ უთქვამს და ეს პატივცემულ სააკაშვილსაც გაუმეორებია, რომ თურმე თურქები არიან ჩვენი ისტორიული მეგობრები და არა მტრები. ერთი შეხედვით ეს მე მაოცებს, მაგრამ როდესაც ქალბატონი თურქოლოგი ასეთ სისულელეს აცხადებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მას ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვს სტორიაზე, ცუდი ის არის, რომ ამ ყველაფერს იზიარებს რესპუბლიკური პარტია თავიდან ბოლომდე. მე არაერთხელ მომისმენია ძმები ბერძენიშვილების ასეთი განცხადებები თურქების მიმართ და მას, სააკაშვილის დედის იდეას თურქეთის მიმართ, აქვს ძალიან ფართო გასაქანი თუნდაც ე.წ. ოპოზიციაში. მართალია, ეს ყველა ოპოზიციონერს არ ეხება, მაგრამ რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის ფრთებქვეშ შეკედლებულ ე.წ. ოპოზიციას, ისინი აშკარად ითვლებიან ამ კურსის მატარებლად საგარეო პოლიტიკაში, რასაც ატარებს სააკაშვილი. რაც შეეხება პირდაპირ თემას, ასეთი დამთმობი პოზიცია თურქეთის მიმართ გამოწვეულია ასევე საკითხის უცოდინარობითა და, რაც მთავარია, ჯერ თავო და თავოო და მერე ცოლო და შვილოო, ამ პრინციპით. ავიღოთ ნებისმიერი მინისტრი ანდა სხვა ე.წ. პოლიტიკოსი. ისინი ალბათ სადღაც ფიქრობენ, რომ მათი ბატონობის წერტილიც დაისმება და აღარ იქნებიან ისინი ხელისუფლებაში. მაგრამ, ამავე დროს, ერთი წუთითაც არ ფიქრობენ იმას, რომ რასაც ისინი ახლა აშავებენ, ეს ცუდად წაადგება მთელ ქვეყანას. ამაზე არცერთი მათგანი არ ფიქრობს, ისინი დღევანდელი კვერცხის პრინციპით ცხოვრობენ. დღეს საქართველოში 23 ათასი თურქი ცხოვრობს ბათუმში, მისი მოსახლეობა სულ არის 130 ათასი კაცი, უკვე ნათელი ხდება, საითაც მივდივართ. ამას დავუმატოთ მეჩეთის მშენებლობის საკითხი, თურქი იდეოლოგების გამონათქვამები, რომ უნდა იყოს დიდი თურქეთის კავშირი, რომელშიც თავისთავად შევა კავკასია, ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი საქმე გაცილებით მძიმედაა, ვიდრე გვგონია. ყველაფერში თანხმობა ნიშნავს იმას, რომ თურქეთმა იყიდა სააკაშვილის ოჯახი და აკეთებს იმას, რაც თურქს მოესურვება. როდესაც დედაქალაქის მერი ორ კაპიკად იყიდება ისეთ მობილურ კომპანიაზე, როგორიც არის **"ჯეოსელი"** და ორი კვირის განმავლობაში იისფრად ჩააბნელებს რუსთაველის პროსპექტს, გადაღებავს ავტობუსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ აქ არარ ცხოვრობ, შენ არ ხარ არაფერი, ვიღაც თურქი თავზე გაჯდება და ქალაქის მერსაც და ქვეყნის პრეზიდენტსაც ორ კაპიკად ყიდულობს. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მარჯანიშვილზე ყოველი ფეხის ნაბიჯზე არის თურქული რესტორანი, ამ რესტორნებმა ახლა გადმოინაცვლა სხვა უბნებშიც. ამას დავუმატებთ იმასაც, რომ რაც პროდუქტი შემოდის არის მდარე ხარისხის თურქული. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არაფერს არ წარმოვადგენთ. ყველაფერს გვკარნახობენ, რა როგორ უნდა გავაკეთოთ. მაგალითად, თურქი მესხები უნდა ჩავასახლოთ თურქეთის საზღვართან და ასე შემდეგ. ანუ გავლენა პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ მაღალია თურქეთის მხრიდან, ისევე, როგორც ისრაელის მხრიდან. ამას ემატება ამერიკაც და, ჩვენი საქმე ისეთია, რომ ძაღლი არ დაჰყეფს. ასე რომ, მე სულაც არ მიკვირს ის ამბავი, რომ თურქი სტუდენტები ჩამოყავთ სასწავლებლად. ანუ იმაში, რომ ეს ქვეყანა უნდა გაათურქონ, სააკაშვილის და მისი დედა ცუდს ვერაფერს ხედავენ და რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, ვერ ხედავს ქართული საზოგადოება.

– ანუ, მივდივართ იქამდე, რომ ფაქტიურად ხდება მთავარი საკითხიდან საზოგადოების ყურადღების გადატანა შედარებით უმნიშვნელო საკითხზე, მაგალითად, რუსეთზე...

– განა ასე არ არის, როდესაც სააკაშვილის ამბობს, რომ საქართველოსათვის ყველაზე დიდი მტერი არის რუსეთი? არადა რუსეთმა გადაგვარჩინა მუსლიმანებისაგან განადგურებას და ქვეყნის მოსახლეობა 450 ათასიდან გახდა ხუთი მილიონი, დღეს, ოცი წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა დაეცა სამ მილიონზე და აქედანაც მილიონამდე არის სომეხი და აზერბაიჯანელი. ფაქტიურად, დემოგრაფიული თვალსაზრისით არის კატასტროფული მდგომარეობა. საქართველო, გაეროს მონაცემებით, არის იმ ერებს შორის, რომლებიც დასაღუპად არიან განწირული. ასეთ ვითარებაში იმისათვის, რომ ჩვენ გამოვფხიზლდეთ, გვჭირდება, რომ როგორმე მოვახდინოთ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ამ ვითარებიდან ჩვენი ერთადერთი მხსნელი არის რუსეთი. არც თურქს, არც ამერიკელს არ აინტერესებს ქართველი კაცი, მას აინტერესებს თავისი გავლენა ამ რეგიონში. ქართველი აქ არის უბრალო შემსრულებელი, რომელმაც უნდა შეასრულოს ისეთი საქმე, როგორიც არის მეძავობა, ტაქსის მძღოლობა, ოფიციანტობა და ა.შ. ვიღაცა ხომ უნდა იყოს ქუჩის დამგველი და ამ ქუჩის დამგველს ამერიკიდან ან თურქეთიდან ხომ არ ჩამოიყვანს. ამას შეასრულებს ქართველი. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ ამაზე ვიფიქროთ, არის რუსეთის გახელებული ლანძღვა-გინება, არის ლაპარაკი იმაზე, რომ რეს თუ არა, ხვალ, რუსეთი შემოვარდება საქართველოში. ამ დროს თურქეთმა ფარულად, ყოველგვარი შემოვარდნის, ყოველგვარი ტყვიის სროლის გარეშე დაიპყრო აჭარა და ნელ-ნელა შემოვიდა მთელ საქართველოში. სწორედაც, რუსეთის ლანძღვის შედეგად ხდება საზოგადოების ყურადღების მიპყრობა რუსეთისაკენ. ამ დროს გათავისუფლდა მოქმედების გარკვეული არეალი და ამ არეალში დიდი ხანია შემოვიდა თურქეთი და ისე აფათურებს ხელს ჩვენს საშინაო და საგარეო საქმეებში, როგორც დაგიბარებიათ. ეს ყველაფერი ხდება შეგნებულად, რომ მივცეთ თურქეთს, ისრაელს საშუალება, კიდევ უფრო გაშალონ ფრთები. საქართველო აქ აღარავის ახსოვს. ამ ხელისუფლებისთვის სამშობლოს მცნება აღარ არსებობს და არც ქართული ისტორიის ცნება. ეს არის ტვირთი, რომელიც სულაც არ სჭირდება ამ ხელისუფლებას.

– რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე ალბათ დიდი ხანი ვერ ვილაპარაკებთ, ბოლო პერიოდში ხელისუფლების უნიათობის წყალობით კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია. მეტიც, ზოგიერთი ექსპერტი ახალ რუსულ აგრესიაზეც კი წინასწარმეტყველებს.

– ჯერ ერთი, საქართველოში ექსპერტები თუ არიან, არ ვიცოდი. ექსპერტი ეს არის მიკერებული სახელი. ჩიტაძეები და სესიაშვილები ექსპერტებად ვერ ჩაითვლებიან. ესენი არიან გამოუცდელი ყმაწვილები, პოლიტიკის გაგებაში რომ არ არიან და არახუნებენ იმას, რაც დასჭირდებათ, რაც ხელისუფლებას სჭირდება. ესენი სხედან ამერიკულ გრანტებზე და რომელ ექსპერტობაზეა საუბარი, როდესაც მუშაობენ ამერიკული დაკვეთით და არ არიან ნეიტრალურნი. ამერიკას სურს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იყოს რუსეთის გავლენა, სურს, რომ იყოს თურქეთის გავლენა, ისრაელის გავლენა, იმიტომ, რომ ესენი ამერიკის სტრატეგიული პარტნიორები არიან. რუსეთი ყოველთვის იქნება სხვა, ვინაიდან ეს არის ერთადერთი სახელმწიფო ჩინეთთან ერთად, რომელიც ექიშპება მსოფლიო ბატონობაში. რაც შეეხება რუსეთის ვითომ აგრესიას, ამათი შიშით, რუსეთს ვეღარ ჩაუტარებია წვრთნები. რუსეთმა გარკვევით თქვა, რომ იმ მანევრებში, რომელსაც რუსეთი გეგმავს ამ შემოდგომით, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან ჩართული ის სამხედროები, რომლებიც არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რატომ ყვირიან ესენი, მაგალითად, მამუკა არეშიძე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ცოტა ისტორიაც უნდა იცოდე. მსახიობს ისტორიის ცოდნას ვერ მოსთხოვ. ასეთი ექსპერტები გვყავს. არ აქვს მნიშვნელობა, სად იქნებიან, ოპოზიციაში თუ ხელისუფლებაში, ოპოზიციას ულოკავენ უკანა ნაწილებს თუ ხელისუფლებას, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ესენი ერთი ბატონის ქვეშ არიან და ეს ბატონი არის ამერიკის შეერთებული შტატები. იქიდან იღებენ დაფინანსებას და ცხადია, ისინი ყოველთვის ილაპარაკებენ რუსეთის აგრესიაზე და ამით ძალიან ცუდ საქმეს უკეთებენ საქართველოს. აქაც იგივე პრინციპი მოქმედებს, ყველას საკუთარი კუჭის ამოყორვა უნდა და ამისათვის ამერიკელი აძლევს ფულს, რომ ილაპარაკოს ანტირუსულად, ამიტომაც ლაპარაკობს მამუკა არეშიძე, რომელიც გვაკვირვებს ძალიან ბრძნული აზრებით. ეს მამაცხონებული, ჯერაც ვერ მოსულა აზრზე, რა მოხდა 2008 წელს, სხვებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ვართ ამ ჩიტაძეების, არეშიძეების და ვიღაც იდიოტების გარემოცვაში და ლაპარაკობენ რუსულ აგრესიაზე. რა დროს რუსული აგრესიაა, შე მამაცხონებულო, აგერ, თურქეთი თბილისშია შემოსული, ხელისუფლებაში გიზის ებრაელობა და სომხობა.

– მაგრამ სამომავლო პერსპექტივაშიც კი არ არის ისეთი ძალა, რომელსაც ეყოფა იმდენი ჭკუა, რომ დაფიქრდეს მაინც რუსეთთან ურთიერთობის დალაგების აუცილებლობაზე...

– ჩვენი უბედურება არის მრავალწახნაგოვანი. ოპოზიცია ხვდება მხოლოდ ერთ რამეს – როგორმე მეტი ფული გამოგლიჯოს ამერიკელებს. რუსებს რომ მიეცათ ფულები, ესენი უკვე ისე იქნებოდნენ რუსების უკანალში შემძვრალი, რომ იქიდან გამოყვანა ძალიან გაჭირდებოდა. ბიძინა ივანიშვილი ისე დაფრთხა, რომ რუსეთში თავისი ბიზნესის გაუქმებაზეც კი გააკეთა განცხადება. რა დონის კურდღელი და მშიშარა უნდა იყოს კაცი, რომ ეს სისულელე თქვას. რუსეთი კვებავს ამერიკულ ბიზნესს, ევროპულ ბიზნესს და რა გამოდგა ასეთი ეს მშიშარა ივანიშვილი, რომელსაც იმდენად შეეშინდა ბერძენიშვილების და ალასანიასი, რომ უარი თქვა ყველაფერზე. საქართველო ამ ადამიანებს არ სტკივათ, ისე, როგორც არ სტკიოდა სევარდნაძეს და სააკაშვილს. ახლა დავრწმუნდებით, რომ იგივეს გააკეთებს ივანიშვილიც, თუ იგი მოვიდა ხელისუფლებაში.

– ჩვენი საბოლოო შედეგი რა იქნება?

– საბოლოო შედეგი არის უკვე – რამდენიმე სოფელი დაიშალა, ჩამოასახლებენ თურქ-მესხებს, რომლებმაც ორი სიტყვა არ იციან ქართული და არც არანაირი განწყობა აქვთ ამ ქვეყნის მიმართ, ერთის გარდა, რომ აქ მოხდეს თურქული პოლიტიკის გატარება. ებრაელი თავისთვის იგლიჯება, ამერიკელი თავისთვის და ეს ორი კაკალი ქართველი ვერაფერს ვერ მივაღწევთ. გადაკეტილია ყველანაირი საინფორმაციო საშუალება, რომ ეს ხალხი საღათას ძილიდან გამოაფხიზლონ. უნდა შეიგნოს ამ ხალხმა, რომ თურქთან ჩახუტება კარგს არაფერს მოგვიტანს. მე არ ვამბობ, რომ უნდა ვიომოთ თურქთან ან სხვა ვინმესთან, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ბალანსირებული პოლიტიკა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ისეთივე წაკუზული, როგორც დღეს ვართ წაკუზული ამერიკელების წინაშე, თურქების წინაშე, და რატომღაც ვექიშპებით რუსს, ვითომ რამის თავი გვქონდეს.

მონასტერ უდაბნოში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან

6 მაისის შემდეგ, დავით გარეჯში, მონასტერ უდაბნოში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან. ამის შესახებ **„ინტერპრესნიუსს"** დავით გარეჯის მონასტრის მღვდელმონაზონმა კირიონმა განუცხადა.

მისივე თქმით, 6 მაისს, გიორგობას, როდესაც ბერები წირვაზე იმყოფებოდნენ, მომლოცველებისგან შეიტყვეს, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ისინი უდაბნოს მონასტერში აღარ შეუშვეს.

მღვდელმონაზონ კირიონის განცხადებით, მომხდარის შესახებ საპატრიარქოს შეატყობინეს, საპატრიარქომ კი – საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩააყენა საქმის კურსში, თუმცა ხელისუფლებას რეაგირება ამ დრომდე არ მოუხდენია.

მღვდელმონაზონის ცნობით, მონასტერი უდაბნო დავით გარეჯის მონასტრის მომიჯნავეა და უფრო მაღლა მდებარეობს. იქ აზერბაიჯანელი სამხედროები, მონასტრის ბერების გარდა, უკვე არავის აღარ უშვებენ, მათ შორის – მომლოცველებს.

მისი ცნობით, ქართველი მოსაზღვრეები დავით-გარეჯის ტერიტორიის მხოლოდ პატრულირებას ახდენენ და სამონასტრო ლავრასთან ახლოს დგანან, სასაზღვრო ზოლთან პერიოდულად მიდიან და შემდეგ უკან ბრუნდებიან.

მღვდელმონაზონის ინფორმაციით, აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, რომ ეს მათი ტერიტორიაა და მონასტერი უდაბნო ალბანური კულტურის ძეგლია.

„აზერბაიჯანელი მესაზღვრეები და აზერბაიჯანის ხელისუფლება თავის ინტერესებსა და პოლიტიკას ახორციელებენ. ჩვენ რას ვშვრებით, რატომ არ ვუფრთხილდებით ჩვენსას და არ ვდგავართ პრინციპულ პოზიციაზე?! ჩვენი სახელმწიფო, ხელისუფლება ჯერჯერობით არაფერს არ აკეთებს იმისთვის, რომ დაიცვას უწმინდესი ადგილი, ისტორიული მიწა-წყალი, სადაც 6 ათასი გარეჯელი ბერი მოისრა", – დასძინა მამა კირიონმა.

მისივე თქმით, სასურველია ხელისუფლებამ მიიღოს გადამჭრელი ზომები და ამ პრობლემის მოგვარებაში ჩაერთოს სამოქალაქო სექტორი და მთელი ერი.

„ადრე, როდესაც გარეჯში პოლიგონი იყო, ვამბობდით, რომ აფეთქებები სენაკებს აზიანებენ. ამის გამო მაშინ მაშინ მთელს იმპერიას დავუპირისპირდით. დღეს გარეჯი არა თუ ზიანდება, არამედ მას საერთოდ ვკარგავთ", – აღნიშნა მღვდელმონაზონმა კირიონმა.

მღვდელმონაზონი მიიჩნევს, რომ თუ ამ პრობლემას რეაგირება არ მოჰყვება, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დროთა განმავლობაში მონასტერ უდაბნოში ბერებსაც აღარ შეუშვებენ.

საინტერესოა, როდემდე უნდა ვიყოთ ესოდენ ბრიყვები და სათანადო რეაგირება არ მოვახდინოთ ჩვენი მეზობლების ყოველგვარ ზღვარსგადასულ თავხედობაზე?

ჩვენ ყველას ფეხქვეშ ვედებით, არც მუსულმანებს ვუშლით მეჩეთების აგებას და არც სომხებს ვეწინააღმდეგებით გრიგორიანული სალოცავების ამოქმედებაში. მაგრამ, აბა, გაბედეთ და კახის რაიონში შეიტანეთ თუნდაც ერთი ქართული წიგნი – თუ არ დაგაპატიმრეს, წიგნს მაინც ჩამოგართმევენ და სემდეგ გაანადგურებენ!

ნუთუ დიდხანს უნდა გაგრძელდეს ჩვენს მიწაზე ჩვენი დუმილი და გადამთიელთა პარპაში?

მაგრამ რას ვერჩით აზერბაიჯანელებს და ქართული მიწის გადაყლაპვის სხვა მსურველებს, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა ნინო კალანდაძემ თავად აღიარა, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია ყოველთვის აზერბაიჯანის შემადგენლობაში იყოო.

მოკლედ, არაფრად უღირთ საქართველოს ტერიტორიები სააკაშვილსა და მის **"ნაცებს"**. განა სააკაშვილი არ იყო, ამას წინათ რომ განაცხადა: **"აფხაზეთი არასოდეს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაშიო"**.

მოკლედ, თუ ეს არაქართული ძალა დრულიად არ მკოვიშორეთ თავიდან, საქართველოდან მხოლოდ შუა ქართლში მდებარე სოფელი ხცისი დაგვრჩება!

ხმები იმის თაობაზეც გავრცელდა, რომ სააკაშვილი და **"ნაცები"** აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან გარიგდნენ, რომ მათ გარეჯის ტერიტორიას გადასცემენ მოსალოდნელ საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის ხმების სანაცვლოდ, რაც არ უნდა იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული, რადგან ცხოვრებამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ სომეხ სააკაშვილს დიდად არ უღირს საქართველოს ტერიტორიები და მუდამ ვაჭრობის საგნად იყენებს მას.

მაგრამ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები მაინც სცილასა და ქარიბდას შორის აღმოჩნდებიან, რადგან აზერბაიჯანული ხმების მოპოვებით ისინი დაჰკარგავენ საქართველოს სომხური მოსახლეობის ხმებს, რომლებიც ალბათ ნაცებისაგან თურქული გენოციდის აღიარებას მოითხოვენ. ხოლო, თუ საქართველოს გზააბნეული ხელისუფალი სომხების ამ მოთხოვნას შეასრულებს, მაშინ, ბუნებრივია, სამუდამოდ დაჰკარგავს ამ ამბით განრისხებული მუსულმანების ხმებს. ან, სომხების კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, იმოქმედებენ მათთვის ჩვეული მზაკვრული ხერხით – ჯავახეთი ხმების სანაცვლოდ!

ასე რომ, სააკაშვილი და მისი **"ნაცები"** მართლაც მძიმე არჩევნის წინაშე დგანან, რომლის გადასაწყვეტად მათ არამც თუ საქართველოს, არამედ, ალბათ, უკიდეგანო რუსეთის ტერიტორიაც კი არ ეყოფათ!

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

სახელგანთქმულმა ქართველმა მეცნიერმა ბატონმა კლიმენტი შელიამ შექმნა უძვირფასესი ნაშრომი „კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე (კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება)“ რომელიც მიუძღვნა თავისი ძმის თეოფანე ივანეს ძე შელიას ნათელ ხსოვნას.

დიდი მეცნიერი კონკრეტულ ისტორიულ წყაროებზე დაკვირვებისა და ხანგრძლივი კვლევების შედეგად ასკვნის, რომ კოლხურ კვალს ისტორიის შორეულ წარსულში – საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. ეს კვალი დროთა განმავლობაში იკარგება და იშლება.

კოლხებმა პირველებმა შვიდი-რვა (შეიძლება თერთმეტი) ათას წელზე მეტი ხნის წინ შექმნეს სახელმწიფოებრიობა. კოლხებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა შექმნეს დამწერლობა, ანბანი, ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო ენა. მათ გამოიგონეს მეტალურგიული წარმოება, საფუძველი ჩაუყარეს არა მარტო მედიცინას, არამედ მეცნიერების რიგ დარგებს. ფაქტობრივად, ერთ-ერთმა პირველებმა მოჭრეს მონეტა – **„კოლხური თეთრი“**; კოლხები იყვნენ უპირველესი ზღვაოსნები, გემთმშენებლები, ასტრონომები და ასტროლოგები, პირველებმა გამოიყენეს ხორბლისა და ვენახის კულტურული ჯიშები. კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება.

წიგნის რედაქტორები არიან **პროფესორი ჯემალ ჯინჯიხაძე,** და აწგანსვენებული **პროფესორი თეიმურაზ მიბჩუანი.** რეცენზენტები არიან **პროფესორები მამანტი ძაძამია, მურმან პაპაშვილი და ბეჟან ხორავა.**

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს აღნიშნული წიგნიდან.

***

ბერძნებამდე ელადაში და ხმელთაშუა ზღვის აუზში კოლხი-პელაზგები ცხოვრობდნენ, რომელთა ფუძის დამდები ეპონიმია პელაზგოსი და რომელიც ეგოსურ ადამად ითვლება. ჰომეროსი მას „ღვთის სადარ პელაზგოს“ უწოდებს, ჰესიოდე დედამიწისაგან წარმოშობილ პირველ ადამიანად“ მიიჩნევს. პელაზგოსი (პელაზგისი) ითვლება ქალღმერთ ჰერას წინაპრად.

კოლხებს უძველეს დროში დამწერლობა ჰქონიათ.

ჰეროდოტე

უძველეს დროში იყო ქვეყანა ანტლანტიდა, რომელიც კატასტროფის დროს განადგურდა. იბერები ამ კუნძულზე გადარჩენილი ხალხის შთამომავლები არიან

პლატონი

ვარსკვლავები, ცაზე რომ ციმციმებენ, არ არსებობდნენ, მაშინ საბერძნეთში მხოლოდ არკადიელები იყვნენ, მთვარის დაბადებამდე ცხოვრობდნენ. ერთმა იქ მცხოვრებმა უამრავი ქალაქი დააარსა, მათ შორის ეა (აია). მათ შენახული აქვთ მამებისაგან ნაწერი კირმები, სადაც წყლის და ხმელეთის ყველა საზღვარია ნაჩვენები.

აპოლონიოს როდოსელი

ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო!

ვაჟა ფშაველა

ქართველები არიან ქადეველნი.

მიტროპოლიტი კირიონ II

ქართველებს ენათმეცნიერება სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართლურად მოსაუბრენი შეადგენს; მეორეს, იბერიელნი; ხოლო მესამეს სვანები.

იმერლები და გურულები გაქართველებულ მეგრელებად უნდა მივიჩნიოთ.

ივანე ჯავახიშვილი

იბერიადა იწყება კოლხეთით. კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე,

ლევან სანიკიძე

წინათქმის მაგიერ

წინამდებარე ნაშრომი დაწერილია უადრინდელესი წარმართული მითოლოგიების, ანტიკური და შემდეგი დროის ავტორების, ქართველ მეცნიერთა, მკვლევართა შრომების საფუძველზე. ნარკვევში თავმოყრილი და განზოგადებულია არსებული ლიტერატურული მასალები და წყაროები.

ავტორის მიზანი იყო მეცნიერების მიერ უკვე მოძიებული და ცნობილი წყაროებისა და მასალების ანალიზის საფუძველზე შექმნა დამოუკიდებელი ნაშრომი, რომელშიც გამოთქმულია საკუთარი მოსაზრებები, გაკეთებულია ახლებური დასკვნები და განზოგადოებები, მოძიებულია ახალი მასალები.

ნაშრომში წარმოჩენილია კოლხი ხალხის ათასწლეულის წინანდელი ცივილიზაციის განფენილობის არეალი – ევროპა, მცირე აზია, წინა აზია, შუამდინარეთი, ხმელთაშუა ზღვისპირეთი, ტერიტორიები მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდილოეთ ინდოეთის რეგიონი კავკასიის ჩათვლით. წინაბერძნული მოსახლეობა კოლხური მოდგმისანი არიან (პელაზგები, ეტრუსკები), რომლებმაც ანტიკური, ბერძნული კულტურისათვის წინაპირობები შექმნეს და კაცობრიობის განვითარების, ცივილიზაციის მესაძირკვლენი, მებაირახტრენი გახდნენ.

ისტორიისათვის ცნობილია, რომ ძვ. წ. 3200-3100 წელს (5200-5100 წლის წინ) არსებობდა მსოფლიოს უძველესი და უპირველესი ქალაქი კულხა-კოლხა (შემდგომში ქ. ნიმროდი) მდ. ბურანუნის (ევფრატის) ქვემო წელში.

საისტორიო მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კოლხეთი მსოფლიოს პირველი ქვეყანაა და კოლხებმა მრავალი ათასი წლის წინ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა შექმნეს სახელმწიფოებრიობა.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ შუმერების ტოპონიმიკის უდიდესი ნაწილი არაა შუმერული, ასევე, მრავალი ქალაქის სახელწოდების წარმოშობაც არ იყო დადგენილი. დაუზუსტებელი იყო შუმერების შუამდინარეთში მოსვლის დრო, თარიღი. ცნობილია, რომ შუმერეთში არსებული სახელწოდებანი – ტოპონიმები გაჩნდნენ მათ მოსვლამდე იქ მცხოვრები ხალხებისაგან.

მრავალი შუმერული სიტყვა, ასევე, ტერმინები, ღმერთების, ტაძრების, ქალაქების, მთების, მდინარეების, ლიტერატურული გმირების, არქიტექტურული ძეგლების სახელები შუმერეთში ეკუთვნით მეგრულ-ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს, ე. ი. იხსნება მეგრულ ენაზე. მაგალითად, შუმერის უდიდესი ღმერთების – ანის, ენლილის, ენქის, მარდუკის, ნანას, ასევე, ტაძრების – ეანნას, ენგურის, ექურის, ეშარას და სხვათა სახელები იხსნება მეგრულ ენაზე. ასევეა წარღვნამდელი ხუთი ქალაქის (ერედუ, ბადთიბირა, ლარაქი, სიფარი (ზიფარი), შერუფაქი და წარღვნის შემდგომი პერიოდის სხვა ქალაქების სახელები.

უდიდესია მეგრელ-ლაზთა წამყვანი როლი უძველესი დროის მსოფლიო ისტორიაში, რომლებმაც პირველებმა ჩაუყარეს საფუძველი კლასიკურ რელიგიას, კულტურას, ცივილიზაციას.

ქალაქები – კულხა, იერუსალიმი, ედესა, ანტიოქია – თანამედროვე ბაღდადი და მათი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიები კოლხების საცხოვრისი იყო. კოლხები იქ ცხოვრობდნენ შუმერების მოსვლამდე მრავალი საუკუნით ადრე. ბევრი მკვლევარი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ შუმერი იგივე მეგრელია (კოლხია). აღსანიშნავია, რომ ბაბილონი დააარსეს **„შუმერებმა“** III ათასწლეულის შუა პერიოდში, ხოლო მათი პირველი დინასტია არსებობდა ძვ. წ. 1894-1595 წლებში.

მიგვაჩნია, რომ კოლხური (მეგრული) ენა მსოფლიოს უპირველესი ენაა. ის დიდი ხნით უსწრებს ლათინურ და სხვა ენებს. ანბანური დამწერლობიდან სათავეს იღებს კაცობრიობის, ცივილიზაციის განვითარება. ძველ კოლხებს ჰქონდათ ბიბლიოთეკა, არქივი, რუკები, წიგნსაცავები. კოლხეთი მსოფლიოს უპირველესი ქვეყანაა. დადასტურებულია, რომ კოლხებს 4 ათასი წლის წინათ დამწერლობა ჰქონდათ (**„ფესტოსის დისკო“ – „კოლხური ოქროდამწერლობა“**; ჰეროდოტე ამბობდა: კოლხებს ძველ დროში დამწერლობა ჰქონდათ და სხვ).

ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ძველ სამყაროში ეგვიპტური (ჯოსერის) პირამიდის მშენებლობის ხელმძღვანელის, დიდი არქიტექტორის, ეგვიპტეში ქვის მშენებლობის ფუძემდებლის **იმხოტპის** (იმჰოთეფის) სახელი – კოლხურის (მეგრულის) მსგავსი სახელია.

ეგვიპტელ მონარქთა **„მეფეთა ველზე“** ნაპოვნი ფარაონთა სასწაულებრივი, **„ხელთუქმნელი“**, მსოფლიოს შვიდი სასწაულიდან (საოცრებიდან) პირველი, პირამიდები – სარკოფაგები და იქ თავმოყრილი ოქროს ნაკეთობანი – სამკაულები, სკულპტურული ქმნილებანი, კოლხ ოსტატთა ნახელავია. (კოლხეთი ოქრომრავალი ქვეყანა). ეგვიპტეში პირამიდის მშენებლებს კოლხებს უწოდებდნენ. ქიმეთის (ეგვიპტის) ფარაონ ექნატონის (ახეტატონი, ეუნატონი) მეუღლე იყო – შემდეგ კი მეფე (ფარაონი) ქართული სამეფოს მითანის მეფის რატის ასული თათუ – გათხოვების შემდეგ ნეფერტიტი – ხოლო თათუ – ნეფერტიტის შემდგომ პერიოდში მათი შვილი ტუტანჰამონი, რომლის სიკვდილის შემდეგ ფარაონია მეფე რატის ძმა – თათუს ბიძა, აიე (ეიე), რომელიც კარგადაა ცნობილი მსოფლიო ისტორიაში.

დამტკიცებულია, რომ კოლხების შორეული წინაპრები, მონათესავე ხალხებია: პელაზგები, ეტრუსკები, შუმერები, პროტოხეთები, სუბარები, მუშქები, ქალდეველები, სომხები, მუშენები და მრავალი სხვები (დაახლოებით ოცდაათ ტომზე მეტი). თუკიდიდე პელაზგი იყო, პითაგორა ჭანი, სტრაბონს დედა ჭანი ყავდა.

ქრისტიანობა კოლხეთში I საუკუნიდან ვრცელდება. ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდნენ მისი 12 გამოჩენილი მოწაფიდან (მოციქულიდან) სამი ღირსეული მოწაფე: სვიმონ კანანელი, ანდრია პირველწოდებული და მატათა (მაგათა).

ანდრია მოციქულის ეთნიკური წარმომავლობის დადგენა შეუძლებელი ჩანს – ცნობა მისი კოლხეთში მოღვაწეობის შესახებ ბერძნულ მწერლობაში მხოლოდ IX საუკუნეში ჩნდება, საიდანაც ეს ცნობები შემოდის საქართველოში და პირველად გიორგი ათონელს (მთაწმინდელს) მოეპოვება.

ასევე, არსებული წყაროების მიხედვით, IV საუკუნის დასაწყისში ვაზის ჯვრით საქართველოში შემოსული მანდილოსანი ნინო, წარმოშობით კაპადოკიელი ლაზი იყო (ზოგიერთს ბერძენად მიაჩნდა). მამამისი სამხედრო მოღვაწე ყოფილა, შემდეგ იერუსალიმში ბერად აღკვეცილა. ნინოს წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გასჩენია; მას გაუქრისტიანებია ქართლის დედოფალი, მეფე და სამეფო ოჯახის წევრები. ნინო კაპადოკიელი სოფ. ბოდინში (დღევანდელი ბოდბე) გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ კაპადოკია კოლხეთის უძველესი მიწა-წყალი იყო. ამას იქაური ტოპონიმიკაც ადასტურებს.

I-III საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანულმა რელიგიამ თითქმის გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა, რასაც ადასტურებს ისიც, რომ მსოფლიო პირველ საეკლესიო კრებას ნიკეაში, 325 წელს, ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე და ტრაპიზონის ეპისკოპოსი დომნიუსი.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში ყველა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლის, უნივერსიტეტის ფუძე და დედა – კოლხეთის (ფასისის) აკადემია დაარსდა არა IV საუკუნეში, არამედ III საუკუნეში და არსებობა შეწყვიტა IV საუკუნის ბოლოს კი არა, არამედ VI საუკუნეში (ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს: აკადემია VIII საუკუნეშიც ფუნქციონირებდა). ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი რატომღაც თვლის რომ აკადემია მხოლოდ IV საუკუნეში ფუნქციონირებდა.

ვთვლით, რომ რადგან კოლხები მეტალურგიის პირველშემქმნელები არიან, ამ თვალსაზრისით ისინი ქიმიის ფუძემდებლებადაც უნდა ჩაითვალონ. აგრეთვე, კოლხები მსოფლიოს უპირველესი ზღვაოსნები და კარტოგრაფები იყვნენ, ამით ისინი გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლებიც არიან. კოლხი მედეა, მედიცინის ფუძემდებელია.

სათანადო მასალების საფუძველზე მტკიცდება, რომ კოლხები არიან ასტრონომიისა და ასტროლოგიის ფუძემდებლები.

ზემოაღნიშნულთა გარდა გაკეთებული გვაქვს ზოგიერთი ახლებური შეფასება და დასკვნა, რომლებიდანაც ჩანს, რომ ძველმა კოლხებმა პირველებმა შექმნეს განათლების, მეცნიერების კულტურის კერები და მსოფლიო ცივილიზაციის უპირველესი მესაძირკვლენი იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დრომ ულმობლად წაშალა ძველი კოლხურ-მეგრული წარსულის ნაკვალევი, კოლხეთისა და სამეგრელოს ისტორიის ჩაუქრობელი შუქურა მუდმივად იკაშკაშებს მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის უსასრულო დინებაში, როგორც კაცობრიობის განვითარების ფუძე და საწყისი.

2004 წელს გამოვიდა ჩემი პატარა წიგნი **„ძველი კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“** (მცირე ტირაჟით), რომლის (ფაქტობრივად) გაზრდილ-გაფართოებულ ვარიანტს წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი, რომლისათვის, აგრეთვე დამატებული გვაქვს ზოგიერთი ადგილი 2008-2010 წლებში გამოსული წიგნიდან **„კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე“.**

უნდა ვთქვათ, რომ, ჩემს მოკრძალებულ ძალებს, უთუოდ აღემატება ძველი კოლხეთის მთლიანი, სრული ისტორიის შექმნა (ამის პრეტენზია არ შეიძლება ერთ ადამიანს ჰქონდეს). კოლხეთის სრული ისტორიის დაწერა ისტორიკოსთა მთელი ჯგუფის მრავალწლიანი შრომითაა შესაძლებელი.

როგორც ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქე, გულხელდაკრეფილი ვერ ვიქნები და განზე გამდგარი მეთვალყურე ვერ დავრჩები, იმ შემთხვევაში როდესაც ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის, ჩემი კუთხის წარსულს, აწმყოს და მომავალს ხელყოფენ და მთელი საშუალებით ცდილობენ მის დამახინჯებას. ცნობილია: XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოს **„ნაციონალიზმი“** დააბრალეს და მეგრული წარმოშობის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი დაიჭირეს; 1992-1993 და შემდგომ წლებში, სამეგრელოს დამსჯელი ეგზეკუცია – ნებადართული, განუკითხავი მაოხრებლები, მძარცველები, მკვლელები შეუსიეს, რომლებმაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია, მასობრივად ააწიოკეს მოსახლეობა, ქალაქებში და სოფლებში გადაწვეს მრავალი სახლი, სოფელ დარჩელში (ზუგდიდის რაიონი) მიჯრით გადაწვეს 27 სახლი, დახოცეს პირუტყვი და გაანადგურეს მოსახლეობის მთელი სიმდიდრე. მარტვილის ცენტრი ჰაერიდანაც დაბომბეს (უცნობია თვითმფრინავი რუსული იყო თუ ქართული), ეხლა კი მეგრელებსა და სვანებს ენის წართმევას უპირებენ, რომელიც, რა თქმა უნდა, ამ ხალხის გადაშენებას გამოიწვევს (ამ საქმეში ეკლესიის გამოყენებასაც ცდილობენ). ყველაფერი ეს, არამარტო სამეგრელო-სვანეთის, არამედ მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგაა მიმართული.

მაგრამ, სამეგრელოს წინააღმდეგ საუკუნოვანი დანაშაულის ჩამდენნი, სამეგრელოს წინააღმდეგ განხორციელებული სისხლიანი დანაშაულის, მკვლელობის, ძარცვის, აწიოკების არცერთი ხელმძღვანელი და მონაწილე არ დასჯილა, ასევე, არც 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად, რომელმაც ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა გამოიწვია, – ხელმძღვანელ-ლიდერები დასჯილან. ისინი პატივით და ფუფუნებით ცხოვრობენ, კიდევ მეტი: კვლავ მოძღვრავენ ქვეყანას, მოსახლეობა აკლებული ჰყავთ **„რჩევა-დარიგებებით“.** სანამდის აღნიშნული დამნაშავეები არ დასჯილან (აუცილებელი არ არის მათი დაპატიმრება), სანამდის ისინი თავიანთ უმძიმეს დანაშაულს არ აღიარებენ და საჯაროდ არ მოინანიებენ, საქართველოში კანონიერება ბოლომდე ვერ იზეიმებს.

ნაშრომის ავტორი ყველაფერს აკეთებს, რომ შენარჩუნებულ იქნეს ისტორიული ჭეშმარიტება, ძალიან ფრთხილობს იქ, სადაც წყაროები, მასალები შედარებით მცირეა, რომ არ დასცილდეს სინამდვილეს, არ დამახინჯდეს ფაქტები და მოვლენები. ყველა მოხმობილი წყარო, ლიტერატურული მასალა შედარებულ-შეჯამებულია ანტიკური და შემდგომი პერიოდის ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელი სწავლულების, მწერლების, ქართველ მეცნიერთა სხვადასხვა შრომებთან და შევეცადეთ სხვადასხვა ადგილას გაფანტულ-გაბნეული მასალების თავმოყრას.

ნაშრომში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცული არ არის, მასალები დალაგებულია სხვადასხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რამაც თანმიმდევრობის დარღვევა და გამეორებები გამოიწვია. გარდა ამისა, ზოგიერთი ისტორიული მასალის გადმოცემამ განაპირობა, ერთი და იგივე მნიშვნელოვანი საკითხის, რამდენიმე, სხვადასხვა ადგილას განხილვა, განზოგადება და განმეორება (ამას შეგნებულადაც ვაკეთებთ).

ნაშრომი, ბუნებრივია, არ იქნება დაზღვეული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან. ავტორი სიამოვნებით მიიღებს მკითხველის ყოველ სამართლიან შენიშვნას, რაც უთუოდ იქნება გათვალისწინებული შემდგომი კვლევა-ძიებისას, თუ ცხოვრების დაისმა ამის შესაძლებლობა მოგვცა. ნაშრომს გამოყენებული ლიტერატურის სია არ ერთვის, რადგან მრავლად გვაქვს მითითებული სქოლიოები. წიგნს ერთვის ზოგიერთი ისტორიული რუკა, საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებზე არსებული ეკლესია-ტაძრის, ციხეების და გამოჩენილ პიროვნებათა ფოტოსურათები და სხვა დოკუმენტი.

წინამდებარე ნაშრომის გეგმა-კონსპექტს წარმოადგენს პატარა წიგნი (გვ. 95): **„კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება. საქართველო** (კოლხეთი) **– მსოფლიოს პირველი ქვეყანა, ქართული ენა** (კოლხური ენა) **– მსოფლიოს პირველი ენა)“,** რომელიც 2009 წელს გამოვიდა.

„წინათქმის მაგიერ“-ს ვამთავრებთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით: „საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით“.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება იქნება)

ხეების გაჩეხვის გამო თბილისში ონკოლოგიური დაავადებების მატებაა მოსალოდნელი

თბილისში ხეების მასობრივი გაჩეხვა მიმდინარეობს – რუსთაველის, აღმაშენებლის გამზირებისა და სანაპიროს შემდეგ მრავალწლიანი ხეები ვორონცოვზეც მოჭრეს. სპეციალისტთა აზრით, ეს ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე აისახება. მათი თქმით, მოსახლეობაში ეს სიმსივნური დაავადებების გავრცელების კუთხით სავალალო შედეგს მოიტანს.

„მწვანეთა პარტიის“ ლიდერის, გია გაჩეჩილაძის განცხადებით, ხეების გაჩეხვამ სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც კატასტროფით დამთავრდება.

„დავით აღმაშენებლის გამზირი ცნობილია, როგორც თბილისის ეკოლოგიურად ყველაზე მძიმე ტერიტორია. აქ ჰაერში ტოქსიკური ნივთიერებების ყველაზე მაღალი კონცენტრაცია იყო. ზოგადად, ფოთლოვან მცენარეებს ტოქსიკური ნივთიერებების შეწოვის უნარი აქვთ, სხვათა შორის, ბაქტერიების დიდ ნაწილსაც სპობენ.

ხეების გაჩეხვის შემდეგ გამონაბოლქვის კონცენტრაცია გაიზრდება. გარდა ამისა, ისინი ქარის სიჩქარეს ანელებენ და მათი მოჭრის შემდეგ ამ უბნებში ქარის სიჩქარე გაიზრდება, რაც მტვრიანობის ხარისხს გაზრდის. აღმაშენებლის გამზირი საქართველოს ხელისუფლების და თბილისის მერიის ქალაქისადმი დამოკიდებულების სიმბოლოა. ვაპირებთ, რომ ზაფხულში აღმაშენებლის პროსპექტი ეკოლოგიური კატასტროფის ზონად გამოვაცხადოთ, რადგან იქ ცხოვრებისათვის საშინელი პირობები იქნება. პირველ რიგში, ეს ონკოლოგიური და ალერგიული დაავადებების მატების თვალსაზრისით გამოჩნდება“, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

როგორც **„მწვანეთა პარტიის“** ლიდერი აღნიშნავს, მავალწლიანი ხეების ნაცვლად დარგულ ნერგებს მსგავსი ეფექტი ვერ ექნებათ, რადგან თავის დროზე ჭადრები თბილისის ეკოლოგიური და ესთეტიკური მხარის გასაუმჯობესებლად სპეციალურად შეარჩიეს.

„როგორც ჩანს, თბილისში მწვანე ნარგავების საერთოდ განადგურებას აპირებენ. მათ ორმაგი მიზანი აქვთ. პირველი: ამაში ფული კეთდება. მრავალწლიან ხეებს ჭრიან და მათ მაგივრად ახალ ნერგებს რგავენ, რომელიც ქალაქის ბიუჯეტს ათმაგი ფასი უჯდება. მეორე: მონოპოლისტ ფირმებს, რომლებიც სხვადასხვა მაღაზიებს ხსნიან და ქსელებს აფართოებენ, ეს ხეები ხელს უშლის თავიანთი ბიზნესინტერესების განხორციელებაში.

მაგალითად, ჭავჭავაძეზე პირწმინდად მოჭრეს ხეები, რადგან მაღაზიას აშენებენ. მრავალწლიანი ხეების მაგივრად კი გაურკვეველი ფუნქცია-დანიშნულების ნარგავები დარგეს“, – აცხადებს **„მწვანეთა პარტიის“** ლიდერი.

სპეციალისტის თქმით, მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის კანონმდებლობა, რაც ხეების მოჭრასთან დაკავშირებით არსებობს.

„ხელისუფლებამ კანონში უპრეცედენტო ცვლილება შეიტანა. ცვლილების მიხედვით, თუ ფულს გადაიხდი, ყველაფრის განადგურების შესაძლებლობა გექნება. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელიც შევიტანეთ. თუ ეს საკანონმდებლო პრობლემა არ გადაიჭრა, სხვანაირად შეუძლებელია მწვანე საფარის მოსპობის პრობლემასთან გამკლავება. მაგალითად, ახლა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს მხოლოდ იმიტომ ჩეხენ, რომ სააკაშვილმა გადაწყვიტა, იქ ვესლოსიპედებით იარონ. ის კი 1840 წელს შექმნილი ბაღი და კულტურული მემკვიდრეობაა. იმედი მაქვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში „მწვანეთა პარტიის“ მიერ შეტანილი სარჩელი დაკმაყოფილდება და ყველაფერი სამართლებრივ ნორმებში ჩაჯდება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ბრძოლის აქტიურ ფაზაში გადაყვანა“, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

„გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის თანათავმჯდომარე, ეკოლოგიის მაგისტრი ლაშა ჩხარტიშვილი კი ამბობს, რომ ხეების გაჩეხვა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ადამიანის სულიერი და ფიზიკური არსებობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს წარმოადგენს.

„საქართველოში ისედაც შეიმჩნევა მწვანე ნარგავებისა და გამწვანებული ტერიტორიების დეფიციტი. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, თბილისში გამწვანებული ტერიტორიები ევროპულ სტანდარტებზე ათჯერ ნაკლებია. საინტერესოა, რომ ხელისუფლების სხვადასხვა დაინტერესებული წარმომადგენლები ბოლო პერიოდში ხეების გაჩეხვის შედარებით ფარულ ტაქტიკას მიმართავენ. ისინი დღისით სამუშაოს ამზადებენ და საქმეს იიოლებენ, რომ ღამით ადვილად გაჩეხონ ხეები. ასე მოხდა ვორონცოვზე და ბარათაშვილის ქუჩაზეც, სადაც აბსოლუტურად საღი ცაცხვის ხეები გაიჩეხა“, – აცხადებს ეკოლოგიის მაგისტრი.

ჩხარტიშვილის თქმით, ბრიტანული კომპანიის კვლევების თანახმად, 2003 წელს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მიხედვით, თბილისი ევროპის ყველაზე დაბინძურებული დედაქალაქი იყო. ასეთი მიდგომით და ხეების მასობრივი ჩეხვის შედეგად კი დღეის მდგომარეობით მსოფლიოში ერთ-ერთი დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის მქონე დედაქალაქი გვექნება.

„არაფერი რომ აღარ ვთქვათ მწვანე საფარის რეკრეაციულ ფუნქციაზე, ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირების თვალსაზრისით, რა ფუნქცია აქვს პარკებს, გამწვანებას და ხეებს, ეს ყველა ნორმალურმა ადამიანმა იცის, თუმცა ასეთები ხელისუფლებაში პრაქტიკულად არ არიან. იჩეხება აბსოლუტურად ყველა ტიპის გამწვანება. ბაღები და პარკები, ქუჩისპირა გამწვანება... ვიცით, რომ მთელი სანაპირო გაიჩეხა, სხვადასხვა მიზნებითა და დანიშნულებით იჩეხება შიდაპარკული გამწვანებაც. ხეები კორუფციული ინტერესების გამო ან სახლების ასაშენებლად იჩეხება. გამწვანებული ტერიტორიების ადგილზე ადმინისტრაციული შენობები და პოლიციის შუშის შენობებს აგებენ. ეს უიშვიათესი თვითნებობაა და ავტორიტარიზმის მახინჯი გამოვლინება. ხეები მხოლოდ იმიტომ იჩეხება, რომ ხელისუფლებამ შემდგომ პიარი აწარმოოს. ნგრევის პირას მყოფ სახლებს ფასადებს უღებავენ და მის ფონზე სურთ ინტერვიუების მიცემა.

დედამიწაზე გაუგია ვინმეს, რომ შეღებილი ფასადების თვალსაჩინოების გამო ვინმეს ხეები გაეჩეხოს?! რამდენად თავსებადი უხეო ქალაქი და ამასთან ერთად ევროპულ განვითარებასა და ქალაქის მშენებლობის ევროპულ სტილზე საუბარი?!

შეიძლება ჩვენი ჯანმრთელობა რისკის ქვეშ იმის გამო დადგეს, რომ მერიის წარმომადგენლებმა ფული იშოვონ და საკუთარი სახლები აიშენონ? აქ არ არის საუბარი ჩვენს გრძნობებსა და ესთეტიკურ სიამოვნებაზე. საუბარია ჩვენს სიცოცხლეზეც კი. სიმსივნური დაავადებების კოლოსალური ზრდა, რომელიც საქართველოში და, განსაკუთრებით თბილისში აღინიშნება, გარემოს დაცვის სტანდარტებთან პირდაპირ კავშირშია. ვისაც სკოლაში ბიოლოგია უსწავლია, ყველამ იცის, რომ ხეები დაბინძურებულ ჰაერს წმენდს. მათი გაჩეხვა კი კიდევ უფრო ზრდის ისედაც დაბინძურებული ეკოლოგიური გარემოს მავნე ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე. ახლახან მსოფლიოს ოთხას ქალაქს შორის თბილისი უსაფრთხოების თვალსაზრისით მე-200 ადგილზე გამოცხადდა. ერთ-ერთი კრიტერიუმი სწორედ ჰაერის დაბინძურება იყო, ამასთან კი ხეების ჩეხვა პირდაპირ კავშირშია“, – აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი.

ნ. ნაცვალაძე

საქინფორმი აღშფოთებულია სომხეთის საელჩოს ქმედებებით საქართველოში

როგორც ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია, ამა წლის 9 მაისს თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში მთიანი ყარაბაღის არმიის მიერ ქალაქ შუშის აღების 20 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო ღონისძიებასა და კონცერტთან დაკავშირებით საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო **„საქინფორმმა“** მკაცრი პროტესტი გამოთქვა ამ ღონისძიების ყველა ინიციატორის, ორგანიზატორისა და სპონსორის – **„საქართველოში სომეხთა კავშირის“**, ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ადმინისტრაციისა და საქართველოს ხელისუფლების ყველა იმ წარმომადგენლის მიმართ, ვინც ამ ღონისძიების გამართვაზე შესაბამისი სანქცია გასცა.

თუმცა ამა წლის 12 მაისს **„საქინფორმის“** რედაქციამ მიიღო საქართველოს სომეხთა კავშირის განცხადება, რომლის ხელმძღვანელობაც მთლიანად უარყოფს რაიმე კავშირს აღნიშნულ ღონისძიებასთან (განცხადებას ქვემოთ უცვლელად ვაქვეყნებთ):

«Союз Армян Грузии выражает резкий протест провокациям и дезинформациям.

К сведению «ГРУЗИНФОРМ»: Союз армян Грузии не принимал никакого участия в подготовке и проведении мероприятия 9 мая в здании грузинского ТЮЗа. Сплетник, дезинформатор и провокатор М. Татевосов, практически ничего общего не имеющий с армянской общиной Тбилиси и Грузии, вновь приехал из г. Москвы и занялся откровенной ложью без стыда и совести.

Ни я, ни депутат парламента Грузии Армен Баяндурян даже не были приглашены на это мероприятие, поэтому его содержание в деталях нам неизвестно.

А что касается «псих. доктора» Татевосова, я не удивлюсь, если завтра он назовет себя членом Всемирного космического армянского конгресса, поэтому Союз армян Грузии ведет консультации с юристами, чтобы привлечь его к уголовной ответственности за ложь, клевету и другие скрытые преступления, и вновь сел на скамью подсудимых.

Председатель Союза армян Грузии Гена Мурадян»

საქინფორმი სიხარულით აღნიშნავს, რომ საქართველოს სომეხთა კავშირის ცალკეული წევრის ღონისძიებაზე დასწრების მიუხედავად, რომლის გამართვის ფაქტიც კი ეროვნებათაშორისი აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტის გაჩაღების პროვოცირებას ახდენს, საქართველოს სომეხთა კავშირს ამასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. თუმცაღა, ურჩევს საქართველოს სომეხთა კავშირის ხელმძღვანელობას, გულდასმით გაერკვეს საქართველოში სომხურ დიასპორაში შექმნილ არცთუ მარტივ სიტუაციაში და შეიტყოს – რომელმა პროვოკატორმა განათავსა ინტერნეტში ხსენებული ღონისძების ანონსი, სადაც მის ორგანიზატორთა შორის საქართველოს სომეხთა კავშირიც დასახელდა (რითაც შეცდომაში შეიყვანეს არა მარტო ქართველი ჟურნალისტები, არამედ ფართო საზოგადოებრიობაც).

ამავე დროს, **„საქინფორმი“** ფრიად აღშფოთებულია საქართველოში სომხეთის საელჩოს ქმედებით, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მთავარი ორგანიზატორი ყოფილა ღონისძიებისა, რომელსაც ესწრებოდა საელჩოს მთელი შემადგენლობა – სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩიდან დაწყებული, სამხედრო ატაშეთი დამთავრებული! ღონისძიებას დაესწრო ასევე: სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ქართული ეპარქიის მეთაური, სომეხი ინტელიგენციის კავშირი თბილისში მისი ხელმძღვანელითურთ, სომხეთის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნებათაშორის საკითხებში (ამ უკანასკნელს რაც შეეხება, **„საქინფორმი“** ფლობს ინფორმაცია, რომ იგი აღნიშნული ღონისძიების გამართვის წინააღმდეგი იყო).

ნუთუ სომხეთის ელჩი და მისი კოლეგები მიიჩნევენ, რომ მათი ქმედებები არის დიპლომატიური, შეეფერება დიპლომატიურ რანგს? დიახ, როგორც სომხებს და არა როგორც დიპლომატებს, რა თქმა უნდა, უფლება აქვთ, აღნიშნონ მათთვის ძვირფასი ნებისმიერი თარიღი, მაგრამ არა საქართველოს სახელმწიფო კულტურულ დაწესებულებებში, არამედ სომხურ ეროვნულ-კულტურულ ცენტრებში, როგორც ისინი ამას ხშირად აკეთებენ თბილისში: წმ. ეჩმიაძინის ეკლესიაში ავლაბარში, სურბ გევორქის ეკლესიაში მეიდანზე, სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ხოჯივანქზე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გაბრიელ სუნდუკიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრში, მაგრამ არა დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში! განა აზერბაიჯანელები ხოჯალის ტრაგედიას საქართველოს სახელმწიფო კულტურულ დაწესებულებებში აღნიშნავენ?!

ნამდვილი ქართველები კი არასოდეს აღნიშნავენ დღეებს, როცა მოძმე ხალხებმა ერთმანეთის სისხლი დაღვარეს! ნაიარევზე მარილი კი არ უნდა მოაყარო, ისინი მალამოთი უნდა მოშუშდეს, – და ეს თქვენი უშუალო მოვალეობაა, ბატონო დიპლომატებო – პოლიტიკოსებო! მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ სომხებმა და აზერბაიჯანელებმა კვლავ მეგობრულად იცხოვრონ, ისე, როგორც უწინ ცხოვრობდნენ, და ახლა ცხოვრობენ თბილისში, და არ აღზარდონ შვილები რევანშისტულ-მილიტარისტული სულისკვეთებით.

თუმცა **„საქინფორმი“** არ გამორიცხავს, რომ ეს არაწინასწარგანზრახული ლაფსუსი იყო სოხეთის საელჩოს მუშაობაში – მისმა თანამშრომლებმა ვერ გაითვალისწინეს გამართული ღონისძიების შესაძლო ნეგატიური რეზონანსი, რაც მათ, როგორც დიპლომატებს, ორმაგად არ ეპატიებათ: გამორიცხული არ არის, სომეხ დიპლომატებს ეს ღონისძიება თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში იმიტომაც გაემართათ, რომ ის სომხეთის საელჩოდან 34 მეტრში იმყოფება და, შესაბამისად, მათთვის გეოგრაფიულად უფრო მოსახერხებელიც იყო...

P.S. წუხილით უნდა აღინიშნოს, რომ ბრწყინვალე პროფესიონალისა და ნამდვილი თბილისელის, ბატონ გიორგი ხოსროევის მომდევნო სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები საქართველოში სულ უფრო გაუცხოვდნენ საქართველოს ატმოსფეროსა და ქართველ საზოგადოებას.

არნო ხიდირბეგიშვილი
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

მიხეილ გომიაშვილი: „ჰარლინისთვის ეს მორიგი პროექტი იყო, ჩვენთვის კი ცხოვრება და ტკივილია“



მსახიობ მიხეილ (მიშა) გომიაშვილს სცენასა თუ ეკრანზე არაერთი შთამბეჭდავი სახე აქვს შექმნილი. გამორჩეული ხელწერითა და ზუსტად მიგნებული გამომსახველობითი ხერხებით ყოველთვის ახერხებს გმირის და რაც მთავარია, ეპოქის მაჯისცემის გამოხატვას. ის იმ ერთეულ მსახიობებს განეკუთვნება, რომელსაც თავისი მაყურებელი ჰყავს, ისინი, ვინც **„გომიაშვილზე დადიან“.** დღეს არტისტი ქართულ სცენასა და სცენის მიღმა მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება.

– ფრანგი მწერალი დენი დიდრო ამბობდა, როცა მსახიობს ტაშისცემის სურვილი იპყრობს, ის ყოველთვის ამლაშებსო. რა არის მთავარი მსახიობისთვის?

– ტაში, ოვაცია დამწყები მსახიობისთვის ყოველთვის ცდუნებაა, ამას მსახიობთა 99 პროცენტი ვერ უძლებს, და არამარტო ახალგაზრდები, **„ძველგაზრდებიც“...** ჩემი აზრით, არტისტისთვის მთავარი, ნიჭის გარდა, იღბალია. შეიძლება შუაზე გაიპო, გაიგლიჯო, ისე ითამაშო, მაგრამ ვერავინ შეგნიშნოს.

თეატრში მსახიობი რეჟისორის გარდა, პარტნიორზეც არის დამოკიდებული, ამ მხრივ ბედმა ნამდვილად გამიღიმა, ჩემი პარტნიორები იყვნენ და არიან: ნოდარ მგალობლიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი, ზურა ყიფშიძე.

– თქვენ თემურ ჩხეიძის არაერთ სპექტაკლში თამაშობთ – “მარადი ქმარი”, “არტ ხელოვნება”, “მამა”. რთულია მასთან მუშაობა?

– შესანიშნავ რეჟისორ თემურ ჩხეიძესთან მუშაობა რთული როგორ შეიძლება იყოს? ასეთი, კარგი გაგებით, **“კაიფი”,** სიამოვნება არ არსებობს, როგორიც თემურ ჩხეიძესთან მუშაობაა – არ გინდა, რეპეტიცია დასრულდეს. ამ რეჟისორმა ზუსტად იცის, რა უნდა მსახიობისგან, იცის, როგორ მიგაღწევინოს მიზანს. თემურ ჩხეიძის სპექტაკლებში ნათამაშევი როლებისთვის არაერთი გრან-პრი მაქვს აღებული. ისეთი რეჟისორების სპექტაკლებშიც მითამაშია, რომლებმაც არ იციან თავიანთი პროფესია, და მქონია შემთხვევა, სცენაზე გასვლას, სიკვდილი მერჩივნა ცუდია, როცა ადამიანმა თავისი ხელობა არ იცის, ზოგს ხელობა ხელოვნებაში ცუდი ჰგონია, არადა, პირიქით არის. ანდა იცოდე, როგორ ააგო სპექტაკლი, რომ მერე ღმერთმა გაფრენის საშუალება მოგცეს, ჩემდა სამწუხაროდ, დღეს ქართული თეატრი ცუდ მდგომარეობაშია: რობერტ სტურუა გააგდეს ქვეყნიდან, ვერ აიტანეს, თემურ ჩხეიძე აქ არ არის; ამქვეყნად აღარ არიან მიშა თუმანიშვილი, შალვა (მუმუშა) გაწერელია, ახალგაზრდებში კი მათ ტოლ რეჟისორებს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

– რამდენიმე თეატრში მსახობებს, რომლებმაც, ხელფასთან ერთად, ფონდ “ქართუს”, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებაც აიღეს, პრობლემები შეექმნათ. ღა სიტუაციაა ამ მხრივ მარჯანიშვილის თეატრში?

– პირდაპირ უნდა ვთქვა: ჩვენი თეატრის მმართველს ეკა მაზმიშვილს ამ კუთხით არ ვიცნობდი და ჩემთვის მოულოდნელიც კი იყო მისი პოზიცია. მისი დამსახურებაც არის, რომ მარჯანიშვილის თეატრში ხელფასები თითქმის გასამმაგდა და არც ჩვენთვის, მსახიობებისთვის უთქვამს ვინმეს, ივანიშვილის დახმარებაზე უარი თქვითო.

– თქვენ პოპულარული მსახიობის, არჩილ გომიაშვილის შვილი ხართ. განსაზღვრა თუ არა ამ ფაქტორმა თქვენი არჩევანი?

– არჩილ გომიაშვილი ძალზე მაგარი არტისტი იყო და პოპულარობაც ამიტომ მოიხვეჭა. მამაჩემი არჩილ გომიაშვილი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, სხვა პროფესია ამერჩია; მე თეატრში გავიზარდე, მამას დავყვებოდი გადაღებებზე, გასტროლებზე როცა მარჯანიშვილის თეატრში ახალმისულმა, ზედიზედ რამდენიმე როლი ვითამაშე, ზოგიერთმა თქვა: მისცემენ როლს, აბა რა, არჩილის შვილიაო. ასეთ ადამიანებს ვეტყოდი: არჩილის შვილობის გამო ერთხელ შეიძლება მოგცენ როლი, მეორედ და მესამედ კი აღარ გენდობიან, თუ ამის ღირსი არა ხარ! სცენაზე ხომ მე ვდგავარ და არა მამაჩემი?! ვიდრე სცენასა თუ ეკრანზე ვიქნები, არჩილ გომიაშვილის შვილობა ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა.

– მამათქვენი, მსახიობობის გარდა, წარმატებული ბიზნესმენი იყო. თქვენ თუ გიცდიათ ბედი ბიზნესში?

– მამას დიდი სურვილი ჰქონდა, მის ბიზნესში ჩავრთულიყავი. ჩემი მსახიობობა არ უნდოდა, რადგან თვითონ საკმაოდ რთული ცხოვრება გამოიარა. მესამე კურსზე ვიყავი, როცა **“ვგიკიდან”** წამოვედი. რაც შეეხება ბიზნესს, ჩემგან ბიზნესმენი ვერ და არ გამოვიდა. ამ საქმეს თავისი ნიჭი უნდა, ეს გენი, როგორც ჩანს, არ გადმომყვა. მოსკოვში ყოფნისას მამამ ტაგანკაზე სათამაშო აპარატების ბიზნესი ჩამაბარა, სამ დღეში ერთხელ მივდიოდი და საკმაოდ დიდ, ოთხნიშნა თანხას ვიღებდი, სულ ეს იყო ჩემი საქმიანობა, მაგრამ ესეც მეზარებოდა ხოლმე და ამაზე გიუდებოდა მამაჩემი. ამ დროს, მოსკოვის აეროპორტში, შემთხვევით თემურ ჩხეიძე შემხვდა, იქ გაიგო, რომ არც ერთ თეატრში არ ვიყავი და მითხრა: აბა, ჩქარა, მარჯანიშვილის თეატრშიო.

– რუსეთში დარჩენა თუ შემოგთავაზეს?

– არამარტო რუსეთში. არაერთი შეთავაზება მქონდა პოლონეთის, იტალიის თეატრებიდან, მაგრამ ასეთი უცნაურობა მჭირს: წყნეთში რომ ავდივარ, თბილისი მენატრება. თუმცა ზოგიერთი ამტკიცებს, აყვავებულიო, ევროპულიო, მაგრამ ჩემი გაუბედურებული თბილისი, საქართველო ყველას და ყველაფერს მირჩევნია.

– ფილმს “აგვისტოს ხუთი დღე” კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, თუმცა, თქვენი როლი საუკეთესოდ მიიჩნიეს.

– ფილმი არ გამოვიდა, სუსტია, მიუხედავად ამერიკული სპეცეფექტებისა, თუმცა, ესეც ცუდად შესრულდა. რენი ჰარლინი ხომ **“კერკეტი კაკალი-2”**-ის და **“მეკლდეურის”** ავტორია. იმ ფულით, რომელიც ამ ფილმზე დაიხარჯა, 10 ქართველი რეჟისორი გენიალურ სცენარზე გენიალურ ფილმებს გადაიღებდა და გაცილებით უკეთესს, ვიდრე რენი ჰარლინმა გადაიღო, რადგან ჰარლინს, ბოდიშს ვიხდი და, ფეხებზე ეკიდა საქართველოც და მისი პრობლემებიც. ეს მისთვის მორიგი შემოქმედებითი პროექტი იყო, ჩვენთვის კი ტკივილი და ტრაგედიაა. როცა რენი ჰარლინმა ამ ფილმის 15-წუთიანი რგოლი საჩვენებლად კანის კინოფესტივალზე ჩაიტანა, ის არავინ იყიდა. როცა მას ქართველ მსახიობებზე ჰკითხეს, მან თქვა: მიშა გომიაშვილმა შვილის სიკვდილის სცენა ისე ითამაშა, მხოლოდ ალ პაჩინოს შემიძლია შევადარო **“ნათლიმამა-3”**-ში, როცა შვილი უკვდებაო. ამ სცენის გადაღების მერე ჰარლინმა ხელში ამიტაცა, ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა და მითხრა: შენ მე ფილმი გადამირჩინეო. თუმცა, ამ ეპიზოდის 90 პროცენტი ფილმში ამოჭრილია. პრემიერაზე (რომელზეც ქართველი მსახიობები წითელ ხალიჩაზე არ გაგვატარეს, იქ მინისტრები, დეპუტატები მათი ცოლები იყვნენ მიწვეულები). ფილმით ძალზე უკმაყოფილო დავრჩი, არ მომეწონა.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი? ზოგი თქვენი კოლეგა ამბობს, რომ არაფერში ერევა და სათქმელს სცენიდან ამბობს.

– არ ვეთანხმები პოზიციას, რომ ყველამ მარტო ჩვენ-ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტის გვარი არ იციან, ჩვენში პარლამენტარებს ბავშვებიც კი ცნობენ, დღეს ისინი იქცნენ ეკრანის ვარსკვლავებად. ხომ შეუძლებელია, ის, რაც ქვეყანაში ხდება, არ გეხებოდეს? შეიძლება ბარიკადებზე დროშით ხელში არ ავარდე, მაგრამ შენი პოზიცია უნდა გამოხატო, მით უმეტეს ისეთმა ადამიანმა, ვისაც ხალხი იცნობს, პატივს სცემს.

– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები ადრეულ პერიოდზე მეტად გამწვავდა, უფრო დინამიკური გახდა. როგორ აფასებთ მის ამ ნაბიჯს?

– ბიძინა ივანიშვილს სახეზე არც კი ვიცნობდი, მაგრამ თითქმის რვა წელია მე და არაერთ ჩემს კოლეგას გვეხმარება. ამქვეყნად ვერავინ დამაჯერებს, რომ ბიძინა ივანიშვილს რვა წლის წინ რაიმე პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. ეს ანდერსენის ზღაპრები სხვებს მოუყვნენ. არ ვიცი, რა იქნება მას შემდეგ, რაც ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვა (ალბათ, მოვა), რადგან სავარძელს თავისი ძალა აქვს, რაც არაერთხელ ვნახეთ, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანებს ჯიბეში არ ჩაუძვრება და არ დააყვედრის, გზები გავაკეთეო, თითქოს ჩვენი პრეზიდენტი ამ გზას ბაბუამისის დანატოვარი ფულით აშენებდეს. ერთ რამეშიც დარწმუნებული ვარ: თუ გინდა, ადამიანი საფუძვლიანად გაიცნო, მისი ოჯახი უნდა ნახო. ბიძინა ივანიშვილს კი ძალზე ზრდილი შვილები ჰყავს.

– როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?

– საბედნიეროდ, დაძაბული სამუშაო გრაფიკი მელის; მაისის თვეში რეჟისორ ოთარ შამათავას ახალ ტელესერიალში გვეწყება გადაღებები. გარდა ამისა, სანდრო მრევლიშვილმა შემომთავაზა დოსტოევსკის **„იდიოტში“** თავადის მიშკინის როლი, ახალ სპექტაკლში მიმიწვიეს ჩემს, მარჯანიშვილის თეატრშიც. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ გასულ წელს გიორგი ფარაჯანოვის ფილმზე **„ყველა წავიდა“** მუშაობისას გავიცანი ჩემი მეუღლე ქეთი კალანდაძე – ნიჭიერი კინომხატვარი და დიზაინერი.

ნ. კვიტაშვილი

მანქანებს გალაყოლილნი

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ორი მანქანა

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ, ვანო სადინაძემ, 54 ათას ლარიანი ავტომობილი ბიუჯეტში ნახევარმილიონიანი დანაკლისის პირობებში, გასული წლის ივნისის თვეში შეიძინა.

ძვირადღირებული შენაძენიდან ერთ თვეში, საკრებულომ თანხების არქონის მიზეზით, პრიორიტეტულად დასახელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მათი დაფინანსება შეამცირა.

სადინაძის ავტომობილის ფასმა, გასული წლის ქალაქის ბიუჯეტში დამტკიცებისას გათვალისწინებული მოქალაქეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოვლენისა და პროფილაქტიკის პროგრამის ოდენობას გადააჭარბა.

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე 2011 წლის WOLKSVAGEN PASSAT Limouzine–ით დადის. წინა მანქანაც იგივე ფირმისა და ფერის იყო, უცვლელია ავტომობილის სანომრე ნიშანიც – LOF 001

– „ავტომობილი ისევ WOLKSVAGEN–ის ფირმისაგან ვიყიდეთ. ძველს 200 ათასი კმ ჰქონდა გავლილი, ზოგი ნაწილი სარემონტო იყო, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ახლის შეძენა“,– განაცხადა სადინაძემ.

საკრებულოს აპარატის უფროსის, ლია არტიუხოვას ინფორმაციით, ძველი ავტომობილის რემონტს 10 ათას ლარამდე დასჭირდებოდა, ამიტომ ის ფირმას ჩააბარეს.

– „აუდიტმა ძველი ავტომობილი 18 ათას ლარად შეაფასა. დარჩენილი 36,6 ათასი საკრებულომ დაამატა და ახალი შეიძინა,“– ამბობს არტიუხოვა.

„ძველი მანქანა“, 2007 წლის გამოშვების **WOLKSVAGEN PASSAT** ვანო სადინაძისთვის მერიის ადმინისტრაციამ იმავე წელს 58 744 ლარად იყიდა. მაშინ სადინაძე ქალაქის მერი იყო. 2010 წელს, საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, მან ავტომობილი **„თან წაიყვანა“,** მისი შემცვლელის, ვახტანგ ლემონჯავასთვის კი მერიის ადმინისტრაციამ 77 ათას ლარიანი **TOYOTA LAND CRUIZER PRADO** შეიძინა.

სადინაძის **WOLKSVAGEN PASSAT**–ის გამოცვლის მიზეზად, საკრებულომ მხოლოდ შპს **«იბერიავტოსთან»** გაფორმებულ ძველი ავტომობილის ჩაბარებისა და ახლის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება და აუდიტორულ-საკონსულტაციო კორპორაცია **«ინტერაუდიტის»** ქონების შეფასების აქტი წარმოადგინა. აქტის მიხედვით 2007 წელს გამოშვებული სატრანსპორტო საშუალების საწყისი გასაყიდი ღირებულება 18 ათასი ლარითაა განსაზღვრული.

თვითმმართველობას შპს **«იბერიაავტოს»**-სათვის ავტომობილის ჩაბარებამდე აუდიტორული და ტექნიკური სხვა შემოწმება არ ჩაუტარებია და შესაბამისად, არც სხვა დოკუმენტები წარმოუდგენია.

გასული 4 წლის განმავლობაში საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ხარჯებზე, საკრებულოდან მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, ავტომობილის ტექმომსახურებაზე 2010 წელს დახარჯულია 3 709 ლარი, 2011 წელს კი 140 ლარი და 2 869 ლარი.

სხვა დოკუმენტებს საკრებულოს საპასუხო წერილი არ შეიცავს. მის მიერ მოწოდებული მასალებიდან, საკრებულოს თავმჯდომარისა და აპარატის უფროსის სიტყვები, ძველი ავტომობილის რემონტისთვის ათასობით ლარის საჭიროების შესახებ, არ დასტურდება.

ერთი ძვირადღირებული ავტომობილის მეორეთი ჩაანაცვლებისას, ადგილობრივ თვითმმართველობას, პირველი კვარტლის ბიუჯეტში ნახევარმილიონიანი დანაკლისი ჰქონდა.

გასული წლის აგვისტოში, საკრებულომ ფასადების სარემონტო–საპროექტო სამუშაოები 157 ათასი ლარით შეამცირა, სახანძრო-სამაშველო სამსახურის ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა პატრონობის ხარჯებს კი, 4 ათასამდე ლარი მოაკლო, რაც თვითმმართველობამ თანხების სიმცირით ახსნა.

აღნიშნული თანხიდან, 43 ათასი საკრებულოს ოფისის, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს დაემატა, 26 ათასით კი მერიის ხარჯები გაიზარდა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსება საკრებულომ 350 ათასი ლარით გასული წლის, ნოემბრის თვეშიც შეამცირა.

შესასრულებელი სამუშაოების ნუსხიდან საერთოდ ამოიღეს 800 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები: გარე განათების ბოძებისა და სანათების შეძენა, №14 საბავშვო ბაღის ფასადის რემონტი და თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის პროექტირება.

წლის ბოლოს, საკრებულოს დეპუტატების გადაწყვეტილებით, ხარჯები 364 ათასი ლარით, მიწის გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები კი 1,4 მლნ-ით შემცირდა.

საღინაძის ძველი ავტო იგივე სანომრე ნიშნით

თვითმმართველობამ ცენტრალური ხელისუფლებისაგან ფინანსური დახმარების სახით 1,8 მილიონი ლარიც მიიღო.

სადინაძის თქმით, ეს დახმარება საბიუჯეტო კრიზისს არ უკავშირდებოდა, თუმცა მისი მოადგილის, ლაშა ბერაიას განმარტებით, ამ თანხის გარეშე ბიუჯეტში ამავე ოდენობის დანაკლისი იქნებოდა.

მაშინ ხელისუფლება აცხადებდა, რომ აღნიშნული თანხა **„მუშების ხელფასების გასტუმრებასა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულებას მოხმარდა“.**

რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ამ პირობებში ძვირადღირებული შენაძენის გაკეთება, საკრებულოს თავმჯდომარემ არ უპასუხა.

ეკონომიკის ექსპერტი, შოთა მურღულია განმარტავს, რომ ძველი ავტომობილის ახლით ტენდერის გარეშე ჩანაცვლებით თვითმმართველობას კანონი არ დაურღვევია:

– **„თუმცა, შეიძლება დავსვათ კითხვა, ბიუჯეტის დანაკლისის პირობებში, რატომ სჭირდებოდა საკარებულოს თავმჯდომარეს მაინცდამაინც 54 ათასიანი მანქანა და რატომ ვერ ივლიდა, მაგალითად, 20 ან 22 ათასიანი ავტომობილით?“** – ამბობს მურღულია.

საბიუჯეტო ექსპერტის, დავით ნარმანიას აზრით კი, საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში საკრებულოს თავმჯდომარის შენაძენი, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ნ. თუნთია

ბელგიაში სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მზადდება

„ბელგიაში სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი იხსნება, რომელიც მას ბრიუსელში მისასვლელ გზას გადაუკეტავს,“ – ამის შესახებ ბრიუსელში **„იტარ-ტასის“** კორესპოდენტი დენის დუბროვინი წერს.

გთავაზობთ სტატიის ქართულ თარგმანს:

„ბელგიაში საქართველოს პრეზიდენტის წინაღმდეგ სასამართლო პროცესი მზადდება, რომელმაც შესაძლოა, მას სამეფოში, ასევე ევროსაბჭოს ინსტიტუტებსა და ბრიუსელში ნატოს-შტაბში მისასვლელი გზა გადაუკეტოს“.

ამის შესახებ **“იტარ-ტასისთვის“** მიცემულ ინტერვიუში პროცესის ინიციატორმა – საქართველოდან გაძევებულმა სამართალდამცველმა მერაბ ბლადაძემ განაცხადა. მერაბ ბლადაძე ასევე დამოუკიდებელი ქართული მედიასაბჭოს **„ობიექტივის“** წარმომადგენელია.

„ჩვენ საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში, 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებაში, 2008 წელს რუსეთთან ომის გაჩაღებაში, ოპოზიციის წინააღმდეგ სისტემატურ რეპრესიებში, ასევე მისი პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებაში, მიტინგების და დემონსტრაციების დარბევაში, ოპოზიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მუდმივ დაშინებაში და მათ ფიზიკურ გასწორებაში ვდებთ ბრალს“ – განაცხადა ბლადაძემ.

ბლადაძის სიტყვებით, საქართველოში ახლა 93 პოლიტიკური პატიმარია, მათგან 19, ოფიციალურად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის **„სინდისის პატიმრებად“** არიან აღიარებულნი. გარდა ამისა, საქართველოს ციხეებში პატიმრების რიცხვმა მთელი მისი ისტორიის განმავლობაში რეკორდულ ზღვარს მიაღწია, დღეს ქვეყნის ციხეებში 45 ათასი პატიმარია.

„გაცილებით ნაკლები პოლიტპატიმრების არსებობის გამო ევროსაბჭოს უკვე შვიდი წელია ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო „შავ სიაში“ ჰყავს შეყვანილი, – განაცხადა ბლადაძემ, – **თუკი ოფიციალური ბრიუსელი თავის ქცევებში თანმიმდევრობას არ იცავს, მაშინ ჩვენ ამ საკითხს სასამართლოს გზით გადავწყვეტთ “.**

„აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ყველა საჭირო მასალა მომზადებულია. ჩვენ ამ პროცესის დაწყებას ერთი თვის განმავლობაში ვაპირებთ. ჩვენი ბელგიელი ადვოკატები პროცესის წარმატებით დასრულებაში დარწმუნებულები არიან. ჩვენ სააკაშვილს ევროსაბჭოს და ნატოს შტაბებში მისასვლელ ყველა გზას გადავუკეტავთ,“ – ამბობს ბლადაძე.

ბელგიის სასამართლოს უნივერსალური იურისდიქციის უნიკალური უფლება გააჩნია, ბელგიისთვის ასეთი უფლების მინიჭების შესახებ კანონი 1993 წელს იყო მიღებული. ამ კანონის მიხედვით, ბელგიის სასამართლოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის, მათ შორის სახელმწიფო მოღვაწეების წინააღმდეგ გენოციდის ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ბრალდებით სასამართლო პროცესის დაწყების უფლება აქვს.

ეს კანონი უკვე არა ერთხელ იყო გამოყენებული პრაქტიკაში, კერძოდ კი, 2001 წელს ახლო აღმოსავლეთიდან გაძევებულმა ჯგუფმა ისრაელის მაშინდელი პრეზიდენტის არიელ შარონის წინააღმდეგ 1982 წელს ლივანის საბრაში და შატილში სასაკლაოს მოწყობის ბრალდებით სარჩელი შეიტანეს. რამდენიმე წლის განმავლობაში ისრაელის ადვოკატების დიდი ძალისხმევით ეს საკითხი ჩაახშეს, თუმცა ამ გახმაურებულმა პროცესმა 1982 წელს მედიის დიდი ყურადღება დაიმსახურა და ამის გამო არიელ შარონის ბელგიაში რამდენიმე ვიზიტი გადაიდო.

პავლოვსკი პუტინს სათანადოდ ვერ აფასებს

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის ამერიკელ კოლეგა ბარაკ ობამას ამცნო, რომ მაისის თვეში კემპ-დევიდში **„დიდი რვიანის“** სამიტში მონაწილეობას ვერ მიიღებდა ქვეყნის ახალი მთავრობის ფორმირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. მის ნაცვლად რუსეთს პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი წარადგინა, რის თაობაზეც 10 მაისს **„იტარ-ტასზე“** დაყრდნობით საქინფორმი იტყობინებოდა. მაგრამ 20-წუთიანი სატელეფონო საუბრის დროს პუტინი და ობამა 18-19 ივნისს მექსიკის ქალაქ ლოს-კაბოსში **„ოციანის“** სამიტზე შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

პუტინის ყოფილმა მრჩეველმა გლებ პავლოვსკიმ პუტინის უარი „G8“-ის სამიტში მონაწილეობაზე **აშშ**-ზე რამდენიმე მიზეზის გამო განაწყენებული რუსეთის ახალარჩეული პრეზიდენტის შურისძიებად განიხილა: **“სამიტზე თავის ნაცვლად პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის გაგზავნით პუტინი ცდილობს მისი მნიშვნელობის ხაზგასმას. მეორე მხრივ, გაგზავნილია უკმაყოფილების სიგნალი, სულ მცირე, ორ საკითხზე – რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ჩიხში მოქცევისა და მოსკოვში პრეზიდენტის ინაუგურაციის დროს მიმდინარე მოვლენებზე, დიპლომატიური თვალსაზრისით, აშშ-ის შედარებით მკაცრი რეაქციის გამო. ამასთან, ობამამ მილოცვა დააგვიანა... სურვილის შემთხვევაში, ეს სიგნალი პოზიტიურადაც შეიძლება აღიქვა. ვფიქრობ, ვინც საჭიროა, ამ სიგნალს ადეკვატურად წაიკითხავს, კერძოდ, როგორც მსუბუქ გაფრთხილებას“,** – განაცხადა პავლოვსკიმ.

სამწუხაროდ, უნდა მოხდეს იმის კონსტატაცია, რომ მიუხედავად ვლადიმერ ვლადიმერის ძესთან მისი პირველი პრეზიდენტობის დროს მრჩევლად მუშაობისა, ბატონი პავლოვსკი, თავისი ქართველი კოლეგა **„პოლიტოლოგების“** მსგავსად, დღეს აშკარად სათანადოდ ვერ აფასებს პუტინს. სხვაგვარად, როგორც მინიმუმი, მიხვდებოდა, რომ პუტინი არ მიეკუთვნება **„განაწყენებულთა“** კატეგორიას, რომლებიც **„მსუბუქი გაფრთხილებით“ პასუხობენ. „პუტინი ცდილობს, ხაზი გაუსვას...“,** – აცხადებს პავლოვსკი, რომელსაც არ ესმის, რომ პუტინის მსგავსი ადამიანებისთვის რაღაცის ხაზგასმის მცდელობა არადამახასიათებელია – ჩვეულებრივ, ისინი პირდაპირ აცხადებენ თავისი განზრახვის შესახებ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი გამოცდილების პოლიტიკოსები არიან, რაც ძალზედ დამახასიათებელია პუტინისებური ინდივიდუალური პოლიტიკური სტილისათვის. მით უფრო, მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე დღევანდელი ვითარებისა და ახალი რეალიების გათვალისწინებით, რომელთა ცხოვრებაში განხორციელებისათვის პუტინი პრეზიდენტის სავარძელში დაბრუნდა.

კეთილი, ფუჭსიტყვაობა რომ არ დამბრალდეს, მკითხველს ჩემს პროგნოზსაც მოვახსენებ: პუტინი პავლოვსკის მიერ ყველა ზემოჩამოთვლილ **„წყენას“** არა **„მსუბუქი გაფრთხილებით“,** არამედ სერიოზული დარტყმით უპასუხებს, კერძოდ კი – ივნისის დასაწყისში თავის პირველ ოფიციალურ ვიზიტს შორეულ საზღვარგარეთში რუსეთის პრეზიდენტის რანგში ვ. ვ. პუტინი ჩინეთში გამართავს, სადაც შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტშიც მიიღებს მონაწილეობას შემდეგ კი პუტინი სოჭს – 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქს, ესტუმრა, სადაც შეხვდა ალექსანდრე ანქვაბს და ლეონიდ თიბილოვს).

„G8“-ში მონაწილეობაზე უარის ფორმალური მიზეზის შემდეგ, რის თაობაზეც პუტინი ობამას სატელეფონო საუბრისას გაეცნო;

– მიუხედავად იმისა, რომ ობამას **„ვლადიმერ პუტინთან არაფორმალურ ვითარებაში ურთიერთობის დიდი იმედი ჰქონდა „რვიანის“ სამიტზე (როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა);**

– მიუხედავად იმისა, რომ სამიტი ჩიკაგოდან კემპ-დევიდში სწორედ პუტინის გამო გადაიტანეს, რადგან ჩიკაგოში 21 მაისს, „დიდი რვიანის“ სამიტის დასრულებისთანავე, დაგეგმილი იყო ნატოს სამიტი, რომელში მონაწილეობაზეც პუტინმა უარი განაცხადა და ობამამაც არ მოისურვა პუტინის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება” (თუმცა ჩიკაგოს მერიამ „G8“-ის მომზადებაზე უკვე დახარჯა 70 მლნ დოლარი!);

და, ამავე დროს, თავად ფაქტი, რომ პუტინმა დრო გამონახა საზღვარგარეთული ვიზიტისთვის და სწორედაც რომ ჩინეთში, სერიოზული დარტყმა იქნება არა მარტო თეთრი სახლის თავმოყვარეობისთვის! ვიზიტი გულდასმით მომზადდება და აშშ-თვის ერთობ **„დისკომფორტის შემქმნელი“** მნიშვნელოვანი შეთანხმებების პაკეტის ხელმოწერითა და ფარული შეთანხმებების მიღწევით დასრულდება. და ამა წლის 18-19 ივნისს მექსიკაში გამართულ **“„G-20““**-ის (**„დიდი ოცეულის“**) სამიტზე, უკვე ახალი რეალიებიდან გამომდინარე, პუტინი ობამას **„ორიგინალურ წინადადებებს“** შესთავაზებს, რომლებზეც ეს უკანასკნელი უარის თქმას ვერ შეძლებს ანდა არ მოისურვებს...

P.S. და სხვათა შორის, ამას წინათ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ჩინეთი და ინდოეთი არ მიიღებენ მონაწილეობას ნატოს პარტნიორთა შეხვედრაში, რომელიც ჩრდილოატლანტიკური სამიტის ველებზე ჩიკაგოში 20-21 მაისს ჩატარდება, რაც უკვე რუსეთთან შეთანხმებულ პოლიტიკას ჰგავს.

არნო ხიდირბეგიშვილი,
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

როგორც ცნობილია, რუსეთის ახლად არჩეული პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ამერიკულ კემპ-დევიდში 18-19 მაისისათვის დაგეგმილ **„დიდი რვიანის“** სამიტზე არ გაემგზავრა. როგორც პოლიტოლოგები აცხადებენ, ეს უარი სიგნალი უნდა იყოს აშშ-ის ადმინისტრაციისათვის და უნდა მიახვედროს, რომ რუსეთის ლიდერი უკმაყოფილოა პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ამერიკული რეაქციისა და ბოლო დროს მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების გამო.

პოლიტოლოგ გლებ პავლოვსკის აზრით, აგზავნის რა სამიტზე დიმიტრი მედვედევს, პუტინი ცდილობს, ხაზი გაუსვას მის მნიშვნელობას. მეორე მხრივ, გაშვებულია უკმაყოფილების სიგნალი, სულ მცირე, ორი საკითხის გამო: რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ჩიხში მოქცევისა და ამერიკის შედარებით ხისტი რეაქცია ინაუგურაციის დღეს მოსკოვში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

თავის მხრივ, თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა იგორ იუნგერსმა გამოხატა მოსაზრება, რომ ამ გადაწყვეტილებით პუტინმა დააფიქსირა მოსკოვის პოზიცია აშშ-ის ადმინისტრაციის ამჟამინდელი მეთაურის – ბარაკ ობამას მიმართ.

რას ჰქვია, წასვლა არ უნდა?



„ახლა აღარც აფხაზეთი გვაქვს, აღარც ოსეთი და აღარც სოფელი“

„არანაირი გამოკვლევის არა მჯერა. ვხედავ, რაც ხდება ჩემ გარშემო და იმის მიხედვით ვაფასებ ვითარებას“

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსახიობ გივი ბერიკაშვილს **„ქართული ოცნება“** გურჯაანის მაჟორიტარ დეპუტატად დაასახელებს. ჩვენ მსახიობს დავუკავშირდით:

– ბატონო გივი, ამბობენ, რომ პოლიტიკაში აპირებთ წასვლას.

– ეს რომ გავიგე, ბევრი ვიცინე, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს და არც პრეტენზია მაქვს პოლიტიკაში მოსვლაზე. 15 მაისს 79 წლის ვხდები და რაღა დროს ჩემი დეპუტატობაა.

ჩემი ასაკის კაცი შეიძლება მრჩეველი იყოს, მაგრამ აქტიურად რანაირად უნდა იყოს პოლიტიკაში? 80 წელს მიტანებული კაცი ისე ხომ ვერ იმუშავებს, ისე ხომ ვეღარ წავა-წამოვა, როგორც ახალგაზრდა? მე ისიც არ მომწონს, 21 წლის ბიჭს რომ პარლამენტში დასვამენ. გოგოს დაინახავს და პარლამენტსაც ფეხებზე დაიკიდებს და ყველაფერსაც. პარლამენტარს გამოცდილება უნდა ჰქონდეს, ცხოვრებას უნდა იცნობდეს.

მე რომ ვუთხრა ბიძინას, არ შემიძლია დეპუტატობა, რადგან იმდენი ენერგია არა მაქვს-მეთქი, რატომ უნდა ეწყინოს? სხვა მხრივ გვერდში დავუდგები და მხარს დავუჭერ.

– IRI-ის კვლევის თანახმად, „ნაციონალურ მოძრაობას“ გამოკითხულთა 45% უჭერს მხარს, „ქართულ ოცნებას“ კი – 19%.

– არანაირი გამოკვლევის არა მჯერა. ვხედავ, რაც ხდება ჩემ გარშემო და იმის მიხედვით ვაფასებ ვითარებას. იმედია, ქართველ ხალხს არ შეეშინდება და ობიექტურ არჩევანს გააკეთებს. თუ შეეშინდება და, სირცხვილი ქართველ კაცს, რომლის წინაპარსაც ხმლით აქვს მოტანილი ჩვენი სამშობლო. რისი ეშინიათ? კომუნისტების დროს არჩევნებზე დოლ-გარმონით მივდიოდით. არჩევნებზე ხომ არის ფარული კენჭისყრა? ვისაც უნდა, იმას შემოხაზავს კაცი, ჩააგდებს ყუთში და წამოვა სახლში. ძალით თუ შემოახაზვინებენ ვინმეს, გამოვიდეს და თქვას. მგონია, ქართველ ხალხს ეყოფა იმდენი ჭკუა, რომ სწორი ნაბიჯი გადადგას. შეიძლება ახლა ვინმე ცოტა უკან იხევს, მაგრამ ყუთთან რომ მივა, იმ არჩევანს გააკეთებს, რომელიც უნდა.

– მაგრამ პრეზიდენტმა თქვა, მაცალეთ 2-3-4 წელიო.

– რას ჰქვია, წასვლა არ უნდა, კანონი და კონსტიტუცია ხომ არსებობს? ყველაფერს თუ თავზე დაგვამხობს, მეტის ღირსი ვიქნებით. რაც წესი და რიგია, ის უნდა გაკეთდეს. მეც შევალ სადმე კარგ ადგილას, დავჯდები და ვიტყვი, არ წავალ-მეთქი, მაგრამ ეგრე სად არის? ვინ დამტოვებს?! ყველამ თავი უნდა შეიკავოს ლანძღვისაგან, ხალხის ნერვების მოშლისა და ძალდატანებისაგან, რადგან არაფერი დაიმალება. ქართველმა ხალხმა აქამდე იმიტომ მოაღწია, რომ ყოველთვის ჰქონდა გამბედაობა და სიმტკიცე. ერები გადაშენდა და ჩვენ ისევ ვარსებობთ ამ გზაჯვარედინზე. ახლაც ეყოფა ქართველ ხალხს ჭკუა და იმას გააკეთებს, რაც თვითონ უნდა.

– იმის გამო, რომ სააკაშვილმა პარლამენტი ქუთაისში გადაიტანა და აღლუმის გამართვასაც იქ აპირებს, ითქვა, თბილისი არ უყვარსო.

– სააკაშვილმა რატომ გადაიტანა **„პარადი“** ქუთაისში, არ ვიცი. თუ მინდა, აღლუმს დავესწრო, ვერ წავალ ქუთაისში თუ რა? საძმო არა მყავს იქ თუ სანათესავო? წელი არ არის, ქუთაისში სპექტაკლი არ ვითამაშო. ჩვენს პოლიტიკოსებზე ბევრად მეტი ურთიერთობა მაქვს ქუთაისთან და კიდევ მეტი სიყვარული ხალხის. გამიგია, სააკაშვილს თბილისი იმიტომ არ მოსწონს, მხარს არ უჭერსო. ქუთაისში გადაირევიან მასზე? არ ვიცი. ციფრებს ასახელებენ, გაჩეჩილაძესთან რომ წააგო თბილისში არჩევნები, ამიტომ განაწყენდაო.

მინდა მშვიდი ქვეყანა გვქონდეს, ის გაკეთდეს, რაც ქვეყნისა და ხალხისთვის იქნება უკეთესი. რომ დავინახავ, ადამიანი ამისთვის იბრძვის, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერ. თბილისის ყველა თეატრის მსახიობი იმ აზრზეა, რომ ბიძინას ამ ქვეყნისთვის კარგი უნდა. 10 წელიწადია, ბიძინა მხარში უდგას თეატრებს. მისი დამსახურებაა, რომ თეატრიდან ხალხი არ გაიქცა და თოხი და ბარი არ აიღო ხელში. კაცი ამდენი წელი ამდენ რამეს აშენებდა და როგორ ვიფიქრო, რომ ქვეყნის დასანგრევად უნდა ხელისუფლება? იმის გამო, რომ პოლიტიკაში უნდა მოსვლა, უნდა გალანძღო? ეს დაუშვებლად მიმაჩნია. მიეცი ხალხს უფლება და უნდა აირჩევს, უნდა – არა. სიტყვა არ დასცდენია ბიძინას, რადგან გეხმარებოდით, ახლა მხარი დამიჭირეთო. პირიქით, ყველანაირი კავშირი გაწყვიტა ჩემთან, რაც პოლიტიკაში მოვიდა.

რასაც ჩემი პროფესია და ხალხის სიყვარული შემაძლებინებს, ყველაფერს გავაკეთებ. ღმერთმა ჩვენს ქვეყანას ხელი მოუმართოს, ქართველ ხალხს კარგი ცხოვრება ჰქონდეს. მივხედოთ სოფელს, რომელიც ასე გაგვინადგურდა. თბილისში გაზრდილი კაცი ვარ და ერთი სული მქონდა, დასვენების დღეს სოფელში წავსულიყავი. ახლა სოფლისკენ გახედვაც აღარ მინდა, რადგან სოფელი სოფელს აღარ ჰგავს. სოფელი არ ყოფილა, სადაც სპექტაკლი არ მეთამაშა, ახლა სად წაიღებ სპექტაკლს ან ვინ მოვა? ხალხს ფქვილი აღარა აქვს, რომ პური გამოაცხოს. სოფელში კი არა, ქუთაისშიც ძალიან უჭირს ხალხს. ერთმა მითხრა, მემეჭრა თავი, ვერ დაგპატიჟეო. არადა, ადრე ქუთაისში რომ ჩავდიოდი, კილომეტრიანი რიგი იდგა, არა, ჩემთან წამოდი, არა – ჩემთანო. ეს უნდა დასრულდეს და ცოტა შვებით ამოისუნთქოს დიდმაც და პატარამაც. საკუთარ თავს უნდა ვაჯობოთ და ქვეყანაზე ვიფიქროთ. საცაა 80 წლის გავხდები და ამდენი მათხოვარი და ნაგვის ურნაში ჩამძვრალი ადამიანი არასოდეს მინახავს. მახსოვს, ცხინვალში რომ ჩავდიოდი მერაბ ელიოზიშვილთან, ოსები მოდიოდნენ და მამამისს ეუბნებოდნენ, აბელ, არა ხარ კარგი კაცი, გივი რა, ჩვენი არ არის, ჩვენთან რომ არ მოგყავს. წამოვიდეს, ჭიქა ღვინო ავწიოთო. ასე სიყვარულით ვიყავით ქართველები და ოსები, ჩვენ და აფხაზები. რა მაფიქრებინებდა, რომ ასე დაიქცეოდა ეს ქვეყანა? ახლა აღარც აფხაზეთი გვაქვს, აღარც ოსეთი და აღარც სოფელი.

ი. რიკაძე

ბენდუქიძის ტბის წყალმა „ბენკუკიძის ოყნა“ შეავსო...

„საქინფორმის“ კორესპონდენტები შემთხვევის ადგილიდან იუწყებოდნენ: 12 მაისიდან 13 მაისის ღამეს თბილისში კოკისპირულად წვიმდა, რასაც, ქალაქის საკანალიზაციო და სადრენაჟო საკოლექტორი სისტემების გაუმართაობის გამო, ნამდვილი წყალდიდობა მოჰყვა. დაიტბორა ქალაქის მრავალი რაიონი, მოძრაობა პარალიზებულ იქნა თითქმის ყველა ცენტრალურ ავტომაგისტრალზე – ისინი ერთბაშად ბობოქარ მდინარეებად გადაიქცა.

შემაღლებულ ადგილას მდებარე კრწანისის რაიონში ჩამოინგრა იმ ხელოვნური ტბის დამბის კედელი, რომელიც თავის ტერიტორიაზე ეკონომიკის ექსმინისტრმა ბენდუქიძემ გააშენა, რის შედეგადაც ზემოდან წამოსულმა უზარმაზარმა წყლის ნიაღვარმა წალეკა ორთაჭალის რაიონში ხეები და სახლები, რომელთა შორისაც დილით კატერი იპოვეს... მეწყერის ნიაღვარმა საცხოვრებელი სახლების, მაღაზიებისა და დაწესებულებების პირველი ორი სართული მთლიანად დატბორა, მათ შორის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობა და შადრევანი, რომელსაც ქალაქელებმა მისი ზომების გამო **„ბენკუკიძის ოყნა“** შეარქვეს (როგორც გახსოვთ, ის აქ გმირთა მოედნიდან გადაიტანეს და ქალაქის ბიუჯეტს იგი 1 მილიონი ლარი დაუჯდა). ქალაქის ხელისუფლება ცდილობდა, ეს ფაქტი დაემალა და მომხდარი მტკვრის კალაპოტიდან გადმოსული წყლის ნაკადით აეხსნა (რაც მთლიანად უარყო **„ზაჰესის“** უფროსმა), თუმცა მდინარის ნაპირების გამაგრება, რომელიც დედაქალაქს ორად ყოფს, ასევე, ხელისუფლების მოვალეობაა.

ბევრ რაიონში, კერძოდ, ნუცუბიძის პლატოზე გასკდა საკანალიზაციო კომუნიკაციები და ფეკალური მასები კოლექტორებში წვიმის წყალს შეერია, დატბორა სადარბაზოები, სარდაფები და საცხოვრებელ კორპუსთა მიმდებარე ტერიტორია, გაჩნდა ეპიდემიის წარმოშობისა და სასმელი წყლის დაბინძურების საშიშროება!

წვიმის შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი, მათგან 2 მცირეწლოვანი ბავშვი, 2 ქალი და ერთი მოხუცი მამაკაცი. ამ დროისთვის ცნობილია, რომ უკვალოდ დაიკარგა 3 ადამიანი. დაზიანებული, მთლიანად განადგურებული ან წყლის მიერ გატაცებული ავტომანქანების რიცხვის დადგენა წარმოუდგენელია, ხოლო ჩამონგრეულ სახლთა რაოდენობის შესახებ, განსაკუთრებით კი, ქალაქის ძველ რაიონში, **„საქინფორმი“** მკითხველს მოგვიანებით აცნობებს. ამჟამად შეიძლება იმის კონსტატირება, რომ მათი რიცხვი ძალიან დიდია, თუ, ამასთან ერთად, გავითვალისწინებთ ჩამონგრეულ სახურავებსა და ნახევრად დანგრეულ კედლებს. ზარალი მილიონობით ლარით განისაზღვრება.

მოგვიანებით თბილისის ქუჩებში გამოიჟვანეს სამხედრო ჯავშანტექნიკა, სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურები, რომლებიც მოქალაქეთა დახმარებას ლამობდნენ. თითქმის მთელ ქალაქში გაითიშა ელექტროენერგია, რადგანაც წყალმა გაანადგურა დაახლობით ასი ფიდერი; გათიშული იყო სასმელი წყალი, რადგანაც გამწმენდმა სისტემებმა ნაკადს ვერ გაუძლო. უსახლკაროდ დარჩენილი, გალუმპული თბილისელები ქუჩებში გამოვიდნენ და ქალაქის ხელისუფლებას პასუხი მოსთხოვეს. აგრეთვე, გამოხატეს თავისი აღშფოთება **„Facebook“**-ის გვერდებზე, სადაც სამოყვარულო ფოტო და ვიდეომასალა განათავსეს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი რამ თბილისში პირველად არ ხდება – საქართველოს დედაქალაქი ყოველი თუნდაც ხანმოკლე თავსხმა წვიმის დროს, უბედურების ზონას ემსგავსება.

ქუჩებში ყველა სადრენაჟო-საწვიმარი კოლექტორი ან გაჭედილია, ან უვარგისი, ანდა საერთოდ არ არსებობს. გზები, რომლებითაც ასე იკვეხნის ამჟამინდელი ხელისუფლება – ცენტრალური პროსპექტებიცა და რაიონული ქუჩებიც, კატასტროფულ მდგომარეობაშია. ქალაქის ბიუჯეტიდან უაღრესად უხარისხოდ დაგებულ ასფალტზე გახარჯული მილიონობით დოლარი ჩამოწერილია. ამას ემატება საავტომობილო ესტაკადის მსგავსი და მთის მასივებში გაჭრილი გზების საეჭვო პროექტები, რომელთა გამოც წინასაარჩევნო ციებცხელებისას მმართველმა **„ნაცმოძრაობამ“** გადათხარა ქუჩები, რასაც მარჯვენა სანაპიროსა და ვაკე-საბურთალოს გზის დატბორვა და იმ დღეს აქამდე არნახული ქვების ცვენაც მოჰყვა. მთლიანად ისპობა ქალაქის ძველი – ისტორიული ნაწილი, ინგრევა სახლები, თითქმის ყოველდღე ჩნდება ხანძრები და ძირძველი თბილისელები იძულებული ხდებიან, ნაქირავებ ბინებში შეიყუჟონ იმის მოლოდინში, თუ როდის უზრუნველყოფს მათ ხელისუფლება საცხოვრებელი ფართით ქალაქის გარეუბნებში, რაკი არარეალურია იმის მოლოდინი, რომ მათი სახლების ადგილას ახალ შენობებში ცხოვრებას მოესწრებიან – თბილისელები ხომ სიღატაკეში, მშიერმწყურვალი და უმუშევარი არსებობენ და არც იმის საშუალება აქვთ, მედიკამენტები შეიძინონ ანდა ექიმს მიმართონ. მთავარ საწუხრად კი მაინც ის ჰქცევიათ, თუ რა სახსრებით მიაბარებენ მათ მიწას...

სხვათა შორის, ამბობენ, რომ ხელისუფლება თავად აჩენს ხანძრებს – ცეცხლს უკიდებს სახლებს ქალაქის ძველ, პრესტიჟულად ქცეულ ნაწილში, რათა იქიდან ძირძველი მკვიდრნი გამოაძევონ და ააშენონ რესტორნები, სასტუმროები და ვილები თავიანთთვის და თავისი ახლობლებისთვის, ანდა შემდეგ უცხოელებს მიჰყიდონ. მით უფრო, რომ სამშენებლო ბიზნესი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ბიზნესი საქართველოში, მთლიანად საქართველოს ამჟამინდელ მმართველთ ეკუთვნით და, შესაბამისად, მათ მიერვე კონტროლდება.

ამ დროს კი, ყოველდღიურად, ყოველ საათში, ტელეეკრანებზე პრეზიდენტი სააკაშვილი გამაოგნებელ სიტყვას წარმოთქვამს **„სინგაპურიზაციაზე“**, იმაზე, თუ როგორ ააშენა **„სუპერთანამედროვე“** ქალაქები, რომლებსაც **„დუბაები და ნიცები“** ვერ შეედრება, და მრავალ ასეთ **„ტრამპაცუმპას“**... თბილისი და თბილისელები კი, რომლებიც სძულს იმის გამო, რომ მან და მისმა **„ნაცმოძრაობამ“** აქამდე ყველა ჩატარებული არჩევნები წააგო, იღუპებიან... უფრო სწორად, თბილისს სპეციალურად ანადგურებენ, როგორც ქალაქსა და დედაქალაქს, გადააქვთ ქუთაისში, სადაც მიშა გასამეორებლად უხერხული მუქარით მშენებლებს აიძულებს, სასწრაფოდ დაასრულონ ახალი პარლამენტის შენობა, რომ უკვე ამ დღეებში იქ გამართოს (თუნდაც პარლამენტარები კუნძებზე ჩაჩქნებით ჩამოსხდნენ) პირველი სხდომა ექსპლუატაციაში ჩაუბარებელ შენობაში... რათა სამუდამოდ დაივიწყოს მეამბოხე თბილისელები, რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის შენობის წინ მიტინგებს რომ მართავენ; სამუდამოდ გაანადგუროს მისთვის მენტალურად აგრერიგად უცხო ქალაქმუზეუმი, მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი კლასიკოსისთვის – მუზად, მეცნიერების მოღვაწეთათვის – მექად და ისტორიკოსთა მატიანის ობიექტად რომ იქცა...

ამასობაში კი, სააკაშვილი სააკაშვილი მილანში **„შოპინგობდა“.**

ეს სკანდალური ფოტო ერთ-ერთ ქართულ გაზეთს ორშაბათს, საღამოს, ექსკლუზიურად მიაწოდეს. დიახ, ეს მიხეილ სააკაშვილია, რომელიც ორშაბათს, ორთაჭალაში 5 ადამიანის ტრაგიკულად დაღუპვიდან ერთი დღის შემდეგ, მილანის ცენტრში, მონტე ნაპოლიზე დაშლიგინობს ალშვანგის ნოქარივით და **„შოპინგობს“.** როგორც **„ალიას“** ექსკლუზიურად აცნობეს, მილანში სააკაშვილი სლოვენიიდან ჩაფრინდა. მოგეხსენებათ, ის სლოვენიაში კვირას საქართველოს 17- წლამდე ნაკრების საფეხბურთო მატჩს დაესწრო. როგორც ჩანს, მომხდარი სტიქიური უბედურებით, 5 ადამიანის დაღუპვითა და შემდეგ საფეხბურთო მატჩის წაგებით **„მიღებული დეპრესიის“** გაქარწყლება საქართველოს პრეზიდენტმა მილანში სტუმრობითა და **„შოპინგით“** გადაწყვიტა.

დიახ, ეს ის მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც წინასაარჩევნოდ, ტელეკამერების წინ, გაჭირვებული მოხუცების ნახვაზე ცრემლი სდის!!!

ეს ის სააკაშვილია, რომელმაც თავისავე მინისტრებს შენიშვნა მისცა, ფუფუნების დრო არ არის, როცა თითოეული ქართველი დღეში ორ დოლარზე ცხოვრობსო!!! ფუფუნება, კარგი ცხოვრება და **„შოპინგი“,** რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ არა იმ დროს, როცა შენს ქვეყანაში, სულ რაღაც ერთი დღის წინ, სტიქიის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 2 ბავშვი, და უამრავი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა და შენ ამ ქვეყნის პრეზიდენტი ხარ!!!

როგორც ჩანს, სააკაშვილმა, რეალობის შეგრძნებასთან ერთად, დროც დაკარგა!!! ალბათ, ამიტომ გადაწყვიტა მილანში გადაფრენა და საათის შეძენა.

ალბათ, იმ საათის სანაცვლოდ, 2004 წელს, სამეგრელოში, აფხაზეთიდან დევნილს, გენო ჯობავას რომ აჩუქა და მის გაჩერებამდე აფხაზეთში დაბრუნებას დაჰპირდა!!!

ან იმ საათის, მისი რეჟიმის დასრულების წამებს რომ აითვლის!!!

ან პირიქით, ქართველი ხალხის საბოლოო განადგურების!!!

ქართული ჯანდაცვის მძიმე ჯვარი

ჯანდაცვის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. იგი აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობითაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური პროპაგანდის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებზე მოდის, ვითარების არსებითად გამოსწორება ჯერჯერობით მაინც ვერ ხერხდება. ის ახალი საავადმყოფოები, რომლებიც, ძირითადად, კერძო კომპანიებმა ააშენეს და რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ზარ-ზეიმით ხსნის, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კვლავაც მიუწვდომელია. საქართველოს მოქალაქეებისთვის კვლავაც უდიდეს პრობლემად რჩება პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვაზე გაწეული მინიმალური დანახარჯებიცაა. შესაბამისად, ქვეყანაში ავადმყოფობა ისევ არის ოჯახის გაღარიბების ერთ-ერთი მიზეზი. კერძო დაზღვევის მწირი გავრცელება, სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი, ხარვეზები ექიმთა უწყვეტი განათლების პროცესში, დედაქალაქსა და რეგიონებში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეებს შორის უთანასწორო დაზღვევის შემთხვევები სახალხო დამცველის ანგარიშში მოხვდა, რომელშიც ლაპარაკია, რომ საჭირო მედიკამენტების შეძენა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ფუფუნებაა.

ქვეყნისთვის ჯანდაცვის პრიორიტეტულობის მთავარი მაჩვენებელი ჯანდაცვის სფეროზე მთლიანი დანახარჯია. მსოფლიო სტანდარტით, ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტის წილი საერთო დანახარჯების 15% მაინც უნდა იყოს. თუმცა, საქართველო ამ მხრივ, არა მხოლოდ ევროპის, დსთ-ის ქვეყნებსაც კი ჩამორჩება. 2012 წლის ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხა 396 მილიონ 748 ათასი ლარია, რაც საერთო დანახარჯების მხოლოდ 5%-ს შეადგენს. ჯანდაცვაზე ოჯახის კატასტროფულ დანახარჯებს ე.წ. ჯიბიდან გადახდის პრაქტიკაც ზრდის. ევროპის მასშტაბით საქართველო ჯიბიდან გადახდის მაჩვენებლით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. ყველაზე მეტ თანხას კი მოქალაქეები წამლებში ხარჯავენ. 2011 წლის მონაცემებით, საქართველოში სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯები ჯანდაცვაზე შეადგენს მთლიანი შიგა პროდუქტის 1,5%-ს, მაშინ, როდესაც საშუალოდ მსოფლიოში აღნიშნული მაჩვენებელი 5%-ია, მათ შორის დაბალ განვითარებულ ქვეყნებში – 2,2%, საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში – 3,5% და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კი – 6,7%. ანუ, ამ ინდიკატორით, ჩვენ დაბალგანვითარებულ ქვეყნებსაც კი ჩამოვრჩებით.

საქართველოს მთავრობას წლევანდელი ბიუჯეტის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვისთვის დაახლოებით 53 დოლარი, ანუ დაახლოებით 85 ლარი აქვს გაწერილი. ესტონეთში მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯი – 640 დოლარია (1.038 ლარი), ლიტვაში – 523 დოლარი (847 ლარი), რუსეთში – 243 დოლარი (393 ლარი). აზერბაიჯანში – 140 დოლარი (226 ლ), სომხეთში კი – 133 დოლარი (215 ლ).

საქართველოში ჯანდაცვის დაფინანსების ძირითად წყაროდ, როგორც რჩება მოსახლეობის კერძო დანახარჯები – ჯიბიდან გადახდის მაჩვენებელი საერთო დანახარჯების 40%-ზე მეტია.

2011 წლის მონაცემებით, დაზღვევით სულ 1.408.465 ადამიანი სარგებლობს. სახელმწიფო სუბსიდირებული პროგრამებით აზღვევს 857.142 ადამიანს, მათგან 763.311 სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, თუმცა ზოგ შემთხვევაში მედიკამენტებზე ხელი არა მხოლოდ დაუზღვეველ, არამედ დაზღვეულ ნაწილსაც კი ძნელად მიუწვდება. საქმე ის არის, რომ მედიკამენტები, რომლებიც პაციენტებს სჭირდებათ, ხშირად არ არის შეტანილი სადაზღვევო ნუსხაში. ცალკე თემაა ექიმთა კვალიფიკაცია, სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ფასი. 2001-2010 წლებში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მოცულობა 9.2-ჯერ გაიზარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ერთი შეხედვით საგრძნობი პროგრესის მიუხედავად, მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა, რაც შეიძლება არასწორად გათვლილ პოლიტიკას და საბიუჯეტო თანხების განაწილებასაც დავაბრალოთ. დღეს უკვე ნათელია, რომ წინასაარჩევნოდ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე სწორედ ჯანდაცვის სფერო და სოციალური საკითხები იქნება. უკვე ცნობილია, რომ სექტემბრიდან პენსიონერთა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევას იგეგმება. ამასთანავე, პენსიონერების პარალელურად, სახელმწიფოსგან ჯანმრთელობის დაზღვევას მიიღებენ 6 წლამდე ბავშვები. კოალიცია **„ქართული ოცნების“** წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მომავალ არჩევნებში მათი გამარჯვების შემთხვევაში, ისინი საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევას შესთავაზებენ ქვეყნის მოსახლეობას. კოალიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის, კობა დავითაშვილის განცხადებით, **„ქართულ ოცნებაში“** ყველაფერი უკვე დათვლილი აქვთ და ამ პროექტის განსახორციელებლად 885 მილიონი ლარია საჭირო.

ცნობისათვის: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა მსოფლიოს იმ ათი ქვეყნის მონაცემები, რომლებიც ყველაზე დიდ ფინანსებს ხარჯავენ ჯანდაცვის სფეროში. ამ რეიტინგის მიხედით: აშშ სამედიცინო მომსახურებისთვის მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯავს 7.960 დოლარს (12.895 ლ); ნორვეგია – 5.352 დოლარს (8.670 ლ); შვეიცარია – 5.344 დოლარს (8.657 ლ); ჰოლანდია – 4.914 დოლარს (7.960 ლ); კანადა – 4.478 დოლარს (7.254 ლ); დანია – 4.348 დოლარს (7. 043 ლ); ავსტრია – 4.298 დოლარს (6.962 ლ); გერმანია – 4.218 დოლარს (6. 833 ლ); საფრანგეთი კი – 3.978-ს (6.444 ლ).

ნ. დოლიძე

გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობამ, შესაძლოა, 1000-სან გადააჭარბოს

შიდამიგრაციული პროცესების გამო მალე, შესაძლოა, საქართველოში გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობამ 1000-საც კი გადააჭარბოს – ასეთ პროგნოზს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ავთანდილ სულაბერიძე აკეთებს: **„ისეთი სოფლების რაოდენობა, სადაც ბავშვი აღარ იბადება ან არ ხდება აღწარმოება და ის დეპოპულიზაციას განიცდის, ძალიან ბევრია. „მკვდარი“ სოფლებიდან, ანუ იქ სადაც ადამიანები მხოლოდ კვდებიან, 5-6 წელიწადში ნასახლარებიღა დაგვრჩება“.**

საქართველოში გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობის შესახებ ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. თუ 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებს დავეყრდნობით, მაშინ ქვეყანაში სულ 3 668 სოფელი იყო, საიდანაც 162 სოფელში არავინ ცხოვრობდა. 152 სოფელში 1-დან 10 კაცამდე ცხოვრობდა, 169-ში – 11-დან 25 კაცამდე, 224 სოფელში – 22-დან 40 კაცამდე, 360 სოფელში კი – 51-დან 100 კაცამდე.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სოფლებში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც 2002 წლის აღწერის შედეგად 1-დან 10 კაცამდე ცხოვრობდა, შეიძლება აღარავინ იყოს ცოცხალი დარჩენილი. ამ ყველაფერს სჭირდება კვლევა, რომელიც ბოლო 10 წელია, არ ჩატარებულა“, – აღნიშნა დემოგრაფმა ანზორ თოთაძემ.

საერთოდ, საქართველოში შიდამიგრაციული პროცესების სტატისტიკური კვლევა, პრაქტიკულად, არასდროს ჩატარებულა, თუმცა ემპირიული დაკვირვებით სოფლებიდან რაიონულ ცენტრებსა თუ დიდ ქალაქებში მიგრაცია დღესაც ისევე აქტიურად მიმდინარეობს, როგორც ეს გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო. ექსპერტ სოსო არჩვაძის შეფასებით, სტატისტიკის სამსახურს მსგავსი მონაცემები არასდროს გამოუქვეყნებია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ამ ტიპის მონაცემების მიღება მარტივია და ეს დამატებითი კითხვარის საშუალებითაც შესაძლებელია.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხი ყოველ 7 წელიწადში ერთხელ იცვლის საცხოვრებელ ადგილს, ეს პროცესი საქართველოშიც მიმდინარეობს და მისი შესწავლა „საქსტატის“ პირდაპირი მოვალეობაა“, – აცხადებს არჩვაძე.

მისივე შეფასებით, ქალაქებში, ძირითადად კი თბილისში სოფლებიდან ჩამოსული ადამიანთა რიცხვი ძალიან დიდია და ეს პროცესი ბოლო წლებში არ შეჩერებულა.

„სოფლად დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი მცირეა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ყოველი 100 ლარიდან სასაქონლო ფორმა 33 ლარზე, დარჩენილი 67 ლარი კი ნატურალურზე მოდის. ეს საბჭოთა კავშირის დროინდელ მაჩვენებელზე ცუდი შედეგია“,– აღნიშნავს არჩვაძე.

ამასთან, დღემდე უცნობია რამდენი ადამიანი ცხოვრობს მთიან სოფლებში, რადგან სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში დიფერენცირებული მხოლოდ ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა რაოდენობაა. კერძოდ, ამ მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ქალაქად 2 371,3 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, სოფლად კი – 2 097,9 ათასი.

საქართველოში აქტიური შიდამიგრაციული პროცესები გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც მთის ზონიდან მოსახლეობა ბარის ზონაში იმ მიზეზით ჩამოიყვანეს. იმ პერიოდში მძიმე მრეწველობის განვითარება ბევრ მუშახელს მოითხოვდა. მაშინ ამ მხრივ საქმეში ჩაერთო მთელი საბჭოთა პროპაგანდა – კინო, პრესა, მწერლობა.

სულ მალე, როცა ნათლად გამოიკვეთა მთის დაცარიელების უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები იგივე საბჭოთა ხელისუფლება ბევრს ეცადა გამოესწორებინა დაშვებული შეცდომა, მაგრამ ეს მაინც ვერ მოახერხა. საქმეს ვერც მატერიალური სტიმულირების ახალმა მეთოდებმა და ვერც ახალმა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა და კინოფილმებმა უშველა, რომლებითაც ახლა უკვე საპირისპირო პროპაგანდას ეწეოდნენ. მთა კვლავაც იცლებოდა.

უკვე დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მთასთან ერთად დაიწყო ბარის სოფლების დაცლაც. პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს და თუ სპეციალისტებს დავუჯერებთ, 5-6 წელიწადში საქართველოში რამდენიმე ასეული სოფლიდან მხოლოდ ნასახლარები დაგვრჩება.

ე. წიკლაური

მიხეილ სააკაშვილი – საზღვარგარეთ საქართველოს „გაშავებისთვის“ „ჩრდილოეთიდან მოსული“ ათობით მილიონი დოლარი იხარჯება

(მართლა ვერ არის ეს კაცი თავის „მოტორზე“)

საზღვარგარეთ საქართველოს **„გაშავებისთვის“ „ჩრდილოეთიდან მოსული“** ათობით მილიონი დოლარი იხარჯება, ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამას წინათ დიდი **„გულისტკივილით“** განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიები, კორუფციასთან მუდმივი ბრძოლის საჭიროება, პოლიციელების გაუხეშების არდაშვება, საზოგადოების დიდი ნაწილის გაჭირვებაში ყოფნა და ა.შ. ამიტომ, პრეზიდენტის განცხადებით, ის არ ტრაბახობს და არ იწონებს თავს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს მონაცემები და მას მთელი მსოფლიო შენატრის.

საინტერესოა, როგორ უნდა ებრძოლოს სააკაშვილი საკუთარ თავს, რადგან ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებით გზა გაუხსნა სხვადასხვა კლანებს, რაც ნოყიერი ნიადაგია იმ სახელისუფლებო კორუფციისათვის, რომელზეც უკვე ღიად საუბრობენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამის დასტური გახლავთ უსაშველოდ გაბერილი ფასები ენერგომატარებლებსა თუ სხვა პირველადი მოხმარების საგნებზე, რაც მძიმე ტვირთად აწვება საქართველოს ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას.

სააკაშვილის თქმით, საქართველოს მთელი მსოფლიო შენატრის, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთიდან მოსული ათობით მილიონი დოლარი, ყოველდღიურად და ყოველთვიურად იხარჯება აშშ-სა და ევროპაში საქართველოს გაშავებაზე და პოლიტიკური პროცესების დელეგიტიმაციაზე, რათა **„კარებთან მომდგარ დამპყრობელს ხელი გაუხსნან“.** თუმცა, პრეზიდენტის განცხადებით, საქართველო **„იმდენად მაგრად მიდის“** რეფორმებით წინ, რომ ამ მიზნის მიღწევა ვერ ხერხდება.

მოკლედ სააკაშვილი იმ სირაქლემას ემსგავსება, რომელიც მტაცებელისაგან თავის დახსნის მიზნით სილაში რგავს თავს, მაგრამ ვეებერთელა უკანალი მაცდურად აქვს აშვერილი.

იგი რატომღაც ფიქრობს, რომ თუ პრობლემას ხალხი ვერ დაინახავს, იგი არ იარსებებს!

ან სულელი უნდა იყო ადამიანი, ან დიდი ანგარებით შეპყრობილი, რომ ასეთი დიდი პრობლემა უგულვებელჰყო!

მაგრამ, შუბი ხალთაში ვერ დაიმალება!

რუსეთი აფხაზეთში უმაროვის სამალავებზე საუბრობს და თბილისს აღანაშაულებს

რუსეთმა განაცხადა 10 მაისს, რომ მისმა ფედერალური უშიშროების სამსახურმა აფხაზეთში დიდი რაოდენობით იარაღის სამალავები აღმოაჩინა, რომელთა სამიზნეც სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ობიექტები იყო. რუსეთის თქმით, იარაღი აფხაზეთში **„ქართულ სპეცსამსახურებთან ახლო კავშირების მქონე“** ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერმა დოკუ უმაროვმა შეიტანა.

უმაროვმა, რომელიც რუსეთის მიერ იძებნება, საკუთარი თავი **„კავკასიის საამიროს ემირად“** გამოაცხადა; იგი **აშშ**-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორისტთა სიაშიც არის შესული.

განცხადება იარაღის სამალავების თაობაზე, რომელიც რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა 10 მაისს გაავრცელეს, რუსეთის ანტიტერორისტულ კომიტეტს ეკუთვნის. ეს რუსეთის სამთავრობო სტრუქტურაა, რომელიც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დაქვემდებარებაშია და ანტიტერორისტული პოლიტიკის კოორდინაციას ახორციელებს.

ცალკე, თუმცა მსგავსი შინაარსის განცხადება, რომელიც **„აფსნი პრესმა“** ფოტოებთან ერთად გაავრცელა, აფხაზეთის უშიშროების სამსახურმაც გამოაქვეყნა.

„საქართველოს სპეცსამსახურებთან ახლო კავშირების მქონე უმაროვი კოორდინაციას უწევდა სოჭის უშუალო სიახლოვეს ტერაქტების მოსახდენად საშუალებების მიწოდების ორგანიზებას და ხსენებული სამალავების მოწყობას“, – განაცხადა რუსეთის ნაციონალურმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა.

„რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა შეძლო, დაედგინა, რომ მებრძოლები გეგმავდნენ, 2012-2014 წლებში გადაეტანათ აღნიშნული შეიარაღება ოლიმპიური თამაშების მომზადებისა და გამართვის პერიოდში ტერორისტული აქტების მოსაწყობად“, – განაცხადეს რუსეთის ეროვნულ ანტიტერორისტულ კომიტეტში.

ამ განცხადების თანახმად, 4 და 5 მაისს აფხაზეთში სამალავების აღმოჩენა შარშან აგვისტოში **„აფხაზეთის ჯამაათის“** თაობაზე დაწყებული გამოძიების შედეგია. ეს დაჯგუფება უმაროვის **„კავკასიის საამიროს“** აფხაზურ შტოდ მოიაზრება.

აფხაზეთის უშიშროების სამსახურმა განაცხადა, რომ დაპატიმრებულია **„აფხაზეთის ჯამაათის“**ლიდერი რუსლან გიცბაც.

სოხუმის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, იარაღის სამალავები, სადაც ინახებოდა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებიც, სხვადასხვა ადგილას აღმოაჩინეს, ძირითადად, გუდაუთის რაიონის სოფლებში – დურიფშსა და ბზიფში.

რუსული და აფხაზური განცხადებების თანახმად, ამოღებულ იარაღს შორისაა 27 ერთეული **„აგლენის“** ტიპის რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი; სამი პორტატული ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო დანადგარი **„იგლა“** და **„სტრელა“** შვიდი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტით; სამი მრავალჯერადი გამოყენების ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი; **„შმელის“** ტიპის ყუმბარმტყორცნი; **„ეს-პე-გე 9“** ტიპის ყუმბარმტყორცნი; ავტომატური ყუმბარმტყორცნი; 36 ერთეული 80-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის ჭურვი; 26 ერთეული ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი; მართული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის გამშვები ორი რაკეტით; თვითნაკეთი უმართავი რაკეტის გამშვები თავისი ოთხი რაკეტით; ასევე, დიდი ოდენობით ტყვიები და სხვა საბრძოლო მასალები, ასევე, 15 კილოგრამი ტროტილი.

რუსეთის ნაციონალურმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა, ასევე, განაცხადა, რომ 2012 წლის თებერვალში აფხაზეთის ტერიტორიაზე დააკავეს ბანდიტური იატაკქვეშეთის კურიერიც, რომლისგანაც 300 დეტონატორი ამოიღეს.

„როგორც დადგინდა, ისინი [დეტონატორების] აფხაზეთში საქართველოდან ჩაიტანეს“, – განაცხადა მან.

სოხუმის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, დეტონატორები აფხაზეთში საქართველოდან თურქეთის გავლით შეიტანეს; ერთადერთი პირდაპირი გზა თურქეთიდან რეგიონისკენ შავ ზღვაზე გადის.

რუსეთის ნაციონალურმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა, ასევე, განაცხადა, რომ **„ოპერატიული მონაცემებით, [იარაღის] რუსეთში გაგზავნასთან უშუალო კავშირი აქვთ ქართულ სპეცსამსახურებს და თურქეთის ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მათთან დაკავშირებულ წარმომადგენლებს“.**

სოხუმის განცხადების თანახმად, ერთერთი სამალავი გუდაუთის რაიონის სოფელ ბზიფში აღმოაჩინეს, სადაც ედგარ ჭითანავა ცხოვრობს. აფხაზურმა სამართალდამცავმა ორგანოებმა ჭითანავას დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია 5 მაისს გაავრცელეს; მას ბრალად ედება 2007 წლის ივლისში აფხაზეთის ამჟამინდელ ლიდერ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის მცდელობა. მაშინ ანქვაბი პრემიერ-მინისტრი იყო.

საქინფორმი

გერმანიის ელჩი სოხუმში იმყოფებოდა

გერმანიის ელჩი საქართველოში ორთვინ ჰენიგი სოხუმში იმყოფებოდა. **„აპსნი პრესის“** ინფორმაციით, ელჩი საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ მიიღო.

როგორც ჰენიგმა განაცხადა, ვიზიტი გაცნობით ხასიათს ატარებს და მის მიზანს აფხაზეთში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შესწავლა წარმოადგენს.

„აპსნი პრესის“ ინფორმაციით, მინისტრი გერმანელ დიპლომატს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიასა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების მიმდინარე მდგომარეობაზე ესაუბრა. კერძოდ, ვიაჩესლავ ჩირიკბამ ელჩს აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, ჟენევის დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრების მსვლელობები გააცნო.

მისივე ცნობით, გერმანიის ელჩმა მინისტრს თბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და დიალოგის გაგრძელების იმედი გამოთქვა.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

კახი კალაძემ საფეხბურთო კარიერა დაასრულა

მსოფლიოში სახელგანთქმულმა სპორტსმენმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კახი კალაძემ საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ 34 წლის მცველმა გულშემატკივრებს თავისი ოფიციალური **„ფეისბუქის“** გვერდიდან ამცნო.

„მოგესალმებით ყველას,

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი და ემოციური დღეა ჩემთვის, რადგან უნდა განვაცხადო 18-წლიანი კარიერის შემდეგ პროფეისონალური ფეხბურთიდან წასვლის შესახებ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „მილანის„ და „ჯენოას„ კლუბებს და მმართველებს, რომლებმაც მიმიღეს იტალიაში, ამ ორი გუნდის ყველა წევრს, ჩემს მეგობრებსა და ჩვენს უამრავ მოწინააღმდეგეს, რომლებთანაც მოგვიწია დაპირისპირებამ, რომელიც განმსჭვალული იყო მეგობრული შეჯიბრის სულით. ასევე ჟურნალისტებსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს.

უზარმაზარი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს გულშემატკივრებს, რომლებიც მხარს მიჭერდნენ და მამხნევებდნენ. მეც, ჩემი მხრივ, ყოველთვის ვცდილობდი ბოლომდე დავხარჯულიყავი და ყველაფერი გამეკეთებინა ჩემი გუნდისათვის მოედანზე.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩემს გულში სამუდამოდ დარჩება აქ, იტალიაში გატარებული დროის შესახებ საოცარი და ბრწყინვალე მოგონებები.

გადავწყვიტე წავიდე სპორტიდან, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში უდიდესი კვალი დატოვა და ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში უზარმაზარი როლი ითამაშა, დროა ადგილი დავუთმო ახალგაზრდებს, რომლებმაც უნდა შეძლონ წინსვლა. გადავწყვიტე ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის მომავალი კეთილდღეობისათვის ვიბრძოლო, საქართველოს შესახებაც ცოტა რამაა ცნობილი, გარდა ტრაგიკული მოვლენებისა.

საქართველო არის ქვეყანა, სადაც დავიბადე, ამ ქვეყანაში არის ყველაფერი ის, რაც ჩემთვის ძვირფასია, სადაც ჩემი გულია; ქვეყანა, სადაც მინდა რომ ჩემი შვილები თავისუფლად გაიზარდონ და იცხოვრონ საქართველოს სხვა ახალგაზრდებთან ერთად, მათი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ისე, როგორც ეს ხდება დემოკრატიულ ქვეყნებში“.

რა გზას აირჩევს ალექსანდრე იაშვილი

ალექსანდრე იაშვილის **„კარლსრუე“** მეორე ბუნდესლიგიდან გავარდა და მომდევნო სეზონში გერმანიის მესამე ლიგაში ითამაშებს. საკითხავი ისღა დარჩა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს იაშვილი, ვისაც **„კარლსრუესთან“** კონტრაქტი დაუმთავრდა.

იაშვილმა ადრე თვითონ გვითხრა, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ **„კარლსრუე“** კლუბში დარჩენას და მენეჯერად მუშაობას მთავაზობსო.

იაშვილი 34 წლისაა, 2011-12 წლების მეორე ბუნდესლიგაში **„კარლსრუედან“** ყველაზე მეტი, 8 გოლი გაიტანა, 7 საგოლე გადაცემაც მიითვალა. მხოლოდ სტატისტიკაშიც როდია საქმე, იაშვილი **„კარლსრუეს“** სული და გული წლობით იყო.

15 მაისს მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა გვამცნო, იაშვილს პირველი ბუნდესლიგიდან აქვს შემოთავაზებაო. ისიც შევიტყვეთ, ცოტა ხნის წინათ **„დინამო თბილისში“** რომ ლაპარაკობდნენ მის დაბრუნებაზე, თუმცა ახლა საქმეს ისეთი პირი უჭირს, **„დინამო“** ერთობ ყაირათიანი იქნება დამდეგ სეზონში და ნაკლებად სავარაუდოა, რომ იაშვილი ამ გუნდში დაბრუნდეს.

იაშვილი 17 წლის იყო, უკვე **„დინამოს“** პირველი გუნდის საკვანძო ფეხბურთელად რომ ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ის არასდროს ყოფილა ქედმაღალი და ცხვირაწეული.

მან მეისვე დაიწყო გოლების გატანა. 19 წლისა მეორე ბუნდესლიგის **„ლუბეკში“** წავიდა განათხოვრებით. შემდეგ ისევ **„დინამოში“** დაბრუნდა, 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე **„ლევერკუზენს“** სტუმრად სასწაული გოლი გაუტანა და ცხადი გახდა, რომ მას საქართველოში არავინ დატოვებდა – იაშვილი **„დინამოდან“** ფოლკერ ფინკეს **„ფრაიბურგმა“** გამოისყიდა.

ფინკეს **„ფრაიბურგი“** სპეციფიკური გუნდი იყო მცირე ბიუჯეტით. ფეხბურთელების სელექციაში მწვრთნელს დიდი გეოგრაფია ჰქონდა. ფინკე სახე იყო **„ფრაიბურგისთვის“.** არცთუ პატარა ეპოქაც კი შექმნა იქ, 16 წელი იმუშავა ამ კლუბში. იაშვილი ფინკეს ფეხბურთელი გახდა.

პატარა **„ფრაიბურგმა“** იმდენი ქნა, იაშვილის, ლევან კობიაშვილის და ლევან ცქიტიშვილის დახმარებით 2001 წელს უეფას თასზეც კი ითამაშა – ამ კლუბისთვის ეს მაშინ მაქსიმუმი იყო, მანამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ასეთი წარმატება.

იაშვილმა მსუბუქი ტრავმების გარდა მუხლის ჯვარედინა იოგების დაწყვეტასაც გაუძლო და ფეხბურთის თამაში გააგრძელა. ნაკრებში ის არ ყოფილა ნომერ პირველი ფორვარდი, მაგრამ არც მეორე პლანზე ყოფნა იყო მისთვის კომფორტული – იაშვილი ნაკრებშიც გამორჩეულად თამაშობდა, არაერთხელ აუღია თამაში საკუთარ თავზე, არაერთხელ გაუტანია ძალიან საჭირო გოლი.

კარგი ფეხბურთელობის გარდა, ქართველ გულშემატკივარს ის თავმდაბლობის გამოც უყვარს. ბადენის მხარეში კი **„იაში“** უკვე კარგა ხანია, რაც შინაური კაცია.

საქართველოს ნაკრების წინა შესარჩევი ციკლის შემდეგ თემურ ქეცბაიას იაშვილი აღარ გამოუძახებია. იაშვილს არაფერი უთხრეს, ისე ჩამოაცილეს ნაკრებს. ისე გამოვიდა, რომ ეტიკეტსა და მის დამსახურებას ჩალის ფასი დაადეს.

34 წლის იაშვილს, ალბათ, კიდევ შეუძლია ფეხბურთის თამაში, ოღონდაც სად, რა დონეზე, რა მოტივაციით? სეზონი დასრულდა და ახლა მას ნამდვილად აქვს დრო ფიქრისთვის.

რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს, ფეხბურთში დარჩება – ასე გვითხრა რამდენიმე თვის წინ.

იაშვილი ისე თამაშობდა ფეხბურთს, თუ ამას აღარ გააკეთებს, პატარა სენტიმენტებს მაინც დაგვიტოვებს – ამასაც შეძლება უნდა.

იაშვილთან ძალიან ადრეული ინტერვიუ მახსენდება, სადაც ის ამბობს, სასმელებიდან ყველაზე უფრო ვაშლის ნატურალური წვენი მიყვარსო. ვერ გეტყვით, ნამდვილად აქვს თუ არა ვაშლის ნაჟურს ელექსირის თვისებები, ყოველ შემთხვევაში, იაშვილი ფიქრობს, თუ რა ხელობა უნდა ჰქონდეს **„კარლსრუეს“** გავარდნის შემდეგ...

იუმორი

ერთი ქუთაისელი მეორეს ეკითხება:
– ბუჯო, წყალი მოდის თქვენთან ზასტავაზე?
– რაის წყალი, შე ჩემა, წყალი, სიმონ, რიონშიც აღარ მოდის, ბაყაყები ერთმანეთს აფურთხებენ და ისთე გრილდებიან.

* * *

სახლში დაბრუნებულმა სიძემ თავის კომპიუტერთან მჯდომი სიდედრი დაინახა და წამოიძახა:
– ასეთი ვირუსი ჯერ ჩემს კომპიუტერს არ ჰქონია!

* * *

დათა თუთაშხია ისეთი მთვრალი იყო, ბეჩუნის ეუბნებოდა: გუდუნა გააღვიძე, მაუზერით სროლა უნდა ვასწავლოო.

* * *

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს:
– ვაიმე, ნატუკა, მუშაობას ვიწყებ ჯანმრთელობის სამინისტროში.
– ვაიმე, დავეცი! შენ იქ რა უნდა აკეთო?
– რა და, წესრიგი უნდა დავამყარო.
– ვაიმეე! რა მაგარია! რა თანამდებობაზე დაგნიშნეს
– დამლაგებლაად.

* * *

მასწავლებელი: რა დაემართება ოქროს სუფთა ჰაერზე თუ გავიტანთ?
მოსწავლე: მოიპარავენ, მასწ..!

* * *

ტიპი მკითხავთან მივიდა, მკითხავმა ბანქოს ჩახედა და ეუბნება:
– ვაიმე რა უბედურებაა... ორ დღეში ცოლი მოგიკვდებათ!
– ეგ ვიცი. შენ ის მითხარი, დამიჭერენ თუ არა?

ხელისუფლება წყალდიდობის შედეგებით სარგებლობს

როგორც ჩანს, ხელისუფლება გამოიყენებს ახლახან მომხდარი მიწისძვრისა და წყალდიდობის შემთხვევებს დაზარალებულთა საბავშვო ბაღების შენობებში განთავსების მიზნით.

დიდუბე-ჩუღურეთის მუნიციპალიტეტში შემავალი წინამძღვრიშვილის №100-ში მდებარე № 67 ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა რამდენიმე მშობელმა მიმართა. მათი განცხადებით, ბაღი უკვე რამდენიმე დღეა, აღარ ფუნქციონირებს.

ჩვენი აზრით, ხელისუფლებას გაუჩნდა სურვილი, ისარგებლოს რამდენიმე დღის წინ მომხდარი მიწისძვრით და უხვი ნალექით. მიწისძვრის შემდეგ ხელისუფლებამ სასწრაფოდ გასცა ბრძანება საბავშვო ბაღის დახურვასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა შენობამ მიიღი დაზიანება, რაც საფრთხეს უქმნის მის მდგრადობას, რასაც ბავშვთა მშობლები კატეგორიულად უარყოფენ.

გაუგებარია ის ფაქტი, რომ თუკი შენობა ნამდვილად ამორტიზებულია, რატომ მალავს ხელისუფლება, ან თუკი ფაქტი ნამდვილად რეალობაა, რატომ არ გამოყო მერიამ შენობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, გადასულიყო საბავშვო ბაღი? ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული შენობით დაინტერესებულნი არიან ნაციონალური ხელისუფლების კონკრეტული ჩინოვნიკები.

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

გენრის პატარაიას გახსენება

“ბედნიერი ხარ სიკვდილო, სიცოცხლეს შვენის შენითა”
ვაჟა-ფშაველა

კაცმა, რომელიც დააკლდა ქალაქს, წაიღო ექვსი ათეული წლის სკოლის მერხიდან განცდილი ნალოლიავები ხალასი სიყვარული, რომელ სიყვარულსაც სათავე დაუდო ყოფილ მე-20 ვაჟთა (31) საშუალო სკოლაში ერთად სწავლის პერიოდმა. წელთა სიმრავლემ ვერაფერი დააკლო ჩვენს მეგობრობას: – პირიქით ამაღლდა და გამყარდა მაღალ ზნეობრივ დონეზე. ჩვენ ერთმანეთის გონებაში მუდამ ვიყავით და ასევე დავრჩით. როგორც უფალი ამბობს **“ადამიანი სანამ გონებაშია ის უკვდავია”**, და ეს უკვდავება შენ გერგო წილად, ჩემო გენრი!

მიუხედავად იმ მატერიალური სიდუხჭირისა, რომელიც ყველა ოჯახში შეიმჩნეოდა, დიდი სამამულო ომის მიერ მიყენებული ზარალის გამო, ჩვენ ვისაც როგორ შეგვეძლო ისე ვიზიარებდით ერთმანეთის სიყვარულს, სიხარულს და მწუხარებას და არ ვკარგავდით ღირსებას ერთმანეთის ურთიერთობაში თუნდაც ბავშვურს, მაგრამ ამაღლებულს. დავრჩით ბოლომდე ერთმანეთის უერთგულეს მსახურებად.

წლების სიმრავლემ ბევრი გამოგვაკლო... ცოტანი დავრჩით.

ამ მცირე სამეგობროს შენც **“გვიღალატე”** და ამაღლდი ზეციურ საქართველოში, სამშობლოს და პატარაიების საგვარეულოს დაუტოვე ყველაზე შთამბეჭდავი სიმდიდრე: – ტრადიციული ქართული ოჯახი, შვილები და შვილიშვილები, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ იმ ტრადიციას, რომელსაც მეუღლე, მამა და ბაბუა – გენრი პატარაია ატარებდი.

ჩემო გენრი, შენ იცხოვრე კაცური კაცის პრინციპით, როგორც მათეს სახარება გვასწავლის: **“დღევანდელი დღე გუშინდელზე უკეთესი უნდა იყოს”**.

ამ პრინციპით განვლე შესანიშნავი ცხოვრების გზა. წლების განმავლობაში საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდი. ჩამოხვიდოდი თუ არა თბილისში მაშინვე მოგვიკითხავდი ყველას. ამ რამოდენიმე წლის წინათ თანაკლასელებს ერთად მოგვიყარე თავი შენ დიდ ოჯახში და მთელი საღამო ბავშვობის დროინდელ მოგონებებში გავატარეთ.

დრო ჩქარა მიდის, ეხლა შენ ზეციურ საქართველოში ხარ და დარწმუნებული ვართ შენი ამქვეყნიური ცხოვრების განვლილი გზით და ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭით სამარადისო სასუფეველს დაიმკვიდრებ. ჩვენ კი წარსულში მრავალი და ეხლა მცირე მერხის დროინდელი მეგობრები სანამ ცოცხლები ვართ მოვალთ შენ საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს, აგინთებთ სანთლებს, მოგილოცავთ ყველა დღესასწაულს. გეტყვით:

– მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის. ყველა ცრემლი სალბუნად დაედოს შენ საფლავს.

ლეონტი ბიწაძე,
ყოფილი მე-20 ვაჟთა (31) საშუალო სკოლის თანაკლასელების სახელით

ISSN 1987-8966 ილორი
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge